PRIME Time

N35 (233) ორშაბათი, 2 სექტემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



## გირგვლიანის მკვლელობის საქმეში ბრალდებული პროკურატურას სკანდალურ ჩვენებას აძლევს - რა დოკუმენტები მოიპოვა „პრაიმტაიმმა“

EXCLUSIVE

დათა ახალიას რა მითითებს ასრულებდა ზურაბ ადეიშვილის მარჯვენა ხელი

**დავით ჩხატარაშვილი:** „მე, მისივე მითითებით, ასული ვიყავი ოქროყანის სასაფლაოზე და დავათვალიერე მიდამო“

**დავით ქოქიაშვილი:** „წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ შეძლეს, მაშინვე თოვლში პირქვე დაემხნენ“

## როგორ დაიწყო ციხის ბუნტი



„კაბინეტში იმყოფებოდა ბაჩო ახალაია იარაღით, ასევე, დავით ჭაკუა და მეგის ქარდავა. ბაჩო პირდაპირ იარაღის ტარს ურტყამდა მათ თავში“ EXCLUSIVE

ლევან ცინდელიანი: „რკინის დუბინკებით გვირტყამდნენ, მთელი სხეული დამსკდარი გვქონდა და სისხლი გვდიოდა... პატიმრებმა რომ დაინახეს ფანჯრებიდან ეს ყველაფერი, მკვდრები ვეგონეთ და სწორედ ამას მოჰყვა პროტესტი. ატეხეს ხმაური... შემდეგ იქ შევარდნენ და იქ ჩახოცეს ბიჭები. ოფიციალურად 7 გარდაცვლილი დააფიქსირეს, მაგრამ ძალიან ბევრი დამალეს“

## სოფლის მეურნეობის მინისტრის ექსკლუზიური ინტერვიუ



**შალვა ფიფია:** „სახელმწიფო აღარ იქნება მთავარი მოთამაშე ღვინის ბაზარზე... წელს აღარ იქნებიან ქვეყანაში ე.წ. „ფაშისტები“, როგორც ეს წინა წლებში იყო“

EXCLUSIVE

# სააკაშვილს სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან?

EXCLUSIVE



**პეტრე მამრაძე:** სააკაშვილი არის პანიკიორი და ფსიქოპატი, როცა ის თავს ამოყოფს „ვირის აბანოში“ შეიძლება უწყვეტ რეჟიმში მოჰყვეს ყველაფერი

მისი დაბარება პროკურატურაში ახალი პრეზიდენტის ინაგურაციიდან ორ-სამ კვირაში უნდა მოხდეს

**ლაშა ამირეჯიბი:** სააკაშვილის წინააღდეგ ჩვენებას მისი უახლოესი გარემოცვაც მისცემს

**ეკა ბესელია:** დიახ, სააკაშვილს უნდა დაეკისროს არა მარტო პოლიტიკური, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. შემიძლია ეს ფაქტებით დავადასტურო

## სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილთან შეხვედრას მოითხოვს



**სალომე ზურაბიშვილი:** „მე თხოვნით არ მივმართე პრემიერს, მე მოვითხოვე შეხვედრა... ეს შეხვედრა მალე შედგება“

EXCLUSIVE

## სკანდალური კლიპი სკანდალური ბრალდებებით - სირიაში აფეთქებული ქიმიური იარაღი საქართველოდან გაიგზავნა?!





EXCLUSIVE



## რა საიდუმლო გეგმა აქვს ნინო ბურჯანაძეს

EXCLUSIVE

**გია კობახიძე:** „მე არ მინდა დეტალებზე საუბარი რა მექანიზმი გვაქვს მომზადებული“

## ვინ რითი ემუქრება სადამკვირვებლო მისიებს საქართველოში



EXCLUSIVE

**სოსო ცისკარიშვილი:** „წინასწარ უნდა იცოდნენ დამკვირვებლებმა, რომ მათ ბევრი შეურაცხყოფის ატანა მოუწევთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

**my View**
**ხათუნა მგალობლიშვილი**

# რა ტიპის გარიგება შედგა ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის

# EXCLUSIVE

**ზურა ბიგვავას მიერ გამოქვეყნებულმა სოციალურმა კვლევებმა კიდევ ერთხელ აალაპარაკა გარე ოპოზიცია იმაზე, რომ გარიგება საპარლამენტო ძალებს შორის შედგა და რომ მეორე ადგილზე ბაქრაძე გავა. ჯონდი ბაღათურიას გათვლებით შეთანხმება ციფრებზეც მოხდა. 70%-ს, მისი თქმით, აიღებს მარგველაშვილი და 8% -ს ბაქრაძე.**

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:**

- ის კვლევები, რომელიც ბიგვავამ გამოაქვეყნა, უკვე ნიშნავს, რომ შეთანხმება „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის შედგა. პრინციპში, ამაში საიდუმლო არც არაფერია, ქართული საზოგადოება უკვე ერთი წელია ამ პროცესს აკვირდება.

**- როგორ ფიქრობთ, ეს შეთანხმება როგორი იქნება, ციფრებში თუ გადავიყვანთ?**

- შეთანხმება ნიშნავს იმას, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში პირველი ადგილი უნდა მოიპოვოს მარგველაშვილმა, მეორე ადგილი უნდა მოიპოვოს ბაქრაძემ, რომელმაც აუცილებლად უნდა მიულოცოს გამარჯვებულს. ასევე უნდა აღიაროს, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა. შეთანხმებაში ასევე იგულისხმება, რომ „ნაციონალური მოძრაობიდან“ სააკაშვილის გარდა არავის არ შეეხება დაქვეითება თუ რეპრესია. სავარაუდოდ, ახალ წლამდე ახალაია და მერაბიშვილიც გათავისუფლდებიან და ესეც შეთანხმების ნაწილია. რაც შეეხება ნაციონალების მიერ მიტაცებულ ბიზნესს წილებს, გადანაწილდება „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის.

**- პირველ და მეორე ადგილზე გასულებს შორის სხვაობა დიდი იქნება?**



- განსხვავება დიდი იქნება. ბიგვავამ რაც გამოაქვეყნა, ის თანმიმდევრობა არის სწორი. ციფრები, ბუნებრივია, პრობლემა არის, მეორე ადგილზე ბაქრაძის გასვლა გულისხმობს იმას, რომ მას დანარჩენ კანდიდატებზე დიდი პროცენტი უნდა დაუწერონ და ეს საკმაოდ რთული იქნება.

**- გარიგებაზე საუბრისას, როგორ შეიძლება განისაზღვროს „ქართული ოცნების“ ინტერესები?**

- „ქართულ ოცნებას“ მეორე ადგილზე კომფორტული ოპოზიციური ძალა სჭირდება. რეალურად აქ არის საგარეო პოლიტიკური მომენტი, არავისთვის არ არის უცნობი, რომ ნაციონალებს დასავლეთში სერიოზული ლობისტები ჰყავთ. ლობისტები სერიოზულად ლობირებენ, რომ ნაციონალები დარჩნენ პოლიტიკაში აქტიურად. ასევე არის ფინანსური მომენტიც, ის რამდენიმე ათეული მილიარდი ჯამში, რაც ღირს ქართული ეკონომიკა და აქამდე იყო ნაციონალების მონოპოლიაში, ახლა უნდა გაიყონ ნაციონალებმა და „ოცნებამ“. ეს ფინანსური ინტერესი მათ მიუთითებს პოლიტიკური თანამშრომლობისკენ. გარდა ამისა არის პოტენციური შიდა პოლიტიკური მომენტებიც, ბოლო თვეების განმავლობაში „ოცნების“ რეიტინგი კატასტროფულად მიექანება ქვევით, ბუნებირივია, რომ სამომავლო ადგილობრივ არჩევნებში მათ ურჩევნიათ უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი თუ ოპოზიციაში ნაციონალები ეყოლებათ.

**„შეთანხმება ნიშნავს იმას, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში პირველი ადგილი უნდა მოიპოვოს მარგველაშვილმა“**

**- თუ გარიგება რეალურია, ბურჯანაძე როგორ იმოქმედებს? ის აცხადებს, რომ თუ არჩევნები არ გაყალბდება თავად გაიმარჯვებს...**

- გარკვეულ პრობლემებს ბურჯანაძე უკვე ქმნის, რადგან გარკვეული რეიტინგი მას აქვს. თუმცა ვფიქრობ, მას რომ მიეღწია არასაპარლამენტო ერთიანობისთვის ბევრად მეტი პრობლემების შექმნას მოახერხებდა.

# თალიბების შემ

# სენსაცია!

## „Veterans Today“: ქიმიური იარაღი სირიელმა მეამბოხეებმა გამოიყენეს და სირიაში საქართველოდან, აშშ-ის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიიდან თურქეთის არმიის ქვედანაყოფებმა ჩაიტანეს აშშ-ის ხელშეწყობით

**my View**
**ხათუნა მგალობლიშვილი**

**თალიბების სახელით გავრცელებული კლიპის შემდეგ ახალი კლიპი გავრცელდა. ამჯერად ის სოციალურ ქსელებში ანონიმურად არ გავრცელებულა, ინფორმაციას, რომელიც ვიდეოჩანაწერია, საქინფორმი ავრცელებს.**

**კლიპს ბევრი აქვს საერთო თალიბების სახელთან გავრცელებულ კლიპტან. სამაგიეროდ, ვიღაცის ხმა, რომელიც ვიდეოს ადევს, ამბობს: „ვიდეო, რომელსაც თქვენ უყურებთ, სირიაშია გადაღებული. მასზე ასახულია ქიმიური იარაღი, რომელიც საქართველოდან იქნა გადმოგზავნილი. ამ ყველაფრის უკან ამერიკა დგას. ჯეკ კემი – ეს ის ადამიანია, რომლის დახმარებითაც ეს იარაღი სირიაში საქართველოდან თურქეთის ტერიტორიის გავლით ჩამოვიდა აშშ-ის ხელშეწყობით“.**

**თალიბების კლიპზე გამოძიება მიდის, მანამდე კი ახალი სკანდალი გორდება. თუმცა, ექსპერტები ამ კლიპსაც ეჭვის თვალით უყურებენ:**




**გიორგი თავდგირიძე, სამხედრო ექსპერტი:**

- ზოგადად აზრი, რომ საქართველომ შეიძლება სირიელ აჯანყებულებს ქიმიური იარაღი მიაწოდოს, აბსურდულია, რადგან საქართველოს თავად არ გააჩნია სამხედრო არსენალში ქიმიური იარაღი. ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს სიმძლავრე, რომელსაც ქიმიური იარაღის წარმოება შეუძლია. რაც შეეხება საქართველოში არსებულ ლაბორატორიას, იქ არავითარი საიდუმლო ქვედანაყოფები არ არსებობს, ცნობილია, რომ ეს ლაბორატორია დაკავებულია ბიოლოგიური კვლევებით. აბსოლუტურად განსხვავებული სფეროებია ბიოლოგიური პროფილი და ქიმიური იარაღების წარმოება. ეს ლაბორატორია აბსოლუტურად ღიაა და ადგილზე მიმდინარე კვლევებში რუს მეცნიერებსაც კი აქვთ კვლევებში მონაწილეობის მიღების საშუალება. რაც შეეხება გავრცელებულ ვიდეოს, იქ ნაჩვენები იარაღები არანაირად არ ჰგავს ქიმიურ იარაღებს, არც ნასროლი ბომბები ჰგავს ქიმიურ იარაღს. რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელებას, ეს არ არის არანაირი ოფიციალური ინფორმაცია, ეს არის ტვინგადაბრუნებული, ავადმყოფური ჭკუის ადამიანების ნააზრევი.

**- როგორ ფიქრობთ, ეს ვიდეო ჰგავს თალიბების სახელით გავრცელებულ ვიდეოს?**

- რა თქმა უნდა, ჰგავს, ეს მისი გაგრძელება უფრო არის, აჩვენებენ ერთს, კომენტარი მიდის ცალკე და არის მოლოდინი, რომ ინტერნეტსივრცეში გამოიწვევს აჟიოტაჟს. არა მგონია რუსეთის სპეცსამსახურები იდგნენ ამის უკან, რადგან საკმაოდ უნიჭოდ არის გაკეთებული.

**- შეიძლება ქართველების მიერ იყოს გაკეთებული?**

- ყოველ შემთხვევაში საქინფორმი ძალიან დაინტერესებულია, რომ ეს


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნიკო ხაჩირაშვილი ვანო მერაბიშვილს ჩაანაცვლებს



**გავრცელებული ინფორმაციით ნიკო ხაჩირაშვილი ვანო მერაბიშვილის, ანუ მერის მოადგილის თანამდებობას დაიკავებს. როგორც ამბობენ, ხაჩირიშვილი საკრებულოდან მერიაში მალე გადაინაცვლებს. თუმცა „ოცნების“ წევრები ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ. ჯაბა სამუშიას განცხადებით მერაბიშვილი ოფიციალურად არც ყოფილა დანიშნული და შესაბამისად, მას ვერც ვერავინ ჩაანაცვლებს.**

**ჯაბა სამუშია, საკრებულოს წევრი:**

- ვანო მერაბიშვილი ოფიციალურად დანიშნული არ ყოფილა, შესაბამისად, მას ვერავინ ვერ ჩაანაცვლებს. რაც შეეხება ხაჩირაშვილს, ახლა ვიმყოფებოფდით ერთ-ერთ ავარიულ შენობასთან და ინფორმაცია თითქოს ის ინიშნება სხვა თანამდებობაზე არ შეეფერება სიმართლეს.

**- გიგი უგულავამ სევდია უგრეხელიძესთან ერთად წარადგინა მერაბიშვილი. თუ მოხდა უგრეხელიძის დანიშვნა შესაბამისად დაინიშნებოდა მერაბიშვილიც...**

- არ არის ასე, მერაბიშვილი არ დანიშნულა.

მერაბიშვილმა მერის მოადგილეობაზე შეთავაზება რამდენიმე თვის წინ მიიღო, მანამ სანამ მას დააპატიმრებდნენ. მაშინ აქტუალური გიგი უგულავას დაჭერა უფრო იყო, შესაბამისად, ქალაქის მერმა გადაწყვიტა, რომ საკუთარი დაჭერის შემთხვევაში მის მოვალეობას სწორედ მერაბიშვილი შეასრულებდა და გააგრძელებდა იმ დაპირებების შესრულებას, რაც მერიას ჰქონდა გაცემული. მერაბიშვილმა წინადადება მიიღო, თუმცა მერის ფუნქციის შესრულება არ დასჭირვებია. დღეს ქალაქის მერის მოადგილეები არიან დავით ნინიძე, ირაკლი აბესაძე და პაპუნა პეტრიაშვილი.

მერის მოადგილედ ხაჩირიშვილის დანიშვნას საკრებულოს პრესცენტრიც უარყოფს, მათი განცხადებით მსგავსი ინფორმაცია არ გავრცელებულა.




# ქმნელებისგან





## სკანდალური კლიპი სკანდალური ბრალდებებით - სირიაში აფეთქებული ქიმიური იარაღი საქართველოდან გაიგზავნა?!

ვიდეო წარმოაჩინოს როგორც სკანდალური ინფორმაცია. ამიტომ ქვეყანას უნდა ჰყავდეს შესაბამისი სამსახური, რომელიც დაკავებული იქნება საინფორმაციო სივრცეში მიმდინარე პროცესების ანალიზით, გამოკვლევით და დადგენით. ხშირ შემთხვევაში ეს არა მხოლოდ შავი პიარია, ანუ მოკლე ვადიან ეფექტზე კი არ არის გათვლილი, არამედ შორს მიმავალი ნაბიჯებია, რომელიც როდის მოგვიბრუნდება უკან და თანაც როგორ, არავინ არ იცის.

**- საბოლოო მიზანი რა არის ამ საინფორმაციო ომის?**

- ეს საკმაოდ ღრმა თემაა, მაგრამ პირობითად რომ ავიღოთ რაიმე ჯგუფი, რომელიც ახორციელებს შეტევას, ამ შემთხვევაში მიზანია მიღებული დაკვეთის შესრულება, ასევე ამ დაკვეთამ უნდა მოიტანოს შედეგი. შედეგზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ რომელიღაცა ქვეყანა დაინტერესებულია საქართველოში შეიქმნას ეკონომიკური პრობლემები. ამისთვის კი იქმნება იმიჯი, რომ საქართველოში არის არასტაბილური ვითარება.

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი:**

- გამოსაკვლევია, რა ტიპის ქიმიური იარაღი შეიძლება ყოფილიყო წარმოებული საქართველოში. ბაქტერიოლოგიური იარაღების წარმოების ვარაუდები საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა იმ ცნობილ ლაბორატორიაში, რომელიც განლაგებულია აეროპორტის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ქიმიური იარაღის წარმოებას, ეს რთული სათქმელია, თუ იარაღმა მართლა გაიარა საქართველოს გზით, მაშინ ის აუცილებლად დასავლეთიდან შემოვიდოდა. ოღონდ თუ მართლა მოხდა ასეთი რამ, ახლა ამაზე დაზუსტებით საუბარი ძნელია.

**- ანუ თქვენ არ გამორიცხავთ, რომ ეს რეალობა იყოს?**

- შეიძლება, რასაკვირველია, რადგან ძალიან ავტორიტეტული ადამიანი აცხადებს ამას და გამოცემაც ძალიან ავტორიტეტულია. მათ ძალიან მჭიდრო კონტაქტები აქვთ თურქულ სპეცსამსახურებთან და შეიძლება სწორედ თურქი სპეცსამსახურების მიერ არის ინფორმაცია მიწოდებული.

**- გორდონ დაფი ვინ არის, რამდენად სარწმუნოა მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია?**

- სპეციფიკულ სფეროში საკმაოდ ცნობილი ადამიანია და საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტეტული ადამიანი საუბრობს, მაინც არის ფრაგმენტული ინფორმაცია, არ არის დასახელებული დრო, ადგილი, გადამტანები, იარაღის რაოდენობა და ბევრი სხვა. ამ თემას სჭირდება ძალიან სერიოზული მოკვლევა.

მეც მაქვს ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ სირიაში სულ მცირე ერთხელ მაინც, იარაღი საქართველოდან მოხვდა, კოპიტნარის აეროპორტის გავლით. ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოში 2012 წლის დასაწყისში იმყოფებოდა სირიის ამბოხებულთა ჯგუფის ერთ-ერთი ნაწილი.

**- რა მისით იყვნენ ჩამოსულები?**

- მოსალაპარაკებლად იყვნენ ჩამოსულები.

**- რა თემაზე?**

- როგორც ჩანს, იარაღის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით.

**- ვისთან ჰქონდათ მოლაპარაკებები, შეგიძლიათ გვითხრათ?**

- ხელისუფლების და სამხედრო უწყების წარმომადგენლებთან. უშუალოდ ვინ იყვნენ ჩართულები არ ვიცი.

**- მინისტრები შეიძლება ყოფილიყვნენ ჩართულები?**

- არა, არა. მინისტრების უფრო ქვედა დონე, თავდაცვის სამინისტროს ქვედა სტრუქტურები იყვნენ ჩართულები. მაშინდელი საქართველოს ხელისუფლება ჩართული რომ იყო იარაღის ვაჭრობაში, ეს ისედაც ცნობილია, ამის შესახებ თეთრი სახლი თვითონ აცხადებდა თავის დასკვნაში. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, უკრაინიდან, როგორ მოხდა დიდი რაოდენობის იარაღის უკანონოდ გაყიდვა, საქართველოს გავლით ირანში.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სააკაშვილს სამუდამო პ





## „340 მილიონი ლარი მოხმარდა ქუთაისში პარლამენტის მშენებლობას, რაც თავისთავად სიგიჟეა, მაგრამ მილიარდამდე იყო ჩარიცხული და ისმის კითხვა, დანარჩენი 6060 მილიონი სად არის?“

## „ნაციონალური მოძრაობის“ თავკაცებმა, იმდენი დანაშაული ჩაიდინეს ერის წინაშე, მათ ნაწილიც რომ დაუმტკიცდეთ, უვადო პატიმრობა არ უნდა ასცდეთ“

**EXCLUSIVE**

ნანა შონია

**როგორც ყვებიან, მიხეილ სააკაშვილმა ბევრი იფიქრა თუ ცოტა, მიხვდა, რომ მისი მომავალი კარიერისთვის აჯობებს თუკი თავად ჩაჯდება ციხეში. ფიქრობს, რომ ამით ის იმ კლასიკოსი პოლიტიკოსების გვერდით დადგება, ვინც იდეალებისთვის, ღირებულებებისთვის იბრძოდა. ისინი ისტორიაში შევიდნენ, ჰოდა, მიხეილიც შევა, რატომაც არა.**

გეგმაც მოფიქრებულია. მიტინგების, აქციების... მოკლედ, ის ისევ ოპოზიციაში გადავა და ხელისუფლებას მოსვენებას დააკარგვინებს. ისინი სააკაშვილის დანაშაულებზე ილაპარაკებენ, მიხეილი ხალხის უფლებებსა და სოციალურ პრობლემებზე. ეს ივანიშვილის ხელისუფლებამ უნდა გაიგოს ახლა და მიხვდეს, თორემ სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის რამდენად რთულია ხელისუფლებაში ყოფნა და პასუხისმგებლობის აღება ყველაფერზე, ქვეყნის გარეთ დაგეგმილ პროვოკაციაზეც და ქვეყნის შიგნით არეულობებზეც... მან იცის და ხელისუფლება ჯერ მხოლოდ „გადაეტ“.

„ბლუმბერგისთვის“ მიცემული ინტერვიუ უკვე შეფასდა კიდეც, როგორც გამოწვევა და სილის გაწვნა - აბა დამაპატიმრეთო. სააკაშვილმა თქვა, რომ მისი დაკავება ეს პუტინის დაკვეთაა და არავითარი დანაშაული მას არ ჩაუდენია.

- პუტინი ვეღარასდროს აღიდგენს ძველ, ე.წ „პალაჟენიას“ პოსტსაბჭოთა სივრცეში. პუტინმა არაერთხელ თქვა, რომ სააკაშვილი მკვდარია. მედვედევმა და პუტინმა თქვეს, რომ გაუხარდებათ, თუ სააკაშვილს ვინმე დააპატიმრებს. იმიტომ, რომ სანამ მე დავდივარ თავისუფალი და



პეტრე მამრაძე

ცოცხალი, პუტინი ვეღარასდროს აღიდგენს ძველ, ე.წ „პალაჟენიას“ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ჩამოიშალა ეს გავლენა 2008 წლის შემდეგ. გაბედა დსთ-ს სახელმწიფოს ერთ-ერთმა ლიდერმა და მას არ დაუხარა თავი. სანამ მე ცოცხალი ვარ და სანამ გარეთ ვარ, არც ერთი პოსტსაბჭოთა ლიდერი აღარ დაბრუნდება იმ მდგომარეობაში, როდესაც უსიტყვოდ ასრულებს რუსეთის მითითებას. ეს შეიცვალა ბოლო წლებში და ეს გავაკეთეთ ქართველმა ხალხმა, ჩვენმა თავისუფლების მოყვარე პოლიტიკამ... ეჭვს არ იწვევს, რომ ივანიშვილმა ორი მილიარდი დოლარი აიღო რუსეთისგან არჩევნების დროს. ამას არც თვითონ უარყოფს და რომც უარყოს, რა აზრი აქვს, რუსები ადასტურებენ ყოველ ნაბიჯზე. ვინ ვის დაიჭერს, მე ივანიშვილის ზებრა კი არა ვარ, რომ ივანიშვილმა დამიჭიროს და გალიაში ჩამსვას, ან რომელიმე სხვა შინაური ცხოველი. ამიტომ, ერთია მათი სურვილები, ერთმანეთთან შეთანხმება და მეორეა, რა იქნება რეალობა. რეალობა იქნება ის, რომ ქართველი ხალხი ყველას თავის ადგილს მიუჩენს. რაც შემეხება მე, მე განმსჯის ისტორია და არა რომელიმე ზოოპარკის დირექტორი...

თუმცა, სწორედ მის დაკავებას მოითხოვს ყველაზე რადიკალური ძალები ქართულ პოლიტიკაში და ამ პოლიტიკის კლასიკა ნინო ბურჯანაძის სახით. ბიძინა ივანიშვილმა უკვე თქვა, რომ მას კითხვები აქვს, უფრო ადრე სააკაშვილს პუტინი ღიად ემუქრებოდა.

მოკლედ, სააკაშვილი ნამდვილი რებუსია და მის „ამოხსნას“ პრორუსული ძალები საქართველოში და პუტინი კრემლში სწორედ ციხეში მოითხოვს.

დეპუტატი ეკა ბესელიაც ამბობს, რომ მას აქვს ფაქტები, რის გამოც სააკაშვილი უნდა დააპატიმრონ. „დიახ, სააკაშვილს უნდა დაეკისროს არა მარტო პოლიტიკური, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. შემიძლია ეს ფაქტებით დავადასტურო“ - აცხადებს ის.

ადრე პეტრე მამრაძე სააკაშვილის კარზე მუშაობდა და სხვათა შორის, საკმაოდ დიდხანს. მაშინ მას შესაძლო შეკითხვები სააკაშვილთან არ ჰქონდა, ან ჰქონდა და თმენის რეჟიმში იყო. ახლა კი, როცა აღარც ითმენს და აღარც ეშინია, აცხადებს, რომ სააკაშვილს და მის მოძრაობას იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ სამუდამო პატიმრობაც კი შეიძლება მიესაჯოსო.

**პეტრე მამრაძე:**

- მე უდანაშაულობის პრინციპს არასოდეს ვარღვევ და ეს არასოდეს უნდა დაირღვეს. მთელ ერს და საღად მოაზროვნე ყველა ადამიანს ესმის, რომ სააკაშვილმა, მერაბიშვილმა და კიდევ რამდენიმე ადამიანმა, „ნაციონალური მოძრაობის“ თავკაცებმა, იმდენი დანაშაული ჩაიდინეს ერის წინაშე, მათ ნაწილიც რომ დაუმტკიცდეთ, უვადო პატიმრობა არ უნდა ასცდეთ. მე ვლაპარაკობ ჩემი და ძალიან ბევრი ადამიანის ეჭვზე. ეს იწვევს საფუძვლიან ეჭვს და სხვა რაღაცებს, გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნდა სპეციალური მასალა, მათ შორის დაცვის სამსახურის სპეციალური ხარჯები, რომელზეც ფულია გადარიცხული და მოხმარებულია, ეს არის პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ სააკაშვილი რეგულარულად ფარავდა ბიუჯეტიდან ხარჯებს, რომლის დაფარვის უფლება არ აქვს არავის. თვითონ ბოტოქსის ოპერაციები გაიკეთა და ეს დაფარა, ამ თანხებში შედის ქალბატონებისთვის ძვირად ღირებული საჩუქრების შეძენა, ვოიაჟები, რომელიც არ იყო სახელმწიფო დაფინანსების, არამედ გახდომის პროგრამას ემსახურებოდა. ყველა საქმის ჩამოთვლა რომ დავიწყოთ, ბევრი იქნება ძალიან. გავიხსენოთ კიევში, 2009 ე.წ. დამკვირვებლების გაგზავნა. კიევის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დააფიქსირა 2 ათასზე მეტი ჩასული ადამიანი. დადგინდა, რომ ისინი იყვნენ ძირითადად პოლიციის მუშაკები, რომლებიც მუშაობდნენ პოლიციაში. მე არაერთი პოლიციელი მესაუბრა, რომ მათ სრულიად შემთხვევით კიევში ამოყვეს თავი. რეისები, რაც საქართველოს მთავრობამ განახორციელა ამ ადამიანების დაბინავება სასტუმროებში და მერე უკან გამომგზავრება სულ ცოტა 10 მილიონი დოლარი დაჯდა. საინტერესოა საიდან იყო გადახდილი ეს ფული. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ ძალიან ბევრი მასშტაბური



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ატიმრობას მიუსჯიან?



**„ეს არის ავანტიურისტული პოლიტიკა, რომელსაც სააკაშვილი პირადად ატარებდა თავის თანამზრახველებთან ერთად, როგორც საგარეო პოლიტიკაში რუსეთის მიმართ, მიუხედავად ამერიკელების და სხვების გაფრთხილებისა“**

**„სააკაშვილი ისეთი მშიშარაა ის დაკავებისთანავე იტყვის ყველაფერს. ეს არის პანიკიორი და ფსიქოპატი; როცა ის „ვირის აბანოში“ამოყოფს თავს, შეიძლება უწყვეტ რეჟიმში თქვას ყველაფერი“**



ლაშა ამირეჯიბი

მშებლობა ჩატარდა ყოველგვარი კანონიერი საფუძვლების გარეშე. შესაბამისმა ორგანოებმა არ მიიღეს ამაზე არავითარი გადაწყვეტილება, არადა, მათი ბრძანებით უნდა ასახულიყო ეს ყველაფერი შესაბამის საქმეში. ეს არის ძალიან დიდი დანაშაული. ცნობილია, 340 მილიონი ლარი მოხმარდა ქუთაისში პარლამენტის მშენებლობას, რაც თავისთავად სიგიჟეა, მაგრამ მილიარდამდე იყო ჩარიცხული და ისმის კითხვა, დანარჩენი 6060 მილიონი სად არის? ჩვენ უკვე მოვისმინეთ „საქტრანსგაზის“ განცხადება, რომ ზეწოლა იყო მათზე და 50-ზე მეტი მილიონი ჩარიცხეს პარლამენტის შენობის ასაშენებლად. ძალიან ბევრი საუბარი შეიძლება, ამ აშკარა დანაშაულებზე, რომელსაც გამოკვლევა სჭირდება. ერთ-ერთი მთავარი არის ის, რომ ეს არის ავანტიურისტული პოლიტიკა, რომელსაც სააკაშვილი პირადად ატარებდა თავის თანამზრახველებთან ერთად, როგორც საგარეო პოლიტიკაში რუსეთის მიმართ, მიუხედავად ამერიკელების და სხვების გაფრთხილებისა. მიხეილ სააკაშვილმა მისი ავანტიურა დააგვირგვინა, როდესაც ცხინვალი დათმო. ეს იყო სამშობლოს პირდაპირი ღალატი და ამიტომაც ჩემი დასკვნა ასეთია, ივანიშვილმა ერთხელ თქვა, სამართალი ურმით დადისო. ყოველთვის რთულია მტკიცებულებების შეგროვება, როდესაც ადამიანები არ ტოვებენ მტკიცებულებებს და უკანონო ბრძანებებს იძლევიან. მაგრამ, სააკაშვილმა ოჯახის წევრებს დაურიგა ვეებერთელა ქონება, იქ დედამისზეა საუბარი, მამამისის კურორტებზე და ა.შ. ჟურნალისტებმა გამოიკვლიეს შარშან წინ პრეზიდენტის ქონებრივი დეკლარაცია, სადაც კანონდარღვევებს ვხედავთ. მხოლოდ ის იქნებოდა საკმარისი, ნორმალურ ქვეყანაში, მისი იმპიჩმენტისთვის. ასე რომ, აქ აშკარაა უმძიმესი დანაშაულები და მე ჩემ პოზიციაზე ვრჩები, მას ნაწილიც რომ დაუმტკიცდეს, უვადო პატიმრობა მოუწევს. თუ სააკაშვილი ამდენი მძიმე დანაშაულის შემდეგ, გარეთ დარჩება, ეს მთელი ერისთვის იქნება იმის დადასტურება, რომ ურმით მოჭრიალე სამართალი დანიშნულების ადგილზე ვერ მივიდა.

**- როდის შეიძლება მოხდეს სააკაშვილის დაბარება პროკურატურაში, როგორ ფიქრობთ, აღძრულია თუ არა საქმე, რადგან ბოლო პერიოდში ბევრი განცხადება კეთდება პრეზიდენტის დაკითხვაზე და მის შესაძლო დაკავებაზეც...**

- ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, გეტყვით, პრეზიდენტს იმუნიტეტი იცავს, რაც არჩევნების შემდეგ გარკვეული პერიოდი გრძელდება. თუ სასამართლოშია ეს საქმე მე ვთვლი, რომ მისი დაბარება პროკურატურაში, ახალი პრეზიდენტის ინაგურაციიდან ორ-სამ კვირაში უნდა მოხდეს. მსოფლიოს ისტორიას პრეზიდენტების გასამართლების არაერთი მაგალითი ახსოვს, იგივე შირაკი, სარკოზი და ა. შ. ასე რომ, ეს ჩვეულებრივი ამბავია და კანონი მაშინ იძენს ჭეშმარიტი კანონის ძალას, როდესაც ყველა ხედავს, რომ ის ყველასთვის ერთნაირია. რა თანამდებობაც არ უნდა ეკავოს ადამიანს.

**- ბატონო პეტრე, თქვენ როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება მისცეს ჩვენება სააკაშვილის წინააღმდეგ?**

- ეს არის ძალიან რთული საკითხი, იმიტომ რომ სააკაშვილი ყოველთვის, თავის უკანონო დავალებას, ვიწრო წრეს აძლევდა. მაგალითად, რაც შეეხება დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯებს, რომელსაც თვითონ ხელს არ აწერდა და ის ამაზე ხელმოწერას ავალებდა სხვას. ამ ადამიანებმა უნდა თქვან, რომ მათ თავში თვითონ არ მოსვლიათ ამ გადაწყვეტილების მიღება, ეს დაავალა სააკაშვილმა, მაგრამ ხომ უნდა ითქვას ეს. აქ, რა თქმა უნდა, სურთულეები იქნება, რადგანაც მერაბიშვილი, ახალაია და ადეიშვილი იყვნენ ის ადამიანები, ვისაც სააკაშვილი უშუალოდ თვითონ აძლევდა ბრძანებებს. ყველამ იცის, რომ როინ შავაძის, არმიის ოფიცერისა და დავით ცინდელიანის მკვლელობა, უშუალოდ სააკაშვილის დაკვეთით განხორციელდა. გარდა ამისა, არის ქართველი მფრინავების საქმე, აფეთქებები აშშ-ს საელჩოსთან, არქანიას წერილი, ფოტოგრაფების საქმე... ვახტანგ მაისაიას საქმე და უამრავი საქმეები. ყველა ამ შემთხვევაში ამის უკან დგას სააკაშვილი და მისი დავალებები. ეს არის ჩემი დასაბუთებული ეჭვი, რომელიც უნდა დაამტკიცოს გამოძიებამ და შემდეგ სასამართლომ.

**- როგორ ფიქრობთ, დღეს გამოძიება შეძლებს ამის დამტკიცებას?**

- მე ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია, რადგან მნიშვნელოვანია მერაბიშვილის ციხეში ყოფნა. ასევე აუცილებლად უნდა მოხდეს ადეიშვილის დაკავება და ჩამოყვანა და შემდეგ იცოდეთ, რომ სააკაშვილი ისეთი მშიშარაა ის დაკავებისთანავე იტყვის ყველაფერს. ეს არის პანიკიორი და ფსიქოპატი; როცა ის „ვირის აბანოში“ამოყოფს თავს, შეიძლება უწყვეტ რეჟიმში თქვას ყველაფერი. გაიხსენეთ გორში ცას როგორ ახედა, მოლანდებები დაიწყო და გაიქცა. მას ეშინია, რომ ის პასუხს აგებს ერის და კანონის წინაშე. ამ საქმეში შესაძლოა, ყველაზე აქტიური მოწმე და მხილებელი გახდეს თვითონ სააკაშვილი.

**ლაშა ამირეჯიბი:**

- აფრასიძეების საქმე საკმარისია იმისთვის, რომ სააკაშვილი დაკითხვაზე დაიბარონ და პასუხისგებაში მისცენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ პრემიერის სურვილია, ის კანონის სრული დაცვით დაიკითხოს კიდეც, მაგრამ გააჩნია ამერიკელები რას გადაწყვეტენ. მე ზუსტად ვიცი, პრემიერი ფიქრობს, რომ ის დამნაშავეა ქვეყნის წინაშე და ეკუთვნის პასუხისგებაში მიცემა. რადგან ბინძური და ჭუჭყიანი საქმეები მიშას გარეშე არ წყდებოდა, განკარგულებებს და ბრძანებებს ის გასცემდა. მე კიდევ ერთხელ ვიძახი, მან ტელევიზიით აღიარა, რომ აფრასიძეების დახოცვის ბრძანება პირადად გასცა, ეს კი დასაწყისისთვის ცოტა არ არის. თუ კი ამერიკელების კეთილი ნება იქნება, სააკაშვილს გაასამართლებენ.

**- ვინ შეიძლება მისცეს სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება?**

- მე ვფიქრობ, რომ გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც შეიძლება მისცეს სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება. აფრასიძეების საქმით დაიწყონ და მერე ძალიან ბევრი ხალხი ილაპარაკებს. შესაძლებელია ეს ადამიანები მისი უახლოესი გარემოცვიდანაც იყვნენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა დოკუმენტები მოი

ნანა შონია

**ახალი ბრალდებული სანდრო გირგვლიანის საქმეზე დაკითხულია. მასალები უკვე სასამართლოს გადაეცა. არჩილ კბილაშვილმა ახალი გარემოებები გვაქვსო, რომ თქვა, სწორედ ეს ახალი დაკავებული და დაკითხული დავით ქოქიაშვილი იგულისხმა.**

**„პრაიმტაიმის" დოსიედან: შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დროს (2006 წელი) დავით ქოქიაშვილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მკვლელობიდან რამდენიმე თვეში ის მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის პირველი განყოფილების უფროსის თანამდებობაზე გადაჰყავთ, შემდეგ კახეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის პოსტს იკავებს. ამ თანამდებობაზე დაჰყო 2011 წლამდე, რის შემდეგაც, ის კუდ-ის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე დავით ქოქიაშვილი ისანი-სამგორის შს სამმართველოს უფროსიც გახლდათ, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 18 ოქტომბერს, მან პოლიციის სტრუქტურა საერთოდ დატოვა. სამსახურებრივი მდგომარეობის პარალელურად, იზრდებოდა მისი ფინანსური მდგომარეობაც. ოფიციალური ინფორმაციით, ქოქიაშვილის წლიური ხელფასი 2009 წელს – 2 1 ათას ლარს, 2010 წელს – 41 ათას ლარს, 2011 წელს – 68 ათას ლარს და 2012 წლის ოქტომბრამდე, ჯამში, 57 ათას ლარს აღწევდა.**

„პრაიმტაიმს" სწორედ მისი, ანუ დავით ქოქიაშვილის დაკითხვა ჩაუვარდა ხელში. ვფიქრობთ, მკითხველისთვის მისი დაკითხვის წაკითხვა საინტერესო იქნება.

აქვე გთავაზობთ ზურაბ ადეიშვილის მარჯვენა ხელის, ხმაურიანი და უკვე სკანდალური ფიგურის დავით ჩხატარაშვილის დაკითხვის მოკლე ვერსიასაც. ეს სწორედ ის ჩხატარაშვილია, რომელიც გია ხუხაშვილთან კავშირის გამო გასკანდალდა. მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა.

ახლა კი დაკითხვის ოქმები. რა ჩვენება მისცა დავით ქოქიაშვილმა და დავით ჩხატარაშვილმა პროკურატურას.

**დავით ქოქიაშვილი, ბრალდებული:**

_ ...დამირეკა გიორგი დგებუაძემ (მასტერა), რომელმაც მომცა გერონტი ალანიას მობილურის ნომერი და მითხრა, სასწრაფოდ დამერეკა მისთვის. მე მაშინვე გადავურეკე გერონტი ალანიას, რომელმაც მითხრა: „სასწრაფოდ მოტრიალდი, ჩემს სახლთან მოდიო", მივიღე თუ არა ეს მითითება, მაშინვე მოვატრიალე ავტომანქანა და ისევ გერონტი ალანიას სახლთან მივედი. კორპუსის ეზოში მისვლისას გერონტი ალანია ეზოშივე დამხვდა. მასთან ერთად კი მიხეილ ბიბილურიძეც იმყოფებოდა, რომელიც ვიცოდი, რომ გერონტი ალანიასთან მუშაობდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში, პირველ მთავარ სამმართველოში, მაგრამ მას მხოლოდ მისალმებით ვიცნობდი. გერონტი ალანია ჩემ გვერდით, ხოლო მიხეილ ბიბილურიძე ა/მანქანის უკანა სავარძელში მოთავსდა, მის უკან. ა/მანქანა დავძარი და გავემართე იმ მარშრუტით, რომელიც გერონტი ალანიამ მაჩვენა, რადგან პლატოზე ყოფნის დროსვე, ერთ-ერთ კორპუსთან ჩავისვით ავთანდილ აფციაური, რომელსაც ასევე მისალმებით ვიცნობდი და ვიცოდი, რომ ისიც გერონტი ალანიასთან მუშაობდა „კუდ"-ში. როცა ალექსანდრე ლაჭავა ჩაჯდა ა/მანქანაში იკითხა: „რა ხდება, ხომ მშვიდობააო", რაზეც გერონტი ალანიამ უპასუხა: „დამირეკეს და დათა ახალაიას დავალებით „შარდენ ბარში" უნდა მივიდეთ, რაღაც პრობლემა აქვთო". მათი საუბარი კიდევ გაგრძელდა, მაგრამ ვინაიდან მთელი ყურადღება გზაზე მქონდა გადატანილი, არ მახსოვს კიდევ რას შეეხებოდა მათი საუბარი. აღნიშნულის შემდგომ კი, კვლავ გერონტი ალანიას მითითებით, მივედით „მოდულის" შენობასთან, მაგრამ ეზოში არ შევსულვართ და ა/მანქანა გზაზევე გავაჩერე. მე ა/მანქანიდან ჩასვლას ვაპირებდი და კარებიც კი გავაღე, მაგრამ გერონტი ალანიამ დარჩენა მიბრძანა. ხოლო ავთანდილ აფციაურსა და მიხეილ ბიბილურიძეს უთხრა: „საკონტროლო გამშვები პუნქტიდან იოსებ თოფურიძის ა/მანქანის გასაღები აიღეთ, უკან გამოგვყევით და „შარდენ ბართან" მოდითო". ავთანდილ აფციაურსა და მიხეილ ბიბილურიძის ა/მანქანიდან ჩასვლისთანავე, კვლავ გერონტი ალანიას დავალებით, გავემართეთ ყაზბეგის მიმართულებით, სადაც ერთ-ერთ კორპუსთან, გზის პირსავე გველოდა „კუდი"-ის კიდევ ერთი თანამშრომელი ალექსანდრე ლაჭავა. ისინიც ჩავისვით ა/მანქანაში და სანაპიროს გავლით გავემართეთ ლესელიძის ქუჩისკენ, რადგანაც გერონტი ალანიამ მითხრა „ჩქარა დააწექი, სასწრაფოდ უნდა მივიდეთ შარდენზეო"... აქვე გიჩვენებთ რომ გერონტი ალანიას... გამუდმებით ურეკავდა ტელეფონი რა დროსაც იგი ვიღაცას ეუბნებოდა: „მოვდივართ, აქა და აქ ვართ და მალე მოვალთო. რამდენჯერმე მოატყუა კიდეც მოსაუბრე და შარდენთან უფრო ახლო ადგილი დაუსახელა ჩვენს ადგილსამყოფელად. სანაპიროზე მდებარე კაიზერის ბართან მისვლისას გერონტი ალანიამ გაჩერებისკენ მიმითითა და ა/მანქანიდან ჩასული, იგი შენობებს შორის შემავალი ვიწრო ქუჩით ფაქტიურად სირბილით შარდენის ქუჩისკენ გაემმართა, თუმცა იგი ძალიან მალევე დაბრუნდა. ჩაჯდა თუ არა ა/მანქანაში მითხრა: „ჩქარა ლესელიძეზე ადიო", რაც შევასრულე კიდეც.

ლესელიძის ქუჩის ბოლოში, სადაც ქუჩა ფაქტიურად უკვე თავისუფლების მოედანს უერთდება, შევნიშნე ღია ფერის „ რენჯ როვერის" მოდელის ა/მანქანა, რომელსაც ფარები ანთებული ჰქონდა და თუ არ ვცდები, დაქოქილიც უნდა ყოფილიყო. გერონტი ალანიას მითითებით „რენჯ როვერს" გვერდით ამოვუდექი, რა დროსაც შევნიშნე, მის საჭესთან საქართველოს შ.ს. სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ვასილ სანოძის მძღოლი, ხოლო მის გვერდით „კუდი"-ს თანამშრომელი ოლეგ მელნიკოვი იჯდა. ვასილ სანოძის მძღოლის სახელი მე არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვიცი...

გერონტი ალანია ჩამოვიდა მანქანიდან და ასევე მანქანიდან ჩამოსული ოლეგ მელნიკოვისკენ გაემართა. საუბარი არ გამიგია, მაგრამ გარკვევით დავინახე, რომ ოლეგ მელნიკოვმა ხელი გაუშვირა თავისუფლების მოედნისკენ და როცა მისი მითითებული მიმართულებით გავიხედე, დავინახე ორი ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებიც თავისუფლების მოედნისკენ მიემართებოდნენ ფეხით. მივხვდი, რომ მელნიკოვი ხელით სწორედ ამ ორ პიროვნებაზე მიუთითებდა გერონტი ალანიას. მათი საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა, გერონტი ალანია უცბათვე დაბრუნდა, ჩაჯდა „მლ"-ში და მითხრა: „იმ ორ კაცს მიუყენეო". სასწრაფოდ დავძარი ა/მანქანა და მართლაც წინ ჩავუყენე იგი გზაზე მიმავალ ორ მამაკაცს. გავაჩერე თუ არა მანქანა, გერონტი ალანია და ალექსანდრე ლაჭავა მაშინვე ჩავიდნენ და ამ ორ მამაკაცთან გაემართნენ. ა/მანქანიდან ჩავედი მეც, მაგრამ კარებსაც კი არ ვიყავი მოცილებული, რომ ფეხი ამიცურდა ყინულზე და იმდენად ძლიერად დავეცი ქვაფენილზე, რომ გონებაც კი დავკარგე რამდენიმე წამით.

როცა წამოვდექი დავინახე, რომ გერონტნი ალანია, ალექსანდრე ლაჭავა და ის ორი ახალგაზრდა მამაკაცი უკვე ა/მანქანაში იჯდნენ... თავი ძალზე მტკიოდა, მაგრამ მაინც დავძარი ა/მანქანა და ვინაიდან ვფიქრობდი, რომ „მოდულის" შენობაში უნდა წავსულიყავით, თავისუფლების მოედნის გავლით ფილარმონიამდეც კი მივედით, მაგრამ აქ გერონტი ალანიამ მკითხა: „სად მიდიხარო" და როცა ჩემი ვარაუდი გადავეცი, მან ა/მანქანის მოტრიალება და ისევ თავისუფლების მოედანზე მისვლა მიბრძანა. მთელი ამ მანძილის გავლის განმალობაში გერონტი ალანია ტელეფონით საუბრობდა, მაგრამ მე იმდენად ცუდად ვგრძნობდი თავს, რომ მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და ამდენად არ ვიცი ვის ესაუბრებოდა იგი და რა თემაზე.

თუმცა რაღაც მომენტში გერონტი ალანიამ ახალგაზრდა მამაკაცს მობილური ტელეფონების წარმოდგენა მოსთხოვა. როგორც მახსოვს, ამ პირებმა მობილურები მართლაც გადასცეს მათ, რის შემდეგაც გერონტი ალანიამ გათიშა მობილურები და ა/მანქანის „ბარდაჩოკში" შეყარა. მახსოვს, ასევე, რომ ეს ახალგაზრდები კითხულობდნენ რა ხდებოდა და სად მივდიოდით, რაზეც ალექსანდრე ლაჭავა და გერონტი ალანია მათ პასუხობდნენ: „მალე მივალთ და ყველაფერს გაიგებთო". თავისუფლების მოედანზე როცა მივედით, გერონტი ალანიამ საქართველოს ბანკთან ა/მანქანის მიყენება მიბრძანა,



## დათა ახალაიას რა მითითებს ასრულებდა ზურაბ ადეიშვილის მარჯვენა ხელი

### დავით ჩხატარაშვილის დაკითხვის ოქმიდან:

- **„მე, მისივე მითითებით, ასული ვიყავი ოქროყანის სასაფლაოზე და დავათვალიერე მიდამო"**
- **„დავით ახალაიას თხოვნით ვუკავშირდებოდი პროკურატურის ხელმძღვანელობას და ვკითხულობდი ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე"**

# გირგვლიანის მკლ
# პროკურატურას სკა

რაც შევასრულე კიდეც. გაჩერებისთანავე იგი გადავიდა ა/მანქანიდან და დაახლოებით 10 წუთი მაინც საუბრობდა მობილური ტელეფონით, ხოლო როცა დაბრუნდა, გერონტი ალანიამ ოქროყანის მიმართულებით წასვლისკენ მიმითითა. გზა ძალიან მოყინული იყო და ა/მანქანა ცურავდა, მაგრამ როგორც კი შესაძლებელი იყო, სოლოლაკის გავლით მე შევუყევი ოქროყანისკენ მიმავალ გზას. ფუნიკულიორისა და კოჯრის გზის გზაგასაყარზე, გერონტი ალანიამ უკან მოტრიალება მიბრძანა, ხოლო დაახლოებით ორასი მეტრის გავლის შემდეგ „გააჩერეო" მითხრა. გავჩერდით თუ არა გერონტი ალანიამ მანქანაში მჯდომი ახალგაზრდების მისამართით დაიძახა: „აბა ეხლა გადმოდითო" და მათივე მისამართით შეიგინა. ამ სიტყვებზე გერონტი ალანია და ალექსანდრე ლაჭავა ჩავიდნენ ა/მანქანიდან და ჩაიყვანეს ორი მამაკაციც, რომლებსაც მაშინვე დაუწყეს ცემა, ალბათ, მოულოდნელობისგან ორივე ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებმაც წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ შეძლეს, მაშინვე თოვლში პირქვე დაემხნენ. ამის დანახვაზე, მეც დავაპირე ა/მანქანიდან ჩასვლა და მათთან მისვლა, რათა გამერკვია რა ხდებოდა, მაგრამ კარების გაღებაც ვერ მოვასწარი, რომ თბილისის მხრიდან იოსებ თოფურიძის სამსახურებრივი ა/მანქანით ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძეც მოვიდნენ... ისინიც სასწრაფოდ გადმოვიდნენ ა/მანქანიდან და გერონტი ალანიასკენ და ალექსანდრე ლაჭავასკენ გაემართნენ, რომლებიც კვლავ განაგრძობდნენ ძირს მწოლიარე პირების ცემას. აქვე გიჩვენებთ, რომ ამ ორი პირის ცემა ხდებოდა გზის სავალ ნაწილზე მდგომი „მლ"-იდან მარჯვნივ მდებარე ტყის მასივის დასაწყისში, გზიდან დაახლოებით ორ მეტრაში. ისე მოხდა, რომ გერონტი ალანიასა და სხვებთან, მე, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე ფაქტიურად ერთად მივედით. რა დროსაც გერონტი ალანიამ დაიძახა: „ქვემოთ შემოატრიეთო"და თვითონ ტყის მასივში უფრო ღრმად შესვლა დააპირა. მის სიტყვებზე ალექსანდრე ლაჭავამ, მიხეილ ბიბილურიძემ და ავთანდილ აფციაურმა თოვლში მწოლიარე ახალგაზრდები წამოაყენეს და ძალა-ძალაობით ტყის მასივში შეიყვანეს. მეც მათთან ერთად ვაპირებდი წასვლას, მაგრამ გერონტი ალანია მომიტრიალდა და მითხრა: „შენ მანქანაში დარჩიო". თავი ძალზე მტკიოდა, რის გამოც გერონტი ალანიას ნათქვამი გამიხარდა კიდეც, მოვტრიალდი და „მლ"-ში ჩავჯექი. დაახლოებით 10 წუთში გავიგონე იარაღიდან გასროლის ხმა, რის გამოც გადმოვედი ა/მანქანიდან და დავაპირე ტყის მასივში შესვლა. სწორედ ამ დროს შევნიშნე, რომ ტყის მასივი სასაფლაოების ტერიტორიაზე იყო განლაგებული, ამიტომ გადავიფიქრე შესვლა და მხოლოდ დავიძახე: „ხომ მშვიდობაა"-მეთქი, რაზეც გავიგონე გერონტი ალანიას ხმა „ამოვდივართო". ამ სიტყვებზე, მე სასაფლაოს ტერიტორიაზე აღარ შევსულვარ, მოვტრიალდი და გზის სავალ ნაწილზე დავიწყე მოცდა. დაახლოებით ორ-სამ წუთში, გზაზე ამოვიდა გერონტი ალანია, რომელიც მაშინვე ჩაჯდა ა/მანქანაში და თბილისისკენ წამოსვლა მიმითითა. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ როცა ა/მანქანა დავძარი სხვა პირები, ვგულისხმობ მიხეილ ბიბილურიძეს, ავთანდილ აფციაურს, ალექსანდრე ლაჭავას, გზის სავალ ნაწილზე გამოსულები არ დამინახავს. მე მხოლოდ გერონტი ალანია დავინახე სასაფლაოებიდან გამოსული და თითქმის მასთან ერთად ჩავჯექი ა/მანქანაში.

.....დავძარი ა/მანქანა და გამოვემართე თბილისისაკენ. ისე რომ გზაში არსად გავჩერებულვართ, პირდაპირ „მოდულის"



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კოვა „პრაიმტაიმმა“



**დავით ქოქიაშვილი: „წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ შეძლეს, მაშინვე თოვლში პირქვე დაემხნენ“**

EXCLUSIVE

# ელობაში ბრალდებული ნდალურ ჩვენებას აძლევს

შენობის ეზოში შევედი, სადაც კიბეებთანვე გავჩერდი. გერონტი ალანიამ მითხრა: „ადი სამსახურშიო“, მაგრამ მე მომერიდა მისი მარტო დატოვება და მასთან ერთად დავრჩი, მიხეილ ბიბილურიძის, ავთანდილ აფციაურისა და ალექსანდრე ლაჭავას მოსვლამდე, რომლებიც მალევე, დაახლოებით ხუთ წუთში შემოვიდნენ ა/მანქანით „მოდულის“ ეზოში. საჭესთან ისევ ავთანდილ აფციაური იჯდა, რომელმაც ა/მანქანის შენობის კიბეებთანვე მოაყენა. გადმოვიდნენ თუ არა ა/მანქანიდან ა.ლაჭავა. მ. ბიბილურიძე და ავთ. აფციაური, ერთ-ერთმა მათგანმა ახადა „მერსედესის“ საბარგული, საიდანაც დავინახე, რომ ამოიღეს ტანსაცმელი, რომელიც „მლ“-ის საბარგულში ჩააწყვეს. ამავდროულად დავინახე, რომ მიხეილ ბიბულურიძემ ტანსაცმლიდან ამოიღო საფულეები(„ლაპატნიკი“), გაშალა ისინი და გერონტი ალანიასთვის მიწოდება დააპირა. თან უთხრა „ფულია და შენ გაყავიო“, მაგრამ გერონტი ალანიას არ გამოურთმევია საფულეები მისთვის ისე დაუბრუნა პასუხი მას: „მე არ მინდა, თქვენ გაინაწილეთო“. ამ სიტყვებზე მიხეილ ბიბილურიძემ საფულიდან ფული ამოკრიბა და დათვლა დაიწყო. ამ დროს დავინახე, რომ ფულის მსხვილი კუპიურები იყო და დაახლოებით 600 ლარს მაინც შეადგენდა ჯამში. გადათვლის შემდგომ, რაღაც ნაწილი მიხეილ ბიბილურიძემ მე გამომიწოდა, მაგრამ ვიუარე და ვუთხარი: „მე არ მინდა“მეთქი. აქვე გიჩვენებთ, რომ ლესელიძის ქუჩაზე დაცემის დროს მე გამიწყდა ქამარი, რის გამოც შარვალს ვერ ვიმაგრებდი და თითქმის სულ ხელით მეჭირა. ეს შენიშნა მიხეილ ბიბილურიძემ და მკითხა, „რა გჭირსო“. როცა ვუთხარი, „ქამარი გამიწყდა მეთქი“, მიხეილ ბიბილურიძემ მითხრა „ეხლავეო“, მივიდა „მლ“-თან და საბარგულიდან შარვალი ამოიღო, რომლიდანაც ქამარი გამოაძრო და გამომიწოდა. მე კვლავ ვიუარე და ქამარი არ გამოვართვი მას. აღნიშნულის შემდეგ, მე დავემშვიდობე მათ და „მოდულის“ შენობაში შევედი. შენობაში შესვლამდე შევნიშნე, რომ გერონტი ალანია, ალექსანდრე ლაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური „მლ“-ში ჩაჯდნენ და „მოდულის“ ეზოდან გავიდნენ.

........ დაახლოებით 2006 წლის თებერვლის შუა რიცხვებში მობილურზე დამიკავშირდა გერონტი ალანია, რომელმაც თავისთან მიმიხმო და დაწვრილებით გამომკითხა ყოველივე იმის შესახებ თუ რას საუბრობდნენ თანამშრომლები და რა ვიცოდი მე. როცა ყოველივე მოვუყევი, გერონტი ალანიას ვუსაყვედურე კიდეც შარში რატომ გამრიეთ მეთქი, მაგრამ მან მიპასუხა: „არ ინერვიულოთ, დათა ახალაია და შ.ს. მინისტრი ვანო მერაბიშვილი საქმის კურსში არიან და ყველაფერს ისინი მოაგვარებენ. ამასთან შენ რა შუაში ხარ, შენ ხომ არ გიცემია ის ბიჭებიო“. ამ სიტყვებზე ვითომ დავწყნარდი, მაგრამ მაინც ვერ შევიკავე თავი და რამდენიმე დღეში დავწერე პატაკი დავით ახალაიას სახელზე, სადაც დაწვრილებით მივუთითე 2006 წლის 27-28 იანვრის ღამით განვითარებული მოვლენები, ჩემი მონაწილეობა ყოველივეში და პირადად შევუტანე დავით ახალაიას კაბინეტში. დავით ახალაიამ გადახედა ჩემს პატაკს, მადლობა მომიხადა და ნაწერი თავისთან დაიტოვა. აღნიშნულიდან, რამდენიმე დღეში მოხდა გერონტი ალანიას, ავთანდილ აფციაურის, მიხეილ ბიბილურიძისა და ალექსანდრე ლაჭავას დაკავება, რაც ჩემთვის მოულოდნელობას ნამდვილად არ წარმოადგენდა, რადგან წინა რამდენიმე დღის მანძილზე სამსახურში თანამშრომლები საუბრობდნენ მოსალოდნელი ამ დაკავების შესახებ. გარკვეულ დაბნეულობას სულ ვგრძნობდი მომხდარის შესახებ, მაგრამ არავინ არაფერს არ მეუბნებოდა და მეც არავინ შემიწუხებია. უკვე სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს დამიძახა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ დავით ჩხატარაშვილმა და მითხრა: „თუ სასამართლოზე დაგიბარეს, საქმის კურსში ჩაგვაყენე უჩემოდ არ წახვიდეო“.

კითხვა მოწმე დავით ქოქიაშვილს: გთხოვთ დამატებით უჩვენოთ რა საუბარი მიმდინარეობდა გერონტი ალანიას, ალექსანდრე ლაჭავას, ავთანდილ აფციაურსა და მიხეილ ბიბილურიძეს შორის, როცა დაბრუნდით „მოდულის“ ეზოში?

ტანსაცმელი, რომელიც მათ გადმოიღეს „მერსედესიდან“ და ჩააწყვეს „მლ“-ში ეკუთვნოდა თუ არა იმ პირებს, რომლებიც თქვენ ყველამ აიყვანეთ ოქროყანის სასაფლაოზე? კონკრეტულად რა ტანსაცმელი იყო ამოღებული ამ მანქანიდან?

პასუხი: რა საუბარი მიმდინარეობდა ზემოთხსენებულ პირებს შორის, გარდა იმისა, რაც უკვე მივუთითე, „მოდულის“ ეზოში ყოფნის დროს, აღარ მახსოვს. დანამდვილებით იმის თქმა, რომ „მერსედესიდან“ ამოღებული ტანსაცმელი ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა იმ პირებს, რომლებიც აყვანილი გვყავდა ოქროყანაში, არ შემიძია. თუმცა ასეთი ვარაუდი ნამდვილად შემიძლია გამოვთქვა, რადგან 2006 წლის 28 იანვრიდან მალევე ვნახე, რომ ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე „მოდულის“ შენობის მესამე სართულის უკანა სახურავზე, იქ სადაც სიგარეტის მოსაწევი ადგილი იყო, წვავდნენ მობილურ ტელეფონებს, პირადობის მოწმობებს, საფულეებს და პლასტიკურ ბარათებს. როცა ვიკითხე რატომ აკეთებდნენ ამას, მიხეილ ბიბილურიძემ მითხრა, რომ ეს იმ პირების ნივთებია ოქროყანაში რომ გვყავდა და თავიდან ვიცილებთო.

... მხოლოდ შემთხვევიდან რამოდენიმე დღეში მიხეილ ბიბილურიძემ მითხრა, რომ გასროლა, რომელიც მე გავიგონე და ოქროყანის სასაფლაოზე ჩვენი ყოფნის დროს მოხდა, მას ეკუთვნოდა. მან მითხრა, რომ გასროლა მოახდია იმის გამო, რომ ერთ-ერთი იქ აყვანილი პირი გაიქცა. ასევე მან მითხრა, რომ მეორე დღეს (სავარაუდოდ 29 იანვარს) მაგ ადგილას მთელი სამმართველო ვიყავით ასული და ჰილზა მოვძებნეთო. შემიძლია დავასახელო მიხეილ ბიბილურიძის მიერ ნახსენები ერთ-ერთი იქ მყოფი პირი იოსებ ხასაიას სახელი, რომელიც ვფიქრობ დაადასტურებს ჰილზის მოძებნის ფაქტს.

**დავით ჩხატარაშვილი, ზურაბ ადეიშვილის მოადგილე:**

- საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ ჩემთვის ცნობილი არაფერი არ არის, გარდა იმ მონაცემებისა, რაც იმ პერიოდში ვრცელდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ასევე შემხებლობა არ მქონია ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში ამავე სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის დავით ახალაიას თხოვნით ვუკავშირდებოდი პროკურატურის ხელმძღვანელობას (ესენი უნდა ყოფილიყვნენ გიორგი ლაცაბიძე და გიორგი ღვინიაშვილი) და ვკითხულობდი ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე. ისინიც მაწვდიდნენ იმ ინფორმაციას, რისი გახმოვანებაც შესაძლებელი იყო და მე მას ვაწვდიდი დავით ახალაიას. დავით ახალაიას ამ საკითხით დაინტერესებას მე ვხსნი იმ გარემოებებით, რომ საზოგადოებაში არსებობდა აზრი მისი ამ საქმეში მონაწილეობის შესახებ და ასევე დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებულნი იყვნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები...

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების გერონტი ალანიასა, ალექსანდრე ლაჭავას, მიხეილ ბიბილურიძის და ავთანდილ აფციაურის ექვმიტანილების სახით დაკავება 2006 წლის 6 მარტს ჩემთვის უცნობია, რადგან ეს საგამოძიებო მოქმედება ჩაატარეს პროკურატურის გამომძიებლებმა. თუმცა მათ დაკავებამდე ზუსტი თარიღის დასახელება მიჭირს, მაგრამ დაკავებამდე რადენიმე დღით, ან შესაძლოა საათით ადრეც, თუ არ ვცდები, თავის სამუშაო კაბინეტში დამიბარა დეპარტამენტის დირექტორმა დავით ახალაიამ და მითხრა, რომ გახსნილია ე.წ. „გირგვლიანის საქმე“ და გარკვეულია, რომ ამ საქმეში ფიგურირებენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები გერონტი (გია) ალანია, ალექსანდრე ლაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური. დავით ახალაიამ მიამბო დაახლოებით ის ვერსია, რაც შემდეგ გახმოვანდა გამოძიების მიერ და მთხოვა შემედგინა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის უნდა გადაგზავნილიყო პროკურატურაში.

...აქვე გიჩვენებთ, რომ დავით ახალაიას თხოვნითვე, რომელსაც აინტერესებდა ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული დაზიანებები სანდრო გირგვლიანს განზრახ მიაყენა ვინმემ თუ მათი მიღება შესაძლებელი იყო მისი გაქცევის შედეგად - დამოუკიდებლად. მე მისივე მითითებით ასული ვიყავი ოქროყანის სასაფლაოზე და დავათვალიერე მიდამო. თუმცა, ვინაიდან ვერანაირ დასკვნამდე ვერ მივედი, დავით ახალაიას ვუთხარი, რომ შეიძლებოდა თუ არა სანდრო გირგვლიანს სხეულზე დაზიანებები მიეღო გაქცევის შედეგად, ვინგესგან დამოუკიდებლად, მე დაზუსტებით ვერ ვიტყოდი. თუმცა, არც ეს ვერსია გამოვრიცხე, რადგან სასაფლაოზე ბევრი ლითონის მესერი იყო რომელზეც დაცემის შედეგად შესაძლებელი იყო სანდრო გირგვლიანს მართლაც მიეღო სწორედ იმ სახის დაზიანებები, რომლებიც ექსპერტიზის დასკვნაში იყო მითითებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას მოითხოვს



## my View

ხათუნა მგალობლიშვილი

სალომე ზურაბიშვილმა გადაწყვეტილება მიიღო. მას სურს საქართველოს პრეზიდენტობა და ამისთვის ბრძოლა უკვე დაიწყო. ის ხვდება ელჩებს, არასამთავრობოების წარმომადგენლებს, ევროკავშირის დიპლომატებს და, რაც მთავარია, საკუთარ ამომრჩევლებს. ზურაბიშვილმა მედიასთან შეხვედრაზე პირობაც დადო, რომ ძალიან მალე საკუთარ საარჩევნო შტაბის წევრებსაც პირადად გაგვაცნობს. საფრანგეთიდან დაბრუნებული პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ივანიშვილი უარს არ ეტყვის. ეს განცდა მას კიდევ უფრო გაუძლიერდა მას შემდეგ, რაც ივანიშვილის ღია განცხადება მიიღო. პრემიერმა სახალხოდ აღნიშნა, რომ მოხარული იქნებოდა ზურაბიშვილის საარჩევნო მარათონში ხილვისა, თუმცა ამ სიტყვებს მთელი ახსნა განმარტებები მოსდევს. პრემიერის განცხადების გაგრძელება იყო იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის სურვილიც. ოფიციალურად ივანიშვილის მთავრობა მიესალმება ყველა კანდიდატს, ვისაც პრეზიდენტობაზე პრეტენზია აქვს, თუმცა მათ შეზღუდვას მაინც უწესებენ. საბოლოოდ კი ყველაფერი კანონებს ბრალდება და არა ცესკოს ან თუნდაც ხელისუფლებას. ერთადერთი წევრი უმრავლესობიდან, რომელმაც პირდაპირ გაუბედა სიმართლის თქმა სალომე ზურაბიშვილს, ირინა იმერლიშვილი იყო.

**ირინა იმერლიშვილი, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:**

- გამონაკლისის სახით ვერავინ ვერ დარეგისტრირდება, იმიტომ რომ კანონი ყველასთვის კანონია. მიუხედავად ადამიანების დამსახურებისა და პატივისცემისა, მიუხედავად იმისა, ღირსეულია ადამიანი თუ არა, სანამ ცვლილებები ძალაში არ შესულა, ქალბატონ სალომეს არა აქვს უფლება, რომ შეიტანოს... უფრო სწორად, შეიტანს, მაგრამ არ დაარეგისტრირებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მსგავსად სხვა მოქალაქეებისა.

სწორედ ამიტომ ოპონენტები ზურაბიშვილს ურჩევენ ჯერ ცესკოს გადაწყვეტილებას დაელოდოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს კანდიდატისთვის განკუთვნილი ნაბიჯების გადადგმა. თუმცა ზურაბიშვილი სიჯიუტით ადრეც გამოირჩეოდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა 2009 წლის საპროტესტო აქციები იმართებოდა. ზურაბიშვილი, მაშინდელივით, დღესაც დარწმუნებულია, რომ სასამართლოს ავლით დაადგება საარჩევნო გზას...

**სალომე ზურაბიშვილი:**

- მინდა მივესალმო პრემიერის განცხადებას და იმ კეთილ სურვილებს, რომელიც გამოთქმული იყო ჩემ მიმართ. ასევე მინდა მივესალმო პრემიერის განცხადებაში გამოთქმულ აზრს, რომ მთავარია კანონის უზენაესობა. ცხადია, რომ ჩემი კანდიდატურის მიმართ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ცესკოს მიერ. მე კარგად შევისწავლე კონსტიტუცია, ყველას შეუძლია ნახოს რამდენად მარტივია კონსტიტუციის მიხედვით ჩემი კანდიდატურის დარეგისტრირება. თუ ცესკოს პრეროგატივა არის იმსჯელოს ჩემს კანდიდატურაზე და განიხილოს საკითხი, ხელისუფლების მიერ აღებული პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა არის ჩაატაროს სამართლიანი არჩევნები. ჩემ გაგზავნილ წერილში არანაირი თხოვნა არ ყოფილა, მე არ ვითხოვ არანაირ დათმობას, არც არანაირ ცვლილებას კანონში, ან მის ჩემზე მორგებას, არც პრივილეგიას, მე ვითხოვ, რომ შესრულდეს ის, რაც კანონით არის დაწესებული. მე თხოვნით არ მივმართე პრემიერს, მე მოვითხოვე შეხვედრა. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს შეხვედრა მალე შედგება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება ყველაზე სამართლიანი და ყველაზე გამჭვირვალე არჩევნები.

**- რომელ მუხლებზეა საუბარი?**

- 70-ე მუხლი არის ის მუხლი, რომელიც აწესებს, თუ რა სჭირდება კანდიდატს, სწორედ ამ მუხლზე იმსჯელებს ცესკო.

**- თქვენ ცესკოს გადაწყვეტილებას ელოდებით თუ უკვე იწყებთ არჩევნებისთვის მზადებას?**

- უკვე ვიწყებ მზადებას, აბა რა?!

**- ანუ დარწმუნებული ხართ, რომ ცესკო დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს თქვენთან მიმართებაში?**

- მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ქვეყანაში კანონი შესრულდება.

**- ვინ წარგადგენთ?**

- მე ვარ დამოუკიდებელი კანდიდატი. უკვე დიდი ხანია ჩამოვშორდი პარტიას და მის პოლიტიკურ აქტიურობას, ვთვლი, რომ პრეზიდენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი და არა პარტიული.

**- ცესკოს უარის შემთხვევაში სარჩელს თუ შეიტანთ?**

- რა უარი? დარწმუნებული ვარ, კანონი შესრულდება. მოხარული ვარ, რომ პოლიტიკური ძალები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოების დიდი ნაწილი... შეთანხმდნენ ერთ მარტივ და ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე, რომ კონსტიტუცია არ უკრძალავს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს არჩევნებში საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებას. კიდევ უფრო მოხარული ვარ, რომ საზოგადოება გაერთიანდა არა ჩემი კანდიდატურის, არამედ სიმართლისა და კანონის უზენაესობის ირგვლივ. ცოტა არ იყოს, ამ თანხმობის ფონზე უცნაურად ჟღერს უმრავლესობის აღმასრულებელი მდივნის ქალბატონი ირინა იმერლიშვილის განსხვავებული და გაუგებარი განცხადება: -ცენტრალური საარჩევნო კომისია არ დაარეგისტრირებს ზურაბიშვილს.





## სალომე ზურაბიშვილი: „მე თხოვნით არ მივმართე პრემიერს, მე მოვითხოვე შეხვედრა... ეს შეხვედრა მალე შედგება“

რეალურად ზურაბიშვილს მოუწევს მიმართოს სასამართლოს, რადგან, როგორც უკვე აცხადებენ, ცესკო კანონის სრული გათვალისწინებით, მას კანდიდატურის დარეგისტრირებაზე უარს განუცხადებს. როგორ განვითარდება მოვლენები ცესკოს უარის შემდეგ - სწორედ ეს არის ყველაზე საინტერესო.

**ლევან ალაფიშვილი, ექსპერტი:**

- როდესაც ხმალაძემ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება გააკეთა, სწორედ ეს უნდა მიეღოთ, მაგრამ ვერ მოასწრეს. ინიცირება გააკეთეს და გვიან მიხვდნენ, რომ ის უნდა მიეღოთ. დროზე უნდა ეზრუნათ კონსტიტუციური ქაოსის გამოსწორებაზე. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ცესკო მაინც ვერ აიღებს თავის თავზე სრულად პასუხისმგებლობას და ეტყვის უარს. ამით სრულად გაიხსნება გზა სასამართლოსკენ. სასამართლოს მოუწევს ამ ყველაფერზე გადაწყვეტილების მიღება. სალომე ზურაბიშვილის საქართველოს მოქალაქეობა არ არის საკმარისი მისი კანდიდატად დარეგისტრირებისთვის.

**- რამდენად დააკმაყოფილებს სასამართლო მის მოთხოვნას?**

- წმინდა იურიდიულად შემიძლია ვთქვა, რომ არსებობს სრული საფუძველი იმისა, რომ არ დაკმაყოფილდეს ზურაბიშვილის მოთხოვნა.

**- რა შემთხვევაში დააკმაყოფილებს სასამართლო დადებითი გადაწყვეტილებით?**

- თუ შედგება პოლიტიკური შეთანხმება მაშინ ცესკოშივე მოხდება საკითხის გადაწყვეტა, თუმცა თუ საქმე სასამართლომდე მივა, ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, სალომე ზურაბიშვილის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შანსი ძალიან მცირეა, ვერ ვხედავ პრაქტიკულად ამის შანსს.

**- მაშინ როგორ შეიძლება აიხსნას ივანიშვილის განცხადება?**

- იმ პოლიტიკური ძალის განცხადება, რომელსაც ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა აქვს დემოკრატიული არჩევნების გარემოს შექმნაზე, ბუნებრივია, ეს გასაგებიც არის. ეს იყო სწორი განცხადება, რადგან ივანიშვილი აცხადებს, რომ ის მიესალმება ჯანსაღ გარემოში ჩატარებულ არჩევნებს. რა თქმა უნდა, ასეც უნდა ეთქვა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა განაჩენით დასრულდება ციხ



„ერთი მხრივ, საქმეში არსებობს ეს შეცვლილი ჩვენებები, მეორე მხრივ კი, სამი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი, საიდუმლო პატაკი, ფარული ჩანაწერები. სწორედ ამ ორ მოცემულობას შორის უნდა გააკეთოს მოსამართლემ არჩევანი“

მირიან ბოქოლიშვილი

**ციხის ბუნტის გახმაურებული საქმის სასამართლო განხილვა ფინალს უახლოვდება... სავარაუდოდ, სექტემბრის შუა რიცხვებში მოსამართლე საბოლოო განაჩენს გამოაცხადებს. მოსამართლემ უდანაშაულოდ უნდა სცნოს ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმდროინდელი თავმჯდომარე ბაჩო ახალაია, რომელსაც უფლებამოსილების გადამეტებასა და არაადამიანურ მოპყრობას ედავებიან, ან ის „კანონიერი“ ქურდები, რომლებიც 2006 წელს სწორედ ციხის ბუნტის ორგანიზებისთვის გაასამართლეს. ახალაიას ადვოკატი მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგ პროკურატურას არ გააჩნია არანაირი მტკიცებულება, გარდა სასჯელაღსრულების სისტემის ორი იმდროინდელი მაღალჩინოსნის შეცვლილი ჩვენებისა. სანამ ადვოკატ გოგა ონიანის მოსაზრებებს გაგაცნობთ, მოდით მცირე ექსკურსი გავაკეთოთ:**

როგორც ყველასთვის ცნობილია, 2006 წლის 26 მარტს მომხდარი ციხის ბუნტისთვის განსასჯელის სკამზე ამჯერად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარე ბაჩო ახალაია ზის, თუმცა იყო დრო, როდესაც იმავე სკამზე და იმავე საქმისთვის ექვსი პირი გაასამართლეს. გამოძიების იმდროინდელი ვერსიით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მასობრივ არეულობას ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფი პატიმრები, „კანონიერი ქურდები“: მალხაზ ზედელაშვილი, პლატონ მამარდაშვილი, ნიკოლოზ მახარაძე და კრიმინალური „ავტორიტეტები“: ზურაბ ვიბლიანი, გიორგი ავალიანი და ლევან ცინდელიანი ხელმძღვანელობდნენ. საბრალდებო დასკვნის თანახმად, დაწესებულებაში ყოფნისას, ისინი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია და ამავე დაწესებულებების ადმინისტრაციაზე თავდასხმის მიზნით დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნა, რასაც უნდა გამოეწვია სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შეჩერება და ქურდული ტრადიციების აღდგენა-გაძლიერება.

„ამ მიზნით, ზემოხსენებულმა პირებმა გადაწყვიტეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში მოთავსებული სპეცკონტინგენტისთვის მოეწოდებინათ არეულობისა და მასობრივი დაუმორჩილებლობისკენ, შეერჩიათ დანაშაულებრივი დაჯგუფების აქტიური წევრები, რომელთა მოქმედებაც გამოიწვევდა უმართავ პროცესებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში, რასაც საბოლოოდ მოჰყვებოდა დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შეცვლა და ძველი, ე.წ. „ქურდული ტრადიციების აღდგენა“, – ასეთი გახლდათ იმდროინდელი ბრალდების პოზიცია ციხის ბუნტზე, რომელსაც, ოფიციალური ინფორმაციით, 7 პატიმრის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ყველაფერი კარდინალურად ხელახალმა გამოძიებამ შეცვალა, თუმცა, როგორც ახალაიას ადვოკატი მტკიცებს, ძირითადი მტკიცებუ- ...ბები კვლავ იგივე რჩება. ... მთავარ კოზირად კი ... დაცვის მხარე საიდუმლო პატაკს მიიჩნევს, რომელიც დაწესებულების ხელმძღვანელმა ბაჩო ახალაიას გაუგზავნა.

**გოგა ონიანი, ახალაიას ადვოკატი:**

– როგორც ცნობილია, ციხის ბუნტი დაიწყო ე.წ. რეზბალნიციდან. წარმოდგენილ სისხლის სამართლის საქმეში დევს მასალები, რითაც ირკვევა, რომ სანამ ბუნტი დაიწყებოდა, ოპერატიულმა თანამშრომლებმა, მათ შორის არსენ ხუხუამ და მალხაზ სინაურიძემ მიიღეს ინფორმაცია, რომ კრიმინალური სამყარო აპირებდა ბუნტის მოწყობას. სინაურიძეს, რომელიც იმ დროს „რეზბალნიცის“ დირექტორი გახლდათ, დაწერილი აქვს საიდუმლო პატაკი, რითაც მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაიას და შეატყობინა, რომ კონკრეტული პირები აპირებენ ბუნტის მოწყობას, სინაურიძე ითხოვდა დეპარტამენტის რეაგირებას. პატაკში ხსენებული პირების ციხის საავადმყოფოდან გამოყვანის პროცესში, მათი მხრიდან მოხდა პროვოცირება და შეძახილები. ეს გადაედო მე-5 საპყრობილეს, ე.წ. კრიტს და გამოიწვიეს პატიმრების მასობრივი მღელვარება. იმთავითვე ჩატარდა გამოძიება, დაიკითხნენ პატაკის დამწერი პირები, მათ შორის სინაურიძეც. მათ ახსნეს საიდან ჰქონდათ ეს ინფორმაცია. ამის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებებით სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და ბუნტის ორგანიზებაში დამნაშავედ სცნო 6 პირი. აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომაც. ამავე დროს ცალკე გამოიყო საქმე, რომელიც ეხებოდა სპეცრაზმელების მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტებას. ეს ხდება წინა ხელისუფლების პირობებში. არაერთი პირი დაიკითხა, მაგრამ ძალის გადამეტება არ დადასტურდა, თუმცა ეს გამოყოფილი საქმე ამ დრომდე იდო პროკურატურაში. დღეს ეს საქმე გააცოცხლა პროკურატურამ, მაგრამ წაიყვანეს იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც თავად აწყობდათ. თავიდან დაკითხეს დეპარტამენტის იმდროინდელი მაღალჩინოსნები, კერძოდ, მალხაზ სინაურიძე და გოგა ფოლადაშვილი. კბილაშვილის უწყებაში პირველი დაკითხვის დროს მათ ზუსტად იგივე ჩვენება მისცეს, რაც თავის დროზე ჰქონდათ მიცემული. მაგრამ აი რა ხდება სულ რაღაც ერთ კვირაში: ეს ადამიანები „საკუთარი ნებით“ მიდიან პროკურატურაში, სინდისის ქენჯნა გვაწუხებს და სიმართლე უნდა ვთქვათო. ორივე მათგანი ფოლადაშვილი და სინაურიძე





ცვლიან ჩვენებებს. ამჯერად უკვე ფოლადაშვილი აცხადებს, რომ ბაჩო ახალაიამ დაურეკა და „რეზბალნიციაზე“ გადასვლა სთხოვა, სადაც თითქოს ნახა, როგორ სცემდა და თმებს პარსავდა კანონიერ ქურდებს ახალაია. რაც შეეხება სინაურიძეს, ის შეცვლილ ჩვენებაში ამბობს, რომ ბაჩო ახალაია და მისი თანმხლები პირები მოვიდნენ „რეზბალნიცაზე“, დაუწყეს ცემა კანონიერ ქურდებს, რასაც მოჰყვა ბუნტი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ის ბუნტის გახმაურებული საქმე?

# როდის დაიწერა საიდუმლო პატაკი, რომელიც სასამართლოში მთავარ მტკიცებულებად არის წარმოდგენილი?

**„ვიბლიანი, საერთოდ კრუნჩხვაში ჩავარდა, მკვდარი მეგონა. რკინის დუბინკებით გვირტყამდნენ და აბა, რა იქნებოდა, მთელი სხეული დამსკდარი გვქონდა და სისხლი გვდიოდა“**

**– და რითი ხსნის ის იმ პატაკს, რომელიც პირველი ჩვენების მიხედვით, ბუნტამდე ჰქონდა დაწერილი ახალაიას სახელზე?**

– შეცვლილ ჩვენებაში ის ამბობს, რომ პატაკი რეალურად ციხის ბუნტის მერე დაწერა. ეს რომ მართლაც ასე იყოს, გამომძიებელი შევიდოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, ამოიღებდა იმ ჟურნალებს სადაც ტარდება საიდუმლო პატაკები, დანიშნავდა ექსპერტიზას და მარტივად გაირკვეოდა რეალურად ჟურნალი ქრონოლოგიურად სწორადაა შევსებული, თუ გადაწერილია. გამოძიებას ეს არ გაუკეთებია. რატომ? იმიტომ რომ პატაკი მართლაც ბუნტის დაწყებამდე დაიწერა და სინაურიძეს ჰქონდა ამის შესახებ ინფორმაცია. დღეს ამ საქმეში არაფერი არ არის შეცვლილი გარდა ამ ორი ადამიანის ჩვენებისა. და რა გარანტიაა, რომ ეს ადამიანები ხვალ არ გამოვლენ და კიდევ ერთხელ არ შეცვლიან ჩვენებას? ანუ, ერთი მხრივ, საქმეში არსებობს ეს შეცვლილი ჩვენებები, მეორე მხრივ კი სამი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი, საიდუმლო პატაკი, ფარული ჩანაწერები. სწორედ ამ ორ მოცემულობას შორის უნდა გააკეთოს მოსამართლემ არჩევანი. ფაქტობრივად, მან ან უნდა გაამართლოს ბაჩო ახალაია, ან კანონიერი ქურდები.

**– და თუკი სინაურიძემ და ფოლადაშვილმა ჩვენება შეცვალეს, გამოდის, რომ მათ თავის დროზე ცრუ ჩვენება მისცეს...**

– დიახ, მათი ლოგიკით, წინა გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცეს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. ჩვენ პროკურატურაში შევიტანეთ ამასთან დაკავშირებით განცხადება. გარდა ამისა, სინაურიძე დღეს ამბობს, რომ საიდუმლო პატაკი ბაჩო ახალაიას სახელზე დაწერა ბუნტის შემდეგ. თუ ეს მართალია, მაშინ მას დოკუმენტაციის გაყალბებისთვის ასევე უნდა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მაგრამ რატომღაც პროკურატურა ამაზე გამოძიებას არ იწყებს. არანაირი რეაგირება ჩვენს მიერ შეტანილ განცხადებას არ მოჰყოლია. იმის მაგივრად, რომ ეს საჩივარი დაწეროდა საგამოძიებო ნაწილს, დაეწერა პიროვნებას რომელიც გამოდის ბრალმდებლად ბუნტის საქმეზე. ეს არის რეზო ნადოი.

ფოლადაშვილისა და სინაურიძისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის საქმეში უცვლელად ფიგურირებს იმ პირთა ჩვენებები, რომლებიც ციხის ბუნტის საქმეზე უკვე გაასამართლეს. ისინი თავს მაშინაც და ახლა უდანაშაულოდ მიიჩნევენ და ბუნტის ინსპირირებაში სწორედ ბაჩო ახალაიას ადანაშაულებენ. ლევან ცინდელიანი, ერთ-ერთია, რომელიც 2006 წელს ამ საქმისთვის გაასამართლეს. საბრალდებო დასკვნაში ის „კრიმინალურ ავტორიტეტად“ არის მოხსენიებული; ცინდელიანმა საპყრობილე რამდენიმე თვის წინ დატოვა. „პრაიმტაიმმა“ მაშინ მასთან ექსკლუზიური იტერვიუც ჩაწერა, სადაც ყოფილი პატიმარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას დეტალურად იხსენებდა.

**ლევან ცინდელიანი, ყოფილი პატიმარი:**

– ჩემი დაკავება მოხდა 2005 წლის ოქტომბერში, როდესაც ნარკოტიკები ჩამიდეს და შემომთავაზეს, ხელი დამედო კონკრეტული ადამიანისთვის, ვითომ მისგან ვიღებდი ნარკოტიკს, რაზეც უარი განვაცხადე. უარი რომ მიიღეს, თქვეს, ეს ქურდული ტრადიციების მატარებელი იქნება, ციხეში ყოფნა ურჩევნია ვინმეს დასმენასო. სამი დღე მამყოფეს სოდის „კაპეზეში“, სადაც მიდიოდა ზეწოლა, რომ მეღიარებინა. საბუთებიც შეცდომით შეავსეს, რომ ვერაფერი გააწყვეს და მთხოვდნენ, ძველი რიცხვით მომეწერა ხელი, ბოლოს ჩემს ნაცვლად თავად მოაწერეს ხელი დაკითხვის ოქმს. შემდეგ ადვოკატი მომიგზავნეს და მითხრა, არ გაახმაუროთ ეს საქმე და საპროცესოს გაგიკეთებთო. ისეთი დრო იყო, აზრი არ ჰქონდა ამათთან ბრძოლას, ამიტომ დავთანხმდი. ამ პერიოდში გავიდა ორი თვე, „ცე“ ჰეპატიტი დამემართა და ციხის საავადმყოფოში გადამიყვანეს. დღე-დღეზე ველოდებოდი საპროცესოთი გასვლას. კვირა საღამო იყო, ლოგინზე ვარ წამოწოლილი და ციხის თანამშრომელი შემოვიდა, – დირექტორის კაბინეტში გიბარებენო. სანამ ადმინისტრაციის შენობასთან მივიდოდი, ეზოში სპეცრაზმელები შევნიშნე, თავიდანვე მეუცნაურა ეს ფაქტი. თვითონ შენობაშიც უამრავი ნიღბიანი იყო მობილიზებული. გავიარე დერეფანი, შევედი დირექტორის კაბინეტში, სადაც უმოწყალოდ ურტყამდნენ ავალიანსა და ვიბლიანს. ორივე სასტიკად იყო ნაცემი. კაბინეტში იმყოფებოდა




ბაჩო ახალაია იარაღით, ასევე დავით ჭაკუა და მეგის ქარდავა. ბაჩო პირდაპირ იარაღის ტარს ურტყამდა მათ თავში. მახსოვს, ვიდეოკამერით იღებდნენ ამ ყველაფერს. იქვე სკამზე იჯდა კიდევ ერთი პატიმარი, რომელსაც მანამდე არც ვიცნობდი. პლატონ მამარდაშვილი ყოფილა. მე კარის შეღებისთანავე მომადგნენ. ერთი კითხვაც არ დაუსვამთ, ისე დამიწყეს ცემა.

**– და თუ რეალურად არაფერ შუაში იყავი, როგორ ფიქრობ, რატომ ამოგარჩიეს მაინცდამაინც შენ?**

– არ ვიცი, პროკურატურაშიც მაგას მეკითხებოდნენ ახლა. ვიბლიანი, საერთოდ, კრუნჩხვაში ჩავარდა, მკვდარი მეგონა. რკინის დუბინკებით გვირტყამდნენ და აბა, რა იქნებოდა, მთელი სხეული დამსკდარი გვქონდა და სისხლი გვდიოდა. ჩაგვიყვანეს და დაგვყარეს ეზოში, პატიმრებმა რომ დაინახეს ფანჯრებიდან ეს ყველაფერი, მკვდრები ვეგონეთ და სწორედ ამას მოჰყვა პროტესტი. ატეხეს ხმაური, რომელიც გადაედო ციხეს, მე-5 საპყრობილეს, შემდეგ იქ შევარდნენ და იქ ჩახოცეს ბიჭები. ოფიციალურად 7 გარდაცვლილი დააფიქსირეს, მაგრამ ძალიან ბევრი დამალეს. ჩვენ ჩაგვყარეს საბადრაგო მანქანაში და ისე გაგვიყვანეს. ზურა ვიბლიანს ენა ჰქონდა გადაყლაპული, პირი გავუხსენით მანქანაში და ძლივს ამოიხროტინა. მიგვიყვანეს მეშვიდეში, ე.წ. ქურდების

**„პატიმრებმა რომ დაინახეს ფანჯრებიდან ეს ყველაფერი, მკვდრები ვეგონეთ და სწორედ ამას მოჰყვა პროტესტი. ატეხეს ხმაური, რომელიც გადაედო ციხეს, მე-5 საპყრობილეს, შემდეგ იქ შევარდნენ და იქ ჩახოცეს ბიჭები. ოფიციალურად 7 გარდაცვლილი დააფიქსირეს, მაგრამ ძალიან ბევრი დამალეს“**

ციხეში, იქაც ნიღბიანები დაგვხვდნენ, სადაც არანაკლებ გვცემეს, აგვათრიეს კიბეებზე და შეგვყარეს ერთ საკანში. მეორე დღეს სახალხო დამცველმა გვინახულა, სოზარ სუბარმა თავისი თვალით ნახა, რა მდგომარეობაში ვიყავით, მანამდე შემოგვიყარეს ლეიბი და ტანსაცმელი, რომელიც სოზარის ვიზიტის მერე უკან წაიღეს. დაახლოებით 14 დღის შემდეგ სასამართლოზე გაგვიყვანეს, საქმე აღძრეს და ბუნტის ორგანიზება დაგვაბრალეს, ჩვენ ოთხს და პლუს ორს – მახარაძესა და ზედელაშვილს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შალვა ფიფია: „წელს რთვე

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**„წიწილებს შემოდგომით ითვლიანო“ ნათქვამია და წლის განმავლობაში გაცემული დაპირებების შემდეგ, სოფლის მეურნეობის სამინისტროც „მოსავლის“ აღების სამზადისშია. სულ მალე კახეთში რთველი იწყება, პროცესი, რომელიც ყოველთვის პოლიტიზირებული იყო და ხშირად ერთ დიდ საარჩევნო პიარივენთად იქცეოდა ხოლმე, წელსაც საარჩევნო პერიოდს ემთხვევა, თუმცა სოფლის მეურნეობის მინისტრი პირობას დებს, რომ წელს რთველი დეპოლიტიზირებული იქნება და ერთ-ერთი მთავარი განსხვავებაც წინა წლებთან შედარებით, სწორედ ეს იქნება. მინისტრი შალვა ფიფია პროცესში ყოველგვარ ძალისმიერ ჩარევას გამორიცხავს, ის ამბობს, რომ წელს პირველად, სახელმწიფო აღარ იქნება მთავარი მოთამაშე ღვინის ბაზარზე და ძირითადი აქცენტი ინდუსტრიაზე, ანუ კერძო კომპანიებზე გაკეთდება, რომლებიც წელს სახელმწიფო სუბსიდიით ისარგებლებენ, ხოლო გლეხი ჩაბარებული ყურძნის ფულს პირდაპირ მათგან აიღებს.**

რა ჯიშის ყურძენზე გავრცელდება სუბსიდია და ხარისხის, რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქცია - რთველის დაწყების წინ, „პრაიმტაიმის” კითხვებს სოფლის მეურნეობის მინისტრი, შალვა ფიფია პასუხობს.

**შალვა ფიფია:** „რთველისთვის მოსამზადებელი სამუშაოები ჩვენ ივნისის პირველი რიცხვებიდან დავიწყეთ. სწორედ ივნისის დასაწყისში გვქონდა პირველი შეხვედრა ინდუსტრიასთან. ეს რთველი იქნება თვისობრივად განსხვავებული, ვიდრე წინა წლებში იყო. განსხვავება ის არის, რომ ჩვენ ახლა ვართ გარდამავალ ეტაპზე, რომ მთელი ეს პროცესი დარეგულირდეს ბაზრის მიერ და აღარ მოხდეს მასში სახელმწიფოს უხეში ჩარევა, ხშირ შემთხვევაში ძალისმიერი, როგორც ეს ხდებოდა წინა ხელისუფლების პერიოდში. ამას ემატება ის, რომ დღეს უკვე გახსნილია რუსული ბაზარი, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელებისთვის, ასევე მინერალური წყლებისთვის და ბოლო ორი თვის განმავლობაში უკვე 5,6 მილიონ ბოთლზე მეტია გასული რუსულ ბაზარზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ინდუსტრიისთვის. გარდა რუსული ბაზრისა, სხვა ბაზრების მიმართულებითაც არის მნიშვნელოვანი ზრდა. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ რუსეთი არის ერთადერთი ბაზარი, ან ყველაზე მნიშვნელოვანი. დღეის მდგომარეობით, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ექსპორტის 43%-იანი ზრდა გვაქვს. ამ 43%-ის ნახევარი მოდის რუსეთის ბაზარზე, მაგრამ დანარჩენი პროცენტული მაჩვენებელი მოდის უკვე სხვა ბაზრებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი, თავისი მოცულობით, ამ ეტაპზე, უკრაინის ბაზარია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ბელორუსის, პოლონეთის, ჩინეთის და ევროპის ქვეყნების ბაზრები, სადაც ასევე გადის ქართული პროდუქცია. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ ზრდის ეს ტენდენცია შენარჩუნდება და ჩვენ შევძლებთ, რომ უცხოურ ბაზრებზე კიდევ უფრო ხარისხიანი პროდუქცია გავიტანოთ.

როდესაც წინა წლებთან შედარებით სხვაობაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს სახელმწიფო არ იქნება მთავარი მოთამაშე ღვინის ბაზარზე. მაგალითისთვის გეტყვით, რომ 2012 წელს სახელმწიფო, არსებული ორი სახელმწიფო კომპანიით შევიდა ბაზარზე და იყიდა ინდუსტრიის მიერ გადამუშავებული მოსავლის დაახლოებით 60 %. სახელმწიფომ ამით ინდუსტრიას დაუდგინა ფასი და ძალიან უხეშად ჩაერია თამაშის წესებში. წელს ასე არ იქნება. ინდუსტრია, ანუ კერძო კომპანიები იქნებიან ძირითადი მოთამაშეები. სახელმწიფო კომპანიების მიერ კი მოხდება იმ ყურძნის შესყიდვა, რომელიც არ იქნება საინტერესო ინდუსტრიისთვის.

რაც შეეხება პროდუქციის ფასს - გახსოვთ, ალბათ, წინა პერიოდში როგორც იყო - ის ორი სახელმწიფო კომპანია შედიოდა და ამბობდა, რომ ყიდულობენ ყურძენს ლარად და იყიდიდნენ მოსავლის 60%, შესაბამისად, კერძო კომპანიებიც იძულებული ხდებოდნენ, რომ მათაც ეს თანხა გადაეხადათ. წელს სხვანაირად იქნება. ჩვენ სექტორს შევთავაზეთ სუბსიდირების სრულიად ახალი სქემა. სუბსიდირება არ მოხდება ვაუჩერების სახით, რადგან მევენახეს მთელი რიგი პროცედურული საკითხების გამო ექმნებოდა პრობლემები. წელს ქარხნების პირდაპირი სუბსიდირება მოხდება. ჩვენ, მეღვინეებს შევთავაზეთ ასეთი პირობა - საუბარია, რა თქმა უნდა, კონდიციურ ხარისხიან, ტექნიკურ სიმწიფეს მიღწეულ ყურძენზე, რომელზეც გავრცელდება სუბსიდია, თუ თქვენ ჩაიბარებთ ამ ყურძენს ლარად, ან უფრო მაღალ ფასად, თქვენ მიიღებთ სუბსიდიას; თუ თქვენ ყურძენს ლარზე დაბალ ფასად ჩაიბარებთ, მაშინ სუბსიდიას ველარ მიიღებთ. გამოდის ის, რომ მეღვინე თუ გადაიხდის ყურძენში ლარს, ის ამისთვის მიიღებს თანხას და ყურძნის ღირებულება მისთვის იქნება ლარს მინუს სუბსიდიის თანხა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ის გადაიხდის 90 თეთრს, არანაირი სუბსიდია მას არ ექნება. აქედან გამომდინარე, მეღვინეების ინტერესშია, რომ ყურძენში გადაიხადონ ის ფასი, რომელიც ექვემდებარება სუბსიდიას. თავისთავად ეს სუბსიდია ირიბი გზით მიდის ისევ გლეხთან, მაგრამ სახელმწიფო ნაკლებად ერევა გლეხსა და მეღვინეს შორის ურთიერთობაში. გარდა ამისა, გლეხი პირდაპირ თანხას იღებს და მას აღარ უწევს ბანკში რამდენჯერმე მისვლა. გლეხი კუთვნილ თანხას პირდაპირ მეღვინისგან მიიღებს, ხოლო მეღვინე სუბსიდიას, მის მიერ გლეხისთვის თანხის გადახდის შემდეგ, შესაბამისი რაოდენობის მიხედვით მიიღებს.

მნიშვნელოვანია ის, რომ წელს სუბსიდია გავრცელდება სამი ჯიშის ყურძენზე - რქაწითელზე, საფერავსა და კახურ მწვანეზე. კახურ მწვანეზე წინა პერიოდში არ ვრცელდებოდა სუბსიდია და ხშირად იყო შემთხვევები, როცა გლეხს მოჰქონდა რქაწითელი, სადაც გარკვეული რაოდენობა იყო კახური მწვანეც (რადგან მოგეხსენებათ რომ ჩვენი ვენახები ხშირად შერეულია, რქაწითელი და კახური მწვანე ერთ ვენახშია დარგული) და ამის გამო ყურძნის მიღების დროს იქმნებოდა პრობლემა, რადგან ერთი ჯიში იყო სუბსიდირებული, მეორე კი - არა. ახლა ასე არ იქნება. სუბსიდია გავრცელდება სამივე ჯიშზე. წელს იქნება პირველი წელი, როცა სუბსიდიის ოდენობა კილოგრამ საფერავზე იქნება უფრო ნაკლები და მეტი რქაწითელსა და მწვანეზე. ეს ხდება ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე, რადგანაც წითელ ღვინოზე გაცილებით მაღალია მოთხოვნა ბაზარზე.

ძალიან მნიშვნელოვანია ის თემაც, რომ წელს აღარ იქნებიან ქვეყანაში ე.წ. „ფაშისტები“, როგორც ეს წინა წლებში იყო. დიდ მევენახეს, რომელსაც ჰქონდა 10 ჰა და ზემოთ, არა თუ ჰქონდა საშუალება სუბსიდიის მიღებისა, არამედ ხშირად მას ძალისმიერი მეთოდებით უკრძალავდნენ, ან უზღუდავდნენ ყურძნის ჩაბარებას ინდუსტრიისთვის. ეს იყო სოციალური საკითხი, რადგან დიდი მევენახეები არიან ძალიან ცოტა, მცირე მევენახეები კი - ბევრნი და იმისთვის, რომ ეს პროცესი სოციალურად პოპულარული ყოფილიყო, მთავრობა ხელოვნურად, ძალით ზღუდავდა დიდ მევენახეებს და სუბსიდიის მიღების საშუალებას, მხოლოდ მცირე მევენახეებს აძლევდა. თავისთავად ეს არ არის სწორი. რატომ უნდა მოვახდინოთ დისკრიმინაცია იმ მევენახის, რომელსაც აქვს ვთქვათ 11 ჰა?! რით განსხვავდება ის იმ მევენახისგან, რომელსაც აქვს 9 ჰა?! აქ საუბარია ისეთ ფერმერებზე, რომლებსაც კარგი და ხარისხიანი ყურძენი აქვთ, შესაბამისად, ჩვენ ეს თემა საერთოდ მოვხსენით დღის წესრიგიდან და წელს უკვე ნებისმიერი მევენახე შეძლებს ინდუსტრიისთვის ყურძნის ჩაბარებას და სუბსიდიის მიღებას.

დღეის მდგომარეობით მთელი ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 160-მდე მსხვილი მევენახეა, რაც შეეხება კომპანიებს, დაახლოებით 80-მდე კომპანიაა ბაზარზე და მათი აბსოლუტური უმრავლესობა მიიღებს წელს სუბსიდიას. თუმცა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ხარისხიან, კონდიციურ, ტექნიკურ სიმწიფეს მიღწეულ ყურძენზე. წინა პერიოდში, ხელისუფლების პოპულიზმის გამო რთველი იწყებოდა ძალიან ადრე. ტექნიკურ სიმწიფეს მიუღწეველი ყურძენი კი მძიმეა და მოსავალიც შეიძლება რამდენიმე კილოგრამით მეტი მიეღო კაცს, მაგრამ ეს პირდაპირ ისახებოდა ღვინის ხარისხზე. ჩვენი მიზანი არ არის ის, რომ გლეხმა მხოლოდ წელს გაყიდოს ყურძენი, მიიღოს ამაში 10 ლარით მეტი და მომავალ წელს ველარ გაყიდოს. ჩვენი მიზანია, რომ სტაბილურად შეძლოს ქართველმა მევენახემ თავისი პროდუქციის გაყიდვა, რადგანაც ღვინის ხარისხი არის უმნიშვნელოვანესი, ღვინის ხარისხი კი დამოკიდებულია პირველ რიგში ყურძნის ხარისხზე.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ წელს მეღვინეებისთვის შევქმენით დამატებითი საკრედიტო პროდუქტი. ყველამ კარგად იცით, ჩვენ მიერ განხორციელებული შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი. ამ პროექტს დაემატა მე-5 კომპონენტი - ეს არის სესხი მეღვინეებისთვის ყურძნის შესასყიდად. სუბსიდირებული სესხით ისინი შეძლებენ, წლიურ 6 %-დ მოიზიდონ 15-თვიანი კაპიტალი და შესაბამისად, მიიღონ შეღავათიანი რესურსი, საბრუნავი კაპიტალისთვის. 15-თვიანი პერიოდი შეირჩა იმიტომ, რომ მეღვინეებისთვის ეს არის ერთი მთლიანი ციკლი, რომელიც საშუალოდ ამ პერიოდს მოიცავს. ეს ვადები შეირჩა იმიტომ, რომ ყველა მეღვინეს ჰქონდეს საშუალება ჩაიბაროს ყურძენი, გაყიდოს პროდუქცია და მოახდინოს სესხის დაფარვა.

რაც შეეხება პროდუქციის ხარისხის კონტროლს, ჩვენ, წელს დავიწყეთ ღვინის ხარისხის მკაცრი კონტროლი. აქ საუბარია, როგორც ლაბორიატორიული ხარისხის კონტროლზე, ისე ორგანოლეპტიკურ კონტროლზე და თავისთავად თითოეული მეწარმის პროდუქცია, მით უმეტეს ის, რომელიც ხვდება საექსპორტო ბაზარზე ძალიან სკრუპულოზურად და ხარისხიანად მოწმდება. არის რამდენიმე აკრედიტებული ლაბორატორია, რომელიც ახდენს პროდუქციის ლაბორატორიულ კონტროლს, ამას გარდა არის სადეგუსტაციო კომისიაც,

„ჩვენ სექტორს შევთავაზეთ სუბსიდირების სრულიად ახალი სქემა“



„ჩვენი მიზანია, რომ სტაბილურად შეძლოს ქართველმა მევენახემ თავისი პროდუქციის გაყიდვა, რადგანაც ღვინის ხარისხი არის უმნიშვნელოვანესი, ღვინის ხარისხი კი დამოკიდებულია პირველ რიგში ყურძნის ხარისხზე“

## „სახელმწიფო აღარ იქნება მთავარი მოთამაშე ღვინის ბაზარზე“

**„80-მდე კომპანიაა ბაზარზე და მათი აბსოლუტური უმრავლესობა მიიღებს წელს სუბსიდიას“**

**„ჩაბარებული და სუბსიდირებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ სიმწიფეს მიღწეული, კონდიციური და ხარისხიანი ყურძენი“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლი განსხვავებული იქნება“



# „წელს აღარ იქნებიან ქვეყანაში ე.წ. „ფაშისტები“, როგორც ეს წინა წლებში იყო“

# EXCLUSIVE

რომელიც ორგანოლეპტიკურ თვისებებზე ამოწმებს თითოეულ ღვინოს და მხოლოდ და მხოლოდ ამ კომპლექსური შემოწმების შემდეგ ხდება ამ ღვინოების ექსპორტი უცხოურ ბაზრებზე.

გვაქვს ასევე სიახლე, ახალი სისტემა, რომელი ჩვენ მოგვცემს საშუალებას პირველად, ძალიან ზუსტად მოვახდინოთ კონტროლი თუ რამდენი და რა ჯიშის ყურძენი მიიღო ინდუსტრიამ. ჩვენ შევქმენით „სოფტი“, ახალი ელექტრონული პროგრამა, რომლის მიხედვითაც მოხდება ყურძნის ჩაბარება-აღრიცხვა. შესაბამისად, ამ პროცესში გვექნება სრული სურათი თუ რა რაოდენობის და როგორი ყურძენი ჩაიბარა თითოეულმა მოთამაშემ ბაზარზე.

**- როდის იწყებთ რთველს?**

- როგორც ასეთი, ერთი დღე, რთველის დაწყების კონკრეტული თარიღი არ არსებობს, რადგან ეს არის დამოკიდებული კლიმატზე და კიდევ ძალიან ბევრ საკითხზე. კახეთში, როგორც წესი, შედარებით ადრე, აგვისტოს ბოლოს, სექტემბრის პირველ დღეებში, რთველი იწყება დედოფლისწყაროს რაიონში და დაახლობით 12-15 სექტემბრის შემდეგ უკვე დანარჩენ კახეთში. ისევ და ისევ ხაზს ვუსვამთ, რომ ჩაბარებული და სუბსიდირებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ სიმწიფეს მიღწეული, კონდიციური და ხარისხიანი ყურძენი. გურჯაანში წინა კვირას გავხსენით მუდმივმოქმედი შტაბი, სადაც ჩვენი წარმომადგენლები მივავლინეთ, რომლებიც მუდმივად ამოწმებენ ყურძნის ტექნიკურ სიმწიფეს.

კიდევ ერთი განსხვავება, წინა წლებთან შედარებით, იქნება ის, რომ ადრე ამ პროცესში ძალოვანი სტრუქტურებისგან იყო ძალიან უხეში ჩარევა. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ რთველის ძირითადი ჩამტარებელი ორგანო იყო კუდი. კომპანიებზე საკმაოდ უხეში ფორმით ხდებოდა ზეწოლა, რომ ჩაებარებინათ ყურძენი. წელს მსგავსი რამ არ განმეორდება. ერთადერთი რაშიც შესაძლოა შსს იყოს მონაწილე, ეს არის წესრიგის დაცვა რიგების შემთხვევებში და ლოჯისტიკურ საკითხებში. მხოლოდ და მხოლოდ ამით შემოიფარგლება წელს შსს და არავითარ შემთხვევაში აღარ განმეორდება ის, რაც იყო წინა წლებში.

**- თუ არის რაიმე სახის ლიმიტი, რასაც კომპანიები წელს დააწესებენ, ხომ არ დარჩებიან ფერმერები ჩაუბარებელი ყურძნით...**

- დეკლარირებული მოთხოვნა უკვე საკმაოდ მაღალია, რადგან გაიხსნა ბაზრები და მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი. იმითაც, რომ ჩვენ შევქმენით შეღავათიანი ფინანსური ინსტრუმენტი, მოხდა დამატებითი სტიმულირება და მოთხოვნაც გაიზარდა. სწორედ ამ საკითხების კომბინაციით და სუბსიდიით, ჩვენ გვაქვს იმედი და მოლოდინი, რომ სრული რაოდენობა სუბსიდირებული ყურძნისა იქნება ათვისებული ინდუსტრიის მიერ, ხოლო რაც არ იქნება მათთვის საინტერესო, იმას უკვე სახელმწიფო კომპანიები შეისყიდიან.

**- რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, არის საუბარი თხილის გასაღების პრობლემაზე...**

- მე ვერ ვიტყოდი, რომ თხილის გასაღების პრობლემაა. მე ვიყავი დასავლეთ საქართველოში, ვნახე თხილის ქარხნები, აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ფასი არის დაბალი. თხილის მოსავალი არის გაცილებით დიდი - ორჯერ მეტია წელს, ვიდრე შარშან. შესაბამისად, შეიძლება ფასი არ იყოს იგივე, რაც შარშან იყო, თუმცა ორჯერ იაფი ნამდვილად არ არის და არა მგონია, რომ თხილის გასაღების პრობლემა ჰქონდეთ გლეხებს. ქართული თხილი ძალიან ბევრ ქვეყანაში შედის. საერთოდ, თურქეთი არის მისი ძირითადი მწარმოებელი, დაახლოებით 70% მსოფლიო წარმოებისა თურქეთზე მოდის და შესაბამისად, ფასის დამდგენიც ის არის მსოფლიო ბაზარზე. საქართველო არის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე და თხილის მწარმოებელთა ხუთეულშია. ჩვენს თხილს რეალიზაციის პრობლემა საერთაშორისო ბაზარზე არ ჰქონია. ძალიან მნიშვნელოვანია ერთი მომენტი, თქვენ იცით, რომ „როსსელხოზნადზორის“ დელეგაცია იყო ჩამოსული ცოტა ხნის წინ, რა დროსაც მოვახდინეთ ხარისხის კონტროლის სისტემის შესწავლა. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ უახლოეს პერიოდში, ხილისთვის, ციტრუსისთვის და თხილისთვის რუსული ბაზარი გაიხსნება.

> „ბოლო ორი თვის განმავლობაში უკვე 5,6 მილიონ ბოთლზე მეტია გასული რუსულ ბაზარზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ინდუსტრიისთვის“

**- გასაგებია, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, თუმცა ფაქტია, რომ დარგში პრობლემები რჩება და ამას არც თავად უარყოფთ, რას იტყვით, სად არის ყველაზე მეტი სირთულე?**

- ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ აქ დაგვხვდა უღრანი ტყე. ამ დარგში, ბოლო 10 წელია, რეალურად არაფერი გაკეთებულა. ძალიან ბევრი პრობლემაა დარჩენილი და ეს კარგადაც ჩანს. როდესაც დარგში ქვეყნის მოსახლეობის 52 % გყავს და ამავდროულად ეს დარგი აწარმოებს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9% -ს, ეს თავისთავად უკვე პრობლემაა. ჩემი პირადი აზრით, მთავარი პრობლემა, არის ცოდნის ნაკლებობა. სამწუხაროდ, ჩვენი ფერმერების დიდმა ნაწილმა ვერ აუწყო ფეხი იმ საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც არსებობს. ამის დასაძლევად ბევრი რამ კეთდება, მათ შორის განათლების სამინისტროსთან ერთად. სწორედ ამის დასაძლევად ჩვენ მთელი ქვეყნის მასშტაბით ექსტენციის ცენტრები შევქმენით, რაც აპრობირებული პრაქტიკაა მთელ მსოფლიოში. ასეთი სისტემა არ იყო საბჭოთა კავშირში და ძირითადი სხვაობა საბჭოურ სოფლის მეურნეობასა და განვითარებული მსოფლიოს სოფლის მეურნეობას შორის იყო ის, რომ არ არსებობდა ექსტენცია. დღეს ეს საქართველოში უკვე არსებობს და ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ USAID-თან და USDA-თან ერთად. ძალიან დიდი კონკურსი ჩავატარეთ. დაახლოებით 9 000-მდე განაცხადი იყო შემოსული და 250-მდე ადამიანი შევარჩიეთ, ძირითადად ისინი არიან აგრონომები, ვეტერინარები და სხვა, ანუ ის ადამიანები, ვისაც შეხება აქვთ სოფლის მეურნეობასთან. ამ პროექტით იმ ადამიანებს, რომლებიც თავის დარგში ძალიან კარგი სპეციალისტები არიან, საშუალებას ვაძლევთ გახდნენ ასევე კარგი კონსულტანტები. ჩემი აზრით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაზე და დარგის მომავალზეა გათვლილი. ეს არის იმის გარანტია, რომ სწორად განვითარდეს საქართველოს სოფლის მეურნეობა, რომ ფერმერებმა და საქმეში ჩართულმა სპეციალისტებმა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ, თუ როგორ უნდა აწარმოონ ეფექტურად თავიანთი პროდუქცია.

**- რაც შეეხება თქვენს კიდევ ერთ სიახლეს, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებს - რას გულისხმობს თავის თავში ეს კოოპერატივი და რას მოუტანს ფერმერს მასში გაწევრიანება?**

- სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის წახალისებით ჩვენ ველოსიპედს არ ვიგონებთ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არის ძალიან გავრცელებული ფორმა. მსოფლიოში ყველა წამყვან ქვეყანას, იგივე წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს ეს პერიოდი გავლილი აქვთ. ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ იაპონიის მაგალითიც და მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყანა ასეთი ქვეყნების რიგს უახლოვდება. კოოპერაციის უმთავრესი პრინციპი არის ნებაყოფლობითობა, ეს არ არის კოლმეურნეობა, არ არის ძალისმიერი ვალდებულება, ეს არის თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული ადამიანთა ერთობა, სადაც დემოკრატიული პრინციპით, ერთი წევრი უდრის ერთ ხმას. ფერმერებს მთელი რიგი შეღავათები ექნებათ, პირველ რიგში, გამარტივდება მათი რეგისტრაცია, მოიხსნება ორმაგი დაბეგვრის პრობლემა, რაც აქამდე იდგა და მიეცემათ დამატებითი შეღავათები. კოოპერატივში გაწევრიანებულ ფერმერებს ექნებათ გრანტების მიღების საშუალება. დღეს მოგებაზე ორიენტირებულ იურიდიულ პირს გრანტის მოპოვების საშუალება არ აქვს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი კი იქნება მოგებაზე ორიენტირებული ერთადერთი იურიდიული პირი, რომელსაც შეეძლება გრანტის ადვილად მოპოვება. გარდა ამისა, უკვე განხორციელდება მთელი რიგი პროექტები მათი ხელშეწყობისთვის. თავისთავად ჩვენ არ გვინდა, რომ შეიქმნას კოოპერატივები კოოპერატივებისთვის. არც ის გვიანდა, რომ შეიქმნას კოოპერატივები მხოლოდ იმიტომ, რომ მათ რაიმე სარგებელი მიიღონ, ეს კოოპერატივები უნდა იყოს მდგრადი და გრძელვადიანი. 5 აგვისტოს კანონი იქნა მიღებული; სექტემბერში უკვე შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც იქნება სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის ეროვნული სააგენტო. ის მიანიჭებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს ამ კოოპერატივებს. დაგეგმილი გვაქვს მთელი რიგი პროგრამები მათ ხელშესაწყობად. ერთ-ერთი ასეთი არის მათთვის ტექნიკის შეღავათიანი პირობებით გადაცემის პროექტი. ეს არის ერთ-ერთი პროექტთაგანი, რათა წავახალისოთ სასოფლო-სამეურნეო სახის კოოპერაციები. იმ პირობებში, როცა ქართველ ფერმერს საშუალოდ ერთ ჰექტარზე ნაკლები მიწა აქვს, ამ სიტუაციაში კონსოლიდაციის ყველაზე კარგი გზა, სწორედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნაა.

მე მიწევს რაიონებში საკმაოდ ხშირად სიარული, ფერმერებთან შეხვედრა, ამიტომ მოლოდინი არის ძალიან დიდი. თავისთავად მოგვიწევს საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, იმიტომ რომ ჩვენ მოსახლეობას სწორად ავუხსნათ, თუ რა უპირატესობას მისცემთ მათ კოოპერატივების წევრობა. მე არ მაქვს იმედი, რომ ერთ წელიწადში შევქმნით ათასობით კოოპერატივს, მაგრამ ნამდვილად მაქვს იმედი, რომ რასაც შევქმნით, 100 იქნება ის თუ 50 - შედეგს გამოიღებს. როცა ფერმერები დაინახავენ, რომ მათი მეზობელი გახდა კოოპერატივის წევრი და ამით მიიღო დამატებითი სარგებელი, ისინიც აუცილებლად გაწევრიანდებიან. შესაბამისად, ამას სჭირდება დრო და ჩვენი მხრიდან ძალიან ბევრი მუშაობა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE რა საიდუმლო გე

დემოკრატიული მოძრაობა
ერთიანი საქართველო



**my View**

ხათუნა
მგალობლიშვილი




**ნინო ბურჯანაძის პარტია საარჩევნო შედეგებს ერთადერთ შემთხვევაში აღიარებს - თუ ცესკო, საერთაშორისო ორგანიზაციები და ოპონენტები მას გამარჯვებულად გამოაცხადებენ. ეს ოცნებაა. რეალურად, ბურჯანაძეს ბევრად უფრო ნაკლები რეიტინგი აქვს ვიდრე გამარჯვებისთვის არის საჭირო. თუმცა თავად პარტიაში პირიქით აცხადებენ და თანაც ირწმუნებიან, რომ მათი კვლევებით „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი პირველ ადგილზეა და თუ არჩევნები არ გაყალბდა ის აუცილებლად გაიმარჯვებს. თანაც პირველივე ტურში. პრინციპში ეს უკვე პროტესტის დაანონსებაა. ანუ წინასწარვე გზავნიან საკუთარ მესიჯს, თუ არ გავიმარჯვებთ, საპროტესტო აქციები გარანტირებული გექნებათო. სხვათა შორის კულუარებში ითქვა კიდეც, ბურჯანაძე ნოემბრის შუა რიცხვებისთვის უკვე ემზადებაო, გამოდის, საკუთარ დამარცხებას შეგუებულია, უბრალოდ, ამას ჩვენს გასაგონად არ ამბობს...**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბურჯანაძე ერთადერთი აგრესიული კანდიდატია და ერთადერთია, რომელიც უტიფრად აცხადებს, რომ საკუთარი პარტიის გავსების ხარჯზე ოპონენტების პარტიები ცარიელდება. საპასუხოდ მისივე გუნდის წევრები იბნევიან და ვერ მოჰყავთ ვერც ერთი მტკიცებულება პარტიის გაზრდისა. გია კობახიძემ დამადასტურებელ ფაქტად ერთ-ერთი ტელევიზიის სიუჟეტი მოიყვანა, საინფორმაციოს ვუყურე და იქ ვნახე ადამიანი, რომელიც ამბობდა, ბურჯანაძესთან გადავდივარო... თუმცა „ლაივში" ეს ადამიანი არათუ ჩვენ, თავად ლიდერებსაც კი არ უნახავთ, ანუ არც არსებობს.

სხვათა შორის, თავის დროზე ბურჯანაძე სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევის მთავარ ფაქტორად სწორედ რადიკალურ კამპანიას ასახელებდა. თუმცა ეს 2003 წელს იყო, როდესაც სააკაშვილმა კორუმპირებული მთავრობა მემუარების საწერად გაუშვა სახლში. რამდენად წაადგება ახლა ბურჯანაძეს სააკაშვილის დაჭერაზე აპელირება, მით უფრო საკუთარი პრორუსული ორიენტაციის პარალელურად, ამას ძალიან მალე საარჩევნო შედეგები გვაჩვენებს.

**გია კობახიძე, „დემოკრატიული მოძრაობის" მთავარი საბჭოს წევრი:**

**- ბურჯანაძე ერთადერთი კანდიდატია, რომელიც საკმაოდ აგრესიულ პიარკამპანიას აწარმოებს და პირობას დებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, პირველი, რასაც გააკეთებს, ეს ყოფილი პრეზიდენტის დაჭერა იქნება...**

- ვერ დაგეთანხმებით, ბურჯანაძე არ აწარმოებს აგრესიულ კამპანიას. ის აწარმოებს კამპანიას, რომელსაც საფუძვლად უდევს სამართლიანობის აღდგენა. ეს სხვადასხვა რამ არის. რაც შეეხება სააკაშვილის დაჭერა-არდაჭერას, ეს არ არის არც ბურჯანაძის და არც რომელიმე სხვა თანამდებობის პირის გადასაწყვეტი. ეს არის კანონის გადასაწყვეტი. ბურჯანაძე ლაპარაკობს იმ პირობების შექმნაზე, რომელმაც სამართლიანი რეჟიმი უნდა დაამყაროს ქვეყანაში და საამრთლიანი სასამართლოს პირობები შექმნას. ჩვენ მთელი ცხოვრების მანძილზე რის წინააღმდეგაც ვიბრძოდით, იგივეს გაკეთებას არ ვაპირებთ.

**- მაშინ რის საფუძველზე აკეთებდა განცხადებას თქვენი პარტიის ლიდერი, როცა ამბობდა სააკაშვილს დავიჭერო?**

- ასეთი განცხადება ნინო ბურჯანაძეს არასოდეს გაუკეთებია და არც ჩვენი პარტიიდან არავის უთქვამს მსგავსი რამ. ეს ასე არ არის. ჩვენ ვამბობთ, რომ ქვეყანაში უამრავი დანაშაულია ჩადენილი, რომელსაც აქვს სისტემური ხასიათი, სისტემის სათავეში კი იდგა მიხეილს სააკაშვილი. აქედან გამომდინარე, ძიება არ მიდის ამ მიმართულებით ამ ეტაპზე, უფრო მეტიც, პოლიტიკური შეფასებაც კი არ გაკეთებულა ხელისუფლების მხრიდან. ჩვენ კი ვიძლევით პირობას, რომ გამარჯვების შემთხვევაში პოლიტიკური შეფასება აუცილებლად გაკეთდება. ეს არის უამრავ ფაქტზე დაფუძნებული შეფასება. ამჟამინდელი ძიება უმწეოა იმ თვალსაზრისით, რომ ვერ აკონკრეტებს და ვერ გადის კონკრეტულ დამნაშავეებზე. მაგრამ დანაშაულის არსებობას ყველა ადასტურებს. ამისთვის 26 მაისის აქციაც კი საკმარისია. ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებმა გააკეთეს დოკუმენტი, რომელიც მოიცავს დანაშაულის დიდ ნუსხას. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ მიმართულებით ძიება ძალიან საეჭვოდ არის გაჭიანურებული, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება და ამ ყველაფერს ის პოლიტიკური გარემო განაპირობებს, რომელიც სამწუხაროდ „ქართლმა ოცნებამ" შექმნა, ეგრეთ წოდებული კოაბიტაციის სახელით. მე კითხვები მაქვს ასევე პარლამენტის მიმართულებით, რატომ დუმს და არაფერს ამბობს სასამართლო გადაწყვეტილებების დანაშაულობებზე? აქ საუბარია ათასობით უკანონო განაჩენებზე, რომელიც სასამართლო განაჩენების გადაწყვეტილებების საფუძველზე დადგინდა. უკვე აღიარებულია, რომ სასამართლოში დამნაშავე სისტემა იყო შექმნილი, მისი ხელმძღვანელი კი დღესაც პოსტზე იმყოფება.

**- კოტე კუბლაშვილს თავისი ვადა აქვს და ის არჩეულია...**

- ამისთვის არსებობს ჩვენს კონსტიტუციაში ყველაზე დემოკრატიული მექანიზმი, რომ განსაზღვრო ამა თუ იმ პოლიტიკური პირის თანამდებობაზე დარჩენა-არდარჩენის საკითხი - იმპიჩმენტი. ეს, პირველ რიგში, სწორედ ქვეყნის პრეზიდენტს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უნდა შეხებოდა. ამ უფლებას რომ არ იყენებს პარლამენტი ეს უკვე ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს.

**- ამ საკითხის შესახებ ცნობილია პრემიერის პოზიცია, მან განაცხადა, რომ დემოკრატიული გზით ყველა თანამდებობის პირი თავის კონსტიტუციური ვადით უნდა დარჩეს პოსტზე...**

- ანუ დემოკრატიული დასავლეთისთვის დემოკრატიული პრინციპით მიღებული გადაწყვეტილება არადემოკრატიული იქნება? აქ უფრო სხვა რამეს აქვს ადგილი, ამაში ჩვენ მალე გავერკვევით და თავის სახელსაც დავარქმევთ.

**- თქვენ ამბობთ, რომ „ოცნება" გარიგებულია ნაციონალებთან?**

- თანდათან სწორედ ამ მოსაზრებისკენ მიდის ფაქტების გროვა და ანალიზი, რომელსაც პოლიტიკოსები ვაკეთებთ.

**- თქვენი განცხადებით ბურჯანაძე ერთადერთი საპრეზიდენტო კანდიდატია, რომლის რეიტინგიც მზარდია. თუმცა მარგველაშვილის რეიტინგის სისწორეში ეჭვი შეიტანეთ და თქვით, რომ „ოცნების" მიერ დაქირავებულმა სოციოლოგებმა ის მიზანმიმართულად გაზარდეს. იგივე შეიძლება ითქვას თქვენზეც, რომ ხელოვნურად ზრდით ბურჯანაძის რეიტინგს...**

- ბიგვავამ „ოცნების" მიერ დაკვეთილი ციფრები გამოიტანა ღიად. ჩვენს რეიტინგზე კი მიკერძოებული შეიძლება იმ შემთხვევაში გვეწოდებინა თუ ამ რიცხვებით მანიპულირებას დავიწყებდით. ჩვენ, როგორც ხედავთ, ამას მხოლოდ საკუთარი საარჩევნო გეგმის ინტერესებიდან გამომდინარე ვიყენებთ, არ ვასახელებთ კონკრეტულ რეიტინგს. თუ ციფრები ღიად გამოგაქვს, ეჭვებიც და კითხვებიც ჩნდება. ჩვენ არც ვლაპარაკობდით აქამდე და არც ვაპირებდით სანამ ბიგვავა არ გამოაქვეყნებდა. IRI-ის და NDI-ის მიხედვით მხოლოდ ბურჯანაძის რეიტინგია მზარდი. დანარჩენების რეიტინგები არის კლებადი.

**- თქვენი რეიტინგების მიხედვით ბურჯანაძე პირველივე ტურში გაიმარჯვებს, თქვენ ამის იმედი გაქვთ?**

- თქვენ გინდათ ირიბად მათქმევინოთ ის, რისი თქმაც მე არ მინდა. ასე გიპასუხებთ, დინამიკა გვაძლევს პროგნოზის გაკეთების საფუძველს, რომ დიდი შანსია ქალბატონმა ნინომ პირველივე ტურში გაიმარჯვოს. თავის პერსონას წინასაარჩევნო პერიოდში ვერც ერთი კანდიდატი ვერ შემატებს ფასეულს, ვერც ბაქრაძე და ვერც მარგველაშვილი. მარგველაშვილს ვიცით, რომ ხმებს ივანიშვილის გამო აძლევენ, რაც შეეხება ივანიშვილს, უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში ყველა მიმართულებით არის სტაგნაცია. არც ეკონომიკის განვითარება, არც ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მხრივ, არც ინვესტიციების მოზიდვა ხდება, არ იზრდება სოციალური დახმარებები, არ მცირდება გადასახადები, ასევე რთული ვითარებაა პრიორიტეტებად გამოცხადებულ დარგებში. გიორგი მარგველაშვილი იყო ძალიან ცუდი განათლების მინისტრი. ეს ცუდი მინისტრი უნდათ, რომ მოგვაწოდონ როგორც კარგი პრეზიდენტი. ეს წარმოუდგენელია. განათლების სფეროში ჩატარებული ყველა რეფორმა წარუმატებელი იყო და ამ ადამიანმა დავით ზურაბიშვილი გაუშვა პოსტიდან.

**- მარგველაშვილს არ გაუშვია ზურაბიშვილი...**

- ზურაბიშვილმა თავად თქვა, რომ მარგველაშვილსაც ჰქონდა იგივე დამოკიდებულება ჩემს მიმართო...

**- ეს რესპუბლიკელების წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილად ჩაითვალა...**

- არა, არ ყოფილა ასე. ზურაბიშვილი მართლაც სუსტი პროფესიონალია, როგორც ხელმძღვანელი. თუმცა ახლა მე ვსაუბრობ განათლების სამინისტროს გუნდზე და იქ არსებულ სიტუაციაზე... ძალიან ბევრის მთქმელი იყო მარგველაშვილზე ასევე ისიც, თუ ვინ დატოვა მან თავის შემცვლელად. ეს იყო მთავარი ფინანსისტი, ანუ ბუღალტერი.

**- როდესაც ამბობთ, რომ მარგველაშვილი სუსტი პრეზიდენტი იქნება, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტის როლი ძალიან მცირდება, მას თითქმის არ მოუწევს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება...**

- ესეც „ოცნების" პროპაგანდაა, რომ მცირდება პრეზიდენტის უფლებები.

**- ეს პროპაგანდა არა, კონსტიტუციური ცვლილებებია...**

- ჯერ ერთი, რა უფლებებიც ჰქონდა სააკაშვილს ის უნდა შემცირებულიყო კიდეც, რადგან იყო მონსტრი. მაგრამ ის უფლებები, რაც რჩება პრეზიდენტს, საკმარისია იმისთვის, რომ გვყავდეს პოლიტიკური თვალსაზრისით ღირსეული პიროვნება. და კიდევ ერთი - ჩვენ ყველანი ვლაპარაკობდით იმაზე, რომ უნდა შექმნილიყო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც პირველ რიგში იმუშავებდა ხელისულფების შრეების დალაგებაზე. ეს კომისია არ შექმნილა, პარლამენტი დიდი ხანია გვატყუებს. როდესაც ამ მიმართულებით დაიწყება მუშაობა იქ პრეზიდენტის უფლებები კიდევ ერთხელ გადაისინჯება.

**- თქვენ ამბობთ, რომ გეგმაშია პრეზიდენტის უფლებების გაზრდა?**

- პრემიერის ფუნქციები გაიზარდა სააკაშვილის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ის აპირებდა პრემიერობას. ბუნებრივია, რომ პრემიერი და პრეზიდენტის უფლებები უნდა გადაიხედოს ახალი საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის ფარგლებში და გადანაწილდეს თანაბრად. პრეზიდენტის უფლებები კიდევ უფრო გაცილებით გაიზრდება, ვიდრე დღეს არის. ჩვენ ამ საკითხს დავუბრუნდებით, რადგან ივანიშვილის წინასაარჩევნო კამპანია სწორედ იმაზე იყო აგებული, რომ სააკაშვილის მიერ შედგენილი კონსტიტუცია არის ცუდი და მორგებული ერთ ადამიანზე. ელემენტალური პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ჰქონდეს ახალ გუნდს და უნდა განახორციელოს ძირეული გადასინჯვა იმ კონსტიტუციის, რომელსაც თავადვე აკრიტიკებდა. თავად „ოცნების" წარმომდგენლებს არაერთხელ უთქვამთ, რომ მოქმედი კონსტიტუცია ძირეულ გადასიჯვას ითხოვს. ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო ასევე საარჩევნო კოდექსის გადასინჯვა, მაგრამ არც ამ მიმართულებით კეთდება რაიმე. ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ შუალედური არჩევნები ჩაატარა ძველი კანონებით მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი გაეყვანათ ნაძალადევში, უკვე იმაზე მეტყველებს, რომ სააკაშვილზე მორგებულ ჩოხას უკვე „ოცნება" საკუთარ თავზე ირგებს.

**- როდესაც საუბრობთ პრეზიდენტის უფლებების გაზრდაზე, ამაში იგულისხმება პრეზიდენტისთვის პარლამენტის დათხოვნის უფლების მინიჭება? ჩვენ ვიცით, რომ ბურჯანაძის მთ-**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გზა აქვს ნინო ბურჯანაძეს

## როგორ აპირებს ის პრეზიდენტის უფლებების გაზრდას, ვადამდელი არჩევნების დანიშვნას და საგარეო კურსის შეცვლას



# გია კობახიძე: „მე არ მინდა დეტალებზე საუბარი რა მექანიზმი გვაქვს მომზადებული“

**ავარი დაპირება სწორედ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია, თუმცა მოქმედი კონსტიტუციით ეს განუხორციელებელია...**

- როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სამართლიანობის აღდგენაზე, ეს პროცესი დასრულდება მაშინ, როცა ადამიანის დარღვეული უფლებები აღდგება. ჩვენ ვიცით, რომ უამრავი დანაშაულები ხდებოდა, როცა ირღვეოდა ადამიანის უფლებები. მეორე მხრივ, საუბარია პოლიტიკური სამართლიანობის აღდგენაზეც. დღევანდელი პარლამენტი არ წარმოადგენს ხალხის ნებას და ის უნდა შეიცვალოს.

**- როგორ?**

- ამის მექანიზმებს იურისტები აუცილებლად მოგვცემენ, მთავარია, რომ ამის პოლიტიკური ნება არსებობდეს. ჩვენ ამ მიმართულებით ვმუშაობდით და ვიმუშავებთ, მთავარია, გაჩნდეს პოლიტიკური ნება. თუმცა გარეთ აქციების მოწყობით ეს არ მიიღწევა. მთავარი არის ის, რომ პოლიტიკური პროცესის წარმმართველი პირები ვინც არიან, მათ მიიღონ ამის განხორციელების პოლიტიკური ნება. როდესაც პრეზიდენტი გახდება ის ადამიანი, ვინც ვადამდელი არჩევნების მოთხოვნას დააყენებს პირველ პლანზე ბუნებრივია, რომ ამის აღსრულების შანსი 98% იქნება.

**- თუ კონსტიტუცია არ მისცემს ამის უფლებას მაინც 98% იქნება მისი შესრულების შანსი?**

- მარტო პრეზიდენტს ამის უფლება არა აქვს, საუბარია იმ ერთობლივ გუნდთან ერთად მუშაობაზე, რომლისთვისაც ამის გადაწყვეტილება შესაძლებელი იქნება.

**- რეფერენდუმი ჩატარდება, უმრავლესობა გამოაცხადებს ბოიკოტს თუ რისი იმედი გაქვთ?**

- მე არ მინდა დეტალებზე საუბარი რა მექანიზმი გვაქვს მომზადებული იმისთვის, რომ ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები.

**- ეს მექანიზმი შემუშავებული გაქვთ?**

- ამის შესახებ ქალბატონი ნინო ისაუბრებს, როცა იქნება ამის დრო.

**- როდის იქნება?**

- კამპანიის პერიოდში, რასაკვირველია. შემდგომში, როცა მთელი ქართველი საზოგადოება დადგება ფაქტის წინაშე, რომ პარტიას, რომელიც წარსულში ყველა პოლიტიკური პროცესის მიღმა იყო, ეყოლება ლიდერი, რომელიც იქნება ქვეყნის პრეზიდენტი, ბუნებრივია, ეს პროცესს წაიყვანს ვადამდელი არჩევნებისთვის. ზოგადად ქვეყანაში ორჯერ უნდა ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები, ორჯერ ზედიზედ უნდა მოხდეს ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გზით, რომ ჩაითვალოს დემოკრატიულ ქვეყნად. ჩვენ გვინდა, რომ ეს მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად. ნებისმიერ ქვეყანაში კრიზისის დასაძლევად იყენებენ ვადამდელ არჩევნებს, ესეც დემოკრატიული გზაა, რასაკვირველია. ჩვენი ოპონენტები ამბობენ, რომ დემოკრატიისთვის საჭიროა ყველა უწყებამ საკუთარი ვადა ამოწუროს, თუმცა ამ მუხლამდე კონსტიტუციაში წერია, რომ ეს უწყება უნდა იყოს არჩეული დემოკრატიული არჩევნების შედეგად და გამოხატავდეს ხალხის ნებას. ეს მუხლი არ სრულდება, ანუ დღევანდელი პარლამენტი არ გამოხატავს ხალხის ნებას.



**- ბურჯანაძის მისამართით ასევე ისმის ბრალდება, რომ ის ტყუილებს ავრცელებს, როდესაც ამბობს, რომ „ოცნების“ წევრები მის პარტიაში გადადიან, შეგიძლიათ დაგვიდასტუროთ ან დაასახელოთ ერთი წევრი მაინც, რომელიც თქვენთან გადმოვიდა?**

- ბევრმა ტელევიზიამ აჩვენა კონკრეტული პირები. ეს აჩვენა „რუსთავი 2“-ზე. პირადად მე ვნახე ორი ახალგაზრდა და შემდეგ ორი მოხუცი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ტოვებდნენ „ოცნებას“ და უერთდებოდნენ ბურჯანაძეს. „ოცნება“ ამ ადამიანებმა დატოვეს იმიტომ, რომ ივანიშვილის გუნდმა მათ იმედები გაუცრუა.

**- ეს ადამიანები კოალიციის წევრები იყვნენ თუ უბრალოდ მხარდამჭერები?**

- თქვენ მითხარით დამისახელეთ კონკრეტული ფაქტებიო, მეც გითხარით, რაც ჩემი თვალით ვნახე.

**- თუმცა არ იცით მათი ვინაობები და არც ის იცით, ისინი უბრალოდ მხარდამჭერები იყვნენ თუ წევრები?**

- როგორც გავიგე სიუჟეტიდან ისინი წევრები იყვნენ. იცით ეს ყველგან ხდება მაგრამ ჩვენ ამას კამპანიისთვის არ ვიყენებთ.

**- როგორ არ იყენებთ, ბურჯანაძემ განაცხადა თავად, ჩვენთან გადმოდიან „ოცნებიდანო“...**

- არა, ბურჯანაძეს ამასთან დაკავშირებით არ უსაუბრია, ჩვენს რამდენიმე წევრს განმარტებები სთხოვეს და მათაც ზუსტად იგივე პასუხი გასცეს, რასაც ახლა მე ვამბობ. ეს ჩვეულებრივი პროცესია, ფაქტია, რომ „ოცნებამ“ ბევრ ადამიანს გაუცრუა იმედები, ბევრი პირობა არ შეასრულა და ვფიქრობ, ეს საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანმა მიიღო „ოცნების“ დატოვების გადაწყვეტილება.

**- გავრცელებული ინფორმაციით ბურჯანაძემ ზურაბ ნოღაიდელის ყოფილი პარტიისგან მიიღო უფლება გამოიყენოს მათი პარტიის საეთერო დრო, როგორც ამბობენ, შეთანხმება შედგა...**

- გამორიცხულია, ჯავახაძის პარტიის დროს ვერ გამოიყენებს, მაშინ დასახელებული უნდა იყოს იმ პარტიის მიერ, რომელსაც ეს საეთერო დრო აქვს. ნინო ბურჯანაძე არის მხოლოდ და მხოლოდ „დემოკრატიული მოძრაობის“ კანდიდატი. სხვა შემთხვევაში ვერანაირად ვერ გამოიყენებს ბურჯანაძე ჯავახაძის საეთერო დროს.

**- რაიმე კონსულტაციები იყო ჯავახაძესთან?**

- ჩვენ ყველა პოლიტიკურ სუბიექტთან გვქონდა საუბრები, თუმცა მე ჯავახაძესთან ურთიერთობაზე არაფერი არ მსმენია. ერთადერთი გადაკვეთა იყო 12 ორგანიზაციის ფარგლებში საარჩევნო საკითხებზე მუშაობის დროს. სხვა გადაკვეთა არ გვქონია და ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ეს თემა საერთოდ საიდან გაჩნდა. მე ჯავახაძის პარტიის დასახელებაც კი არ მახსოვს, ვერ ვიხსენებ. ეს ძალიან წამგებიანი იქნებოდა და ბურჯანაძე იმისთვის, რომ საარჩევნო დრო მიეღო, წაგებაზე არ წავიდოდა. ეს, როგორც ჩანს, შავი პიარის ნაწილია, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებენ.

**- აღნიშნეთ, რომ სხვა საპრეზიდენტო კანდიდატები დადებით ფასეულობებს ვერ აჩვენებენ ამომრჩევლებს, ნინოს გარდა, არ თვლით, რომ თქვენი საგარეო კურსი მთავარი მინუსი ქნება საარჩევნო პერიოდში?**

- რომელი საგარეო კურსი, დამიკონკრეტეთ თუ შეიძლება...

**- პრორუსული...**

- სპეციალურად დაგაკონკრეტებინეთ, რადგან ეს საუბრები თანდათან შემცირდა და მხოლოდ რამდენიმე უმრავლესობის წევრის ლექსიკაში დარჩა. ყველამ დაინახა, რომ ბურჯანაძე არანაირი პრორუსული ძალა არ არის. ერთადერთი პრორუსული მოძრაობა საქართველოში, ბოლო ათი წლის განმავლობაში, ეს „ნაციონალური მოძრაობა“ იყო, რომელიც მთლიანად რუსეთის საქმეს აკეთებდა. მთელი ეკონომიკა რუსეთს გადასცა, ნებისმიერი ბერკეტი, რაც დღეს რუსებს საქართველოში გააჩნიათ, სწორედ „ნაციონალების“ წყალობით აქვთ მიღებული.

**- ნაციონალებს თუ პრორუსებად აცხადებთ, ბურჯანაძე რა ძალაა მაშინ?**

- რაც შეეხება ბურჯანაძეს, ის იყო ძალა, რომელსაც დღეს ყველა ხმამაღლა ლაღადებს. ყოველთვის აღვნიშნავდით რომ - საქართველოს მთავარი პრობლემა არის ტერიტორიული საკითხი და ეს პრობლემა ვერ მოგვარდება რუსეთთან დიალოგის გარეშე. ნაციონალებისგან განსხვავებით, ბურჯანაძე მხოლოდ ერთი პირობით დასთანხმდა ლავროვთან და პუტინთან შეხვედრას - არ არასებობს თემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, რომელსაც ჩვენ არ განვიხილავთ. ნებისმიერი დიქტატორული ხელისუფლება ცდილობს, რომ ოპონენტისგან შექმნას მტრის ხატი და ეს არის მხოლოდ და მხოლოდ შავი პიარი.

**- თუმცა რაზეც თქვენ ამბობთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ლაღადებსო, ანუ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას და პარალელურად დასავლეთისკენ სვლას, ივანიშვილის მთავრობაში უკვე აღიარეს, რომ რუსეთის მისამართით გადადგმული ყველა ნაბიჯი უშედეგო აღმოჩნდა, რუსეთი არაფერზე არ მოდის და ითხოვს საქართველომ უარი თქვას დასავლურ კურსზე...**

- ახალი მთავრობა უმწეო აღმოჩნდა ამ მიმართულებით, ვერ იმუშავეს.

**- უმწეო იმიტომ, რომ უარი არ თქვეს დასავლურ კურსზე?**

- იმიტომ რომ მაია ფანჯიკიძე არის ძალიან სუსტი, იმიტომ რომ საპარლამენტო კომიტეტი არის ძალიან სუსტი... მათ არ შეუძლიათ შეადგინონ სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოგვცემს წინსვლას, ერთის მხრივ რუსეთთან ურთიერთობებში და მეორე მხრივ, დასავლური მიმართულებით.

**- თქვენ გაქვთ ეს სტრატეგიული გეგმა?**

- პირველი ამოცანა არის შემდეგი - საქართველო უნდა გადაიქცეს სტრატეგიული ობიექტიდან სტრატეგიულ სუბიექტად. აქამდე ჩვენ ყოველთვის ვიყავით რომელიღაც ხელისუფლების ობიექტი. მეორე ამოცანა არის ის, რომ საქართველო უნდა გახდეს დასავლეთის და რუსეთის ინტერესების გადაკვეთის წერტილი და არა დაპირისპირების ადგილი. ამჟამინდელ ხელისუფლებას არ გააჩნია სტრატეგიული განვითარების და სტრატეგიული მოქმედების გეგმები. ჩვენ გვაქვს უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც არის ამ დოკუმენტის შექმნის საფუძველი. ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ შეადგენს სტრატეგიას თუ ხელისუფლებაში არ მოვა, რადგან არ აქვს წვდომა ინფორმაციაზე.

**- თქვენი პარტია აცხადებს, რომ მარგველაშვილის სასარგებლოდ ხდება სახელმწიფო რესურსების გამოყენება, ეს არის იმის წინაპირობა, რომ არჩევნების შედეგები გააპროტესტოთ და არ აღიაროთ წაგების შემთხვევაში?**

- თუ მოხდება დიდი გაყალბება ნაციონალების და „ოცნების“ დიდი გარიგების შედეგად, მაშინ ჩვენ, ბუნებრივია, გავაპროტესტებთ. თუ გაყალბება არ მოხდება, მაშინ ნინო ბურჯანაძემ უნდა გაიმარჯვოს ამ არჩევნებში. პროცესში ჩვენ კარგად დავაკვირდებით დინამიკას, თუ გააყალბეს, არათუ ვაღიარებთ, წინასწარვე ავტეხავთ ერთ ამბავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლევან ბერძენიშვილის უფასო ლექცია ანზორიკო ბიწაძეს



ქეთი ხტიაშვილი

**ალბათ, ზვიად გამსახურდიას შემდეგ არ ყოფილა პოლიტიკოსი, რომლის პოლიტიკურ გეგმებსა და გადაწყვეტილებებში ოჯახი აქტიურად ერეოდა. ნინო ბურჯანაძე შეიძლება ითქვას, რომ მეორეა. ზვიადის შემთხვევაში ეს მანანა არჩვაძე იყო. და ხშირად ყვებიან როგორ თხოვდნენ ხოლმე საქართველოს პირველ პრეზიდენტს, იქნებ პირველი ლედი დღეს არ გამოჩნდეს თათბირებსა და დახურულ შეხვედრებზეო. მეორე - ნინო ბურჯანაძე, ოღონდ მანანას როლში ბადრი ბიწაძე და ბოლო დროს უკვე ანზორიკო ბიწაძე არიან. ანუ ნინოს ქმარი და უფროსი შვილი.**

ნინო ბურჯანაძეც შეიძლება ითქვას, რომ ჯერ სწორედ მათთან თათბირობს და შემდეგ უკვე პოლიტიკურ გუნდთან.

ასეთი ჩართულობა ყოველთვის იწვევს სკანდალებს და ზედმეტ ხმაურს. გამსახურდიას შემთხვევაშიც ასე იყო და ბურჯანაძეც არ გახდა გამონაკლისი. ირინა სარიშვილსაც კი ყოველთვის მისი პოლიტიკური გუნდი ესარჩლებოდა და არა პირადად გია ჭანტურია... მაგრამ ბიწაძეებს საკუთარი ოჯახური „ზაკონი" აქვთ. ამიტომაც, ლევან ბერძენიშვილის პოლიტიკური ინტერვიუ, რომელიც „პრაიმტაიმში" დაიბეჭდა, სხვა მედიასაშუალებებმა კი, სამწუხაროდ, სხვადასხვა ინტერპრეტაციით გადაბეჭდეს და ისე გამოიყვანეს, თითქოს ბერძენიშვილი ბურჯანაძეს მკვლელობაში ადანაშაულებდა... ანზორიკო ბიწაძე სათაურს გამოეხმაურა და არა პოლიტიკურ ინტერვიუს. შეიძლება ითქვას, რომ ეს პირდაპირ ლანძღვაგინება იყო. თუმცა, ინტერვიუ რომ წაეკითხა, მიხვდებოდა, რომ ინტერვიუში პოლიტიკური შეფასებები იყო გაკეთებული.

თუმცა, ასე ხდება ყოველთვის, როცა ოჯახია პოლიტიკაში ჩართული.

ანზორიკო ბიწაძემ, როგორც ჩანს, ინტერნეტში თვალი მოჰკრა სათაურს და შემდეგ „ფეისბუქზე" დაწერა:

„აი, ასეთი ნაგავი, მედროვე და ვაჭარი პოლიტიკოსები სანამ არ მოსცილდებიან პარლამენტს, არაფერი გვეშველება. შე გაზულუქებულო ნაძირალა, რომ ამოფარებიხარ ივანიშვილის ავტორიტეტს, დაგავიწყდა მთელ ქვეყანას რო ეზიზღები?

რა ვერ შეიგნეთ, რომ ყველა ერთად აგებულზე თქვენზე ძლიერი პოლიტიკოსია ბურჯანაძე და ძლიერი პიროვნება? ერთხელ მაინც ჩაატარეთ „რესპუბლიკურმა პარტიამ" ყრილობა, ნათესავები მაინც მიიყვანეთ და დაგვანახეთ, რომ ვიღაც მაინც გცემთ ამ ქვეყანაში პატივს! კაცად უსინდისო ხარ და პოლიტიკოსი რაც ხარ ყველამ კარგად ვიცით.

შენ არ იცი ხომ ბურჯანაძემ რამხელა როლი შეასრულა 7 ნოემბერს, თუ დაგავიწყდა? გასაგებია, რომ პოლიტიკურად არ გაწყობს გახსენება, მაგრამ იმდენი კაცობაც არ მოგცა ღმერთმა, რომ პირიქით მაინც არ ილაპარაკო.



„შენ არ იცი ხომ ბურჯანაძემ რამხელა როლი შეასრულა 7 ნოემბერს, თუ დაგავიწყდა? გასაგებია, რომ პოლიტიკურად არ გაწყობს გახსენება, მაგრამ იმდენი კაცობაც არ მოგცა ღმერთმა, რომ პირიქით მაინც არ ილაპარაკო"

## NOTHING PRIVATE, JUST BUSINESS

ბოდიშს გიხდით ყველას ამ მარიამობა დღეს, ამ უსინდისო და სამარცხვინო კაცზე ლაპარაკით რომ შეგაწყინეთ თავი".

რა თქმა უნდა, ლევან ბერძენიშვილს არც კულტურა აკლია და არც განათლება იმისთვის, რომ იცოდეს ვის და როგორ უპასუხოს. ალბათ, კეთილიც არის, რადგანაც გაისარჯა და „უძღებ" შვილს უფასო ლექცია ჩაუტარა თემაზე ნინო ბურჯანაძე და მისი „სამარცხვინო" პოლიტიკა. (ინტერვიუ ბერძენიშვილთან kvirispalitra.ge -ში გამოქვეყნდა).

**ბრალდება - მედროვე...**

- კარგი, მე თუნდაც ვიყო მედროვე პოლიტიკოსი, ეს რაში უშველის ანზორიკო ბიწაძის დედას?... მედროვეები მაგან სახლში უნდა მოიკითხოს. მე რომ მედროვე ვყოფილიყავი, იგივე მანქანა, იგივე ტელეფონი ნამდვილად არ მექნებოდა, რაღაცას მაინც გამოვკრავდი ხელს...

**ბრალდება - ეს ურეიტინგო რესპუბლიკელები და ლევან ბერძენიშვილი...**

- როგორც ჩანს, მაგან ბევრი რამე არ იცის. მე ვარ 2 უნივერსიტეტის პროფესორი, ძალიან ვუყვარვარ ჩემს სტუდენტებს და ამ სიყვარულისთვის არც ივანიშვილი დამჭირვებია და არც ანზორიკოს შეფასება. ის, რომ ჩვენ რეიტინგი არა გვაქვს, არაა მართალი. პირადად მე, ვფიქრობ, საკმარისი რეიტინგი მაქვს ჩემს ქვეყანაში, შეიძლება არა როგორც პოლიტიკურ ფიგურას და შეიძლება როგორ უბრალო ადამიანს, რომელსაც თავის ქვეყანა უყვარს, მაგრამ რეიტინგი ნამდვილად მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ანზორიკოს გასარჩევი კაცი არ ვარ. ისე, მეც მაქვს მასზე ჩემი მოსაზრება, თუმცა თავს შევიკავებ.

**ბრალდება - ვერ ვაფასებთ ნინოს პოლიტიკურ ღვაწლს.**

- 9 ნოემბერს ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ საგანგებო მდგომარეობას დაუჭირა მხარი, რითაც საქართველოს მიაყენა შეურაცხყოფა. ამას ვერაფერი ვერ გამოასწორებს, მაგრამ ამავე დროს, მან 7 ნოემბერს კარი გაგვიხსნა და მოწამლული ხალხი პარლამენტში შეგვიშვა. ამისთვის მადლობა და საგანგებო მდგომარეობისთვის საყვედური. თუ ანზორიკო ამბობს, რომ ნინო ბურჯანაძემ დადებითი როლი შეასრულა, ცდება, რადგან დედამისის როლი იყო სამარცხვინო, რაც დასრულდა 9 ნოემბერს საგანგებო მდგომარეობით. ანზორიკოს შეუძლია მოისმინოს დედამისის ნათქვამი, სადაც ის ამბობს, რომ არ ჩამოართმევს ხელს მათ, ვინც ბრალდებულია უცხოელებთან კონტაქტში, მათ შორის, მეც გამომაცხადეს რუსეთის აგენტად.

და ბოლოს, ის რაც ვერ გაიგო ანზორიკომ:

- მე არასოდეს მკვლელობა არ დამიბრალებია ნინო ბურჯანაძისთვის. მე მუდამ ვამბობდი, ის იდგა მკვლელების გვერდით და ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ ის ვანო მერაბიშვილის და სხვების გვერდით დადგა, როდესაც ქუჩაში ხალხის ხოცვა დაიწყო სააკაშვილის რეჟიმმა. ნინო ბურჯანაძე ამართლებდა სააკაშვილის პოლიტიკას, თუ ეს იგულისხმება, ეს ნამდვილად ვთქვი და ბურჯანაძემ უშუალოდ მოკლა ვინმე და მკვლელია-მეთქი, ეს არასოდეს მითქვამს. პერსონალურად ნინო ბურჯანაძესთან არანაირი პრობლემა არა მაქვს და მომავალშიც ვაპირებ მასთან ურთიერთობას...

ასე რომ, ანზორიკო, nothing private, just business...

და თუ ეს არ გესმის, ანზორიკო, აჯობებს ბექებში იდგე და თვალი ადევნო...





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ირაკლი ალასანია და გიგლა ბარამიძე მერობისთვის იბრძოლებენ



# რას ამბობენ კულისებში

## EXCLUSIVE

**ნინო დათაშვილი**

**საპრეზიდენტო მარათონი ჯერ დასრულებული არ არის, მაგრამ მომავალ ადგილობრივ არჩევნებზე უკვე მიდის კონკურენტების შერჩევა. და როგორც ცნობილი ხდება კულუარულ გარიგებაშიც სწორედ ეს თემა ხდება მთავარი.**

მაგალითად, ჯონდი ბაღათურია კი უარყოფს, მაგრამ ამბობენ, რომ მან ნინო ბურჯანაძეს პირდაპირ უთხრა: - თუ გინდა მხარი დაგიჭირო, შენ ჩემ კანდიდატურას დაუჭირე მხარი მერის არჩევნების დროსო.

ნინოს კი საკუთარ გუნდში გაცილებით უფრო ძლიერი და მისთვის ავტორიტეტული ადამიანები ეგულება, ასე რომ, ჯონდის ინტერესები „მიჯირყვნეს“ და გარიგებაც ჩაიშალა.

როგორც ცნობილი ხდება ბურჯანაძემ ფსონი საკუთარი შტაბის უფროს გიგლა ბარამიძეზე დადო. სწორედ ის გახდება მომავალში მერობის კანდიდატი. შევარდნაძის დროს ის სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი იყო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველო დატოვა.

ნინოს მაშინ გიგლა ბარამიძის წასვლა არ გაუპროტესტებია. ეს ლოგიკურიც არის, ის თავად იყო „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი ლიდერი. სწორედ ის იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და მან დანიშნა საპრეზიდენტო არჩევნები. მაშინ ნინო და გიგლა ერთმანეთს რომ შეხვედროდნენ, ალბათ, ერთმანეთს გამარჯობასაც არ ეტყოდნენ, არათუ ხელს ჩამოართმევდნენ.

ბარამიძემ მაშინვე აღმოაჩინა საკუთარი შეუთავსებლობა „ვარდების რევოლუციასთან“, ნინოს კი ამისთვის რვა წელი დასჭირდა. ახლა კი „ნაციონალური მოძრაობის“ სიძულვილში ნინომ და გიგლამ ისე გაუგეს ერთმანეთს, რომ სამშობლოში დაბრუნებულ ექსგუბერნატორს ჯერ საარჩევნო შტაბი ჩააბარეს და მომავალში მერის პოსტისთვისაც იბრძოლებს.

**ნინო ბურჯანაძემ საარჩევნო მარათონზე რამდენჯერმე თქვა საკმაოდ პრინციპულად:** მე ნაციონალების ლიდერშიფს ციხეში ჩავსვამ, მოძრაობას კი ავკრძალავო. დაახლოებით ასეთი იყო მისი მუქარა.

გიგლა ბარამიძეც „ნაციონალურ მოძრაობას“ ვერ იტანს. რა დამთხვევაა. ერთ-ერთ გამოცემასთან საუბარში მან „ნაცებს“ სერიოზული ბრალდებები წაუყენა, უფრო ზუსტად სეპატატიზმში დასდო ბრალი.

**გიგლა ბარამიძე:**

- სამცხე-ჯავახეთში ჩემი 7-წლიანი რწმუნებულობის პერიოდში, სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებაში სააკაშვილის გუნდი გვიშლიდა ხელს. იქ მართლაც დასამყარებელი იყო წესრიგი, რადგან მოქმედებდნენ პატარ-პატარა ბანდფორმირებები, რომლებიც თბილისიდანაც კი არავის უშვებდნენ გაუჩხრეკავად. როდესაც წესრიგის დამყარება დავიწყე, აღმოჩნდა, რომ ეს კრიმინალური ელემენტები პოლიტიკურ ლოზუნგებს იყვნენ ამოფარებული და პირდაპირ კავშირი ჰქონდათ „მოქალაქეთა კავშირის“ გარკვეულ ფრთასთან, შემდეგ კი - „ნაცმოძრაობის“ ლიდერებთან. როგორც კი მათ დავუპირისპირდი, კლანჭები გამოაჩინეს. „ნაციონალებს“ არ მოსწონდათ ამ რეგიონში ქართველი მესაზღვრეების ყოფნა, აგრეთვე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ამ ძალების წარმომადგენლები სააკაშვილის მეგობრები იყვნენ. ეს ადამიანები ახლაც „ნაცმოძრაობის“ რიგებში ირიცხებიან - არაქელიანიდან დაწყებული, პოლოსიანით დამთავრებული. ძალიან მალე შევახსენებ სააკაშვილს თანაგუნდელების სახელებსა და გვარებს, რომლებიც ავტომატგადაკიდებულები დარბოდნენ სამცხე-ჯავახეთის ტყეებში... თუმცა იმხანად



„ნაცმოძრაობამ“ ამ მხარეში დასაყრდენი ვერ პოვა. იმიტომაც დამიპირისპირდნენ, რადგან სურდათ, საქართველოში ჩამოეყალიბებინათ ახალი, უეროვნებო ადამიანების ტიპი, ბრძანებები უსიტყვოდ რომ შეესრულებინათ. ვინც არ ნებდებოდა, მათი მტერი ხდებოდა. სწორედ ამის გამო დამეტაკნენ, თორემ არასდროს მქონია არც ფული და არც ბიზნესი. 2004 წელს გამიხსენეს 2000 წელს მეგობართან შელაპარაკება და ამის გამო მოისურვეს ჩემი გასამართლება. სურდათ, ჩემი ციხეში ჩაგდება, საიდანაც ცოცხალს არ გამომიშვებდნენ. არადა, ეგენი რომ სწავლობდნენ ორგანიზაციულ-ოპერატიულ მუშაობას, მე უკვე დავიწყებული მქონდა და ამათ ცხვარივით ვერ ჩავბარდებოდი.

მოკლედ, „ნაცებისადმი“ დამოკიდებულებამ ერთ დროს ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგარი ნინო ბურჯანაძე და გიგლა ბარამიძე შეარიგა. პოლიტიკაში ესეც მოსულა.

კიდევ ერთი კანდიდატურის შესახებ ხდება ცნობილი. როგორც იქნა გაირკვა რა გეგმები აქვს ირაკლი ალასანიას. მის მაგივრად ყველა ლაპარაკობდა. ხან პრეზიდენტის სტატუსს უწინასწარმეტყველებდნენ, ხან ოპოზიციაში გადასვლას... ვერსიები ბევრი იყო. ახლა კი ცნობილი ხდება მისი გადაწყვეტილების შესახებ. როგორც ირკვევა, ირაკლი ალასანიაც მერობისთვის ემზადება.

ერთხელ, გიგი უგულავასთან ბრძოლაში დამარცხდა და მომავალ წელს ბედს ისევ ცდის. როგორც ამბობენ, მას ეს საკითხი გადაწყვეტილი აქვს. თუმცა, მას საპრეზიდენტო მარათონში ჩართვაც ჰქონდა გადაწყვეტილი. თუმცა, ყველა ბიძინა ივანიშვილის სიტყვას დაემორჩილა. პრიველად კი, როგორც მოგეხსენებათ, იყო სიტყვა...

ასე რომ, ან ალასანიამ ივანიშვილი უნდა დაითანხმოს საკუთარ გეგმებზე, ანდა, კოალიცია უნდა დატოვოს. ამის მოლოდინიც უკვე არსებობს.

ჯერჯერობით არც ალასანიას გუნდი და არც ბურჯანაძის ოფისი მერის არჩევნებზე კომენტარს არ აკეთებს. ამ თემაზე მხოლოდ კულისებში საუბრობენ. პოლიტიკოსებს უყვართ ხოლმე იმის თქმა, რომ ჯერ ადრეა და რომ ჯერ საპრეზიდენტო მარათონია მოსაგები. თუმცა, გარიგებები და კოალიციები სწორედ მსგავს თემებზე შეთანხმებით იწყება. თუ კოალიცია შედგა, ესე იგი, ჩრდილოვან კაბინეტზე გარიგებაც შედგა, თუ ვერ შედგა ჩაიშალა. კლასიკური მაგალითი ჯონდი მაღათურიაა. თუმცა, ეს უკანასკნელი „კალსიკას“ უარყოფს. ამბობს, რომ მსგავსი მოლაპარაკებები არც ყოფილა.

ჯონდი ბაღათურია კულუარულ ინფორმაციას უარყოფს და „პრაიმტაიმთან“ საუბარში არ ადასტურებს.

**ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასის“ ლიდერი:**

– მსგავს ჭორებზე კომენტარის გაკეთებაც არ ღირს. ნინო ბურჯანაძესთან გარკვეულ საკითხებზე დიალოგი გვქონდა, მაგრამ ამ თემაზე არაფერი გვითქვამს.

**– ანუ თქვენ სამომავლო გეგმებში მერის არჩევნებში მონაწილეობა არ შედის?**

– ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ ვმონაწილეობ თვითმმართველობის არჩევნებში. მერის არჩევნებამდე დიდი დროა და ამაზე წინასწარ ლაპარაკი არ ღირს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მეცხრე არხს“ კერძო აუდიტი ამოწმებს

**ერთ-ერთი ინფორმაციით, „მეცხრე არხზე“ ივანიშვილის მოთხოვნით კერძო აუდიტი შევიდა. მოწმდება ყველაფერი, ტექნიკა, ფინანსები, ავეჯი... არხის შენობაში ჟურნალისტები ბოლოს მხოლოდ დაცვის თანხლებით შეუშვეს, რომ საკუთარი ნივთები გამოეტანათ. ტელევიზიის ყოფილი გენერალური დირექტორი დღეს ნანობს საკუთარ გადაწყვეტილებას დროზე ადრე დახურვის შესახებ. ამბობს, რომ ეს სულაც არ იყო საპროტესტო ნაბიჯი...**

**შემოწმებას, ელიაშვილი ადასტურებს, თუმცა ამას ტელევიზიის გადაბარების პროცესის თანმხლებ დეტალად თვლის.**

**ლუბა ელიაშვილი, „მეცხრე არხის“ ყოფილი გენერალური დირექტორი:**

- ჩვენთან ფინანსური შემოწმება სულ ცოტახნის წინ იყო და დასრულდა ცოტა ხნის წინ.

**- რაიმე ტიპის დარღვევები ხომ არ ყოფილა აღმოჩენილი?**

- არა, როგორ გეკადრებათ, ჩვენ ეს დოკუმენტები მარეგულირებელში უნდა წარგვედინა და წარვადგინეთ კიდეც. რადგან ხდება არხის გადაცემა, ეს პროცესი საჭირო იყო, მე ძალიან არ მინდა, რომ ლიკვიდატორი დირექტორი ვიყო, მაგრამ, ალბათ, მომიწევს გადაბარება, თუმცა ჯერჯერობით ეს პროცესი არ დაწყებულა.



**- თუ შეხვდით ივანიშვილს ამ საკითხთან დაკავშირებით?**

- მე დამფუძნებლებთან გამუდმებით მაქვს ინფორმაცია, არ ვთვლი, რომ ასეთ მარტივ საკითხებზე უნდა შევხვდე პრემიერს,

**- ვის უნდა გადააბაროთ?**

- ჯერჯერობით არ ვიცი, მე ვურთიერთობ კონკრეტულ ადამიანებთან, ვისაც აბარია არხის გაყიდვის საკითხი, გავდივართ თემებს და არის მუშა პროცესი. ამ ეტაპზე ხელფასების ჩარიცხვების პერიოდია, პრემიერი ასრულებს თავის დაპირებას, ყველა მიიღებს ორი თვის ხელფასს. ეს არის, რაც ამწუთას ხდება.

**- ხომ არ ნანობთ გადაწყვეტილებას 10 დღით ადრე რომ შეწყვიტეთ მუშაობა?**

- მე ვნანობ იმას, რომ ვაწყენინეთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს. მე მეგონა ესე უფრო სწორი იყო, მე დღესაც ბევრი არგუმენტი მაქვს თუ რატომ იყო სწორი ეს გადაწყვეტილება. ნამდვილად არ ყოფილა არავითარი პროტესტი, უბრალოდ, დამოკიდებულება იყო ძალიან სტრესული პოლიტიკოსების მხრიდან, როგორც კი დაგვინახავდნენ, ირონიულად გვეუბნებოდნენ, უი, თქვენ კიდევ არ დახურულხართ? საკმაოდ სტრესულია ასეთ პირობებში მუშაობა.

**- თქვენ ხომ არ მიგიღიათ შეთავაზებები?**

- შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ ჯერ ძალიან მინდა, რომ დავისვენო.

**- ტელევიზიებისგან მიიღეთ შემოთავაზებები?**

- არა, არის საინტერესო, ჯობს ჩემი საიდუმლო იყოს.

# მარიკა ვერულაშვილი და დავით ბეჟუაშვილი ახალ ფრაქციას ქმნიან

პარლამენტი საშემოდგომო სესიების განახლებას მიმდინარე კვირაში აპირებს. ახალ პარლამენტს დასვენება მართლაც ცოტა ხანს მოუწია, თუმცა, როგორც ამბობენ, დეპუტატებს ბევრი პოლიტიკური სიახლე ელით.

ნაციონალები ყველაზე შეკრულად სწორედ პარლამენტში გამოიყურებიან. გუნდი ყოველთვის ერთიან განცხადებას ავრცელებს, მათი პოზიციები ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს, ბოიკოტის შემთხვევაში ისინი ერთდროულად ტოვებენ ხოლმე დარბაზსს და შეფასებებიც არასოდეს ეწინააღმდეგება ერთმანეთს. საპარლამენტო უმრავლესობისგან განსხვავებით, ეს თვისება უმცირესობის ერთ-ერთი დიდი პლუსია.

თუმცა დღეს მოდაში შემოსულ პოლიტიკურ ტერმინს თუ გამოვიყენებთ „მედროვეები“ მათაც აღმოაჩნდათ. მაგალითად, მარიკა ვერულაშვილი, რომლის კარიერის დეტალებს ყველა კარგად იცნობს და ასევე ყველას კარგად ახსოვს მისი წინასაარჩევნო კამპანიის სლოგანი - თუ აირჩევ „ოცნებას“ რუსები მოვლენ და დაგიპყრობენ...



ვერულაშვილი ყვარლის რაიონის მაჟორიტარია. სხვათა შორის, თავის დროზე, მის მაგივრად ნაციონალები ზურაბ ადეიშვილის ძმის კანდიდატურას განიხილავდნენ, თუმცა წინასწარვე გათვალეს შედეგები თუ რა რეაქცია მოჰყვებოდა ოპოზიციაში ადეიშვილის ძმის გააქტიურებას. შესაბამისად, არჩევანიც ამიტომ შეჩერდა ვერულაშვილზე. როგორც ამბობენ, მისი გამარჯვება სწორედ ადეიშვილების დახმარებას უკავშირდება. დღეს ვერულაშვილი ასე აღარ ფიქრობს. პირიქით, მისთვის დღეს ქვეყნის ნომერ პირველი მტერი მერაბიშვილია. გარდასახვის შემდეგ ვერულაშვილი საკმაოდ დიდხანს არ გამოჩენილა პარლამენტში. ის მხოლოდ მაშინ მივიდა, როდესაც უმრავლესობას მაღალი კვორუმი დასჭირდა.

მისგან განსხვავებით დავით ბეჟუაშვილს საზოგადოება ნაკლებად იცნობს. ის არასოდეს ყოფილა აქტიური დეპუტატი და პრინციპში პარლამენტის სხდომებსაც გამონაკლისებით ესწრებოდა. ბეჟუაშვილი ასევე მაჟორიტარია თეთრიწყაროდან. ის უკვე მეოთხე მოწვევის დეპუტატია. თუმცა ძირითადად საკუთარი ბიზნესით არის დაკავებული და დაინტერესებულიც. პარლამენტში ყოველთვის ჩნდებოდა, როდესაც იქ პატრიარქი ან პრეზიდენტი მიდიოდა.

ამ ორ დეპუტატს აქამდე შესაძლოა არც არაფერი აკავშირებდა, თუმცა, როგორც ამბობენ, დღეს საერთო გეგმით მოქმედებენ. ეს საერთო გეგმა კი ახალი საპარლამენტო ფრაქციის შექმნაა. თავად ნაციონალები ინფორმაციას უარყოფენ და აცხადებენ, რომ მსგავსი არაფერი სმენიათ. თავად მთავარ გმირებთან დაკავშირება კი შეუძლებელი აღმოჩნდა.

# საკრებულო თბილისის მერიას ქამრების შემოჭ



ჯაბა სამუშია

# „ამ ფული შეიძლება

## „საკრებულოს ამჟამად 27 მანქანა ემსახურება, რომელიც მთლიანად გადანაწილებულია ახალი უმრავლესობის წარმომადგენლებზე... ახლა კიდევ აპირებენ 8 მანქანის შესყიდვას, აქედან ორი არის მაღალი გამავლობის“

მირიან ბოქოლიშვილი

**თბილისის საკრებულოს ახალი უმრავლესობა თბილისის მერიასთან არსებულ კომპანიებში სამეთვალყურეო საბჭოების გაუქმებას ითხოვს. ამაში უცნაური ცხადია, არაფერია. საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა ურიგო საქმე ნამდვილად არ გახლავთ, თუმცა უცნაური ის არის, რომ საკრებულო, რომელიც თბილისის მერიას ქამრების შემოჭერისკენ მოუწოდებს, თავად 8 ახალი, ძვირადღირებული ავტომობილის შეძენას გეგმავს და შესაბამის ტენდერს აცხადებს. „პრაიმტაიმი“ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, უმრავლესობის წარმომადგენელს ჯაბა სამუშიას ესაუბრა.**

**ჯაბა სამუშია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:**

– 2012 წლის ოქტომბერში გიგი უგულავას ინიციატივით მერიის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში - შპს „ჰერმესი“, შპს „თბილსერვის ჯგუფი“, შპს „სინათლის ქალაქი“ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ - შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოები. ეს კომპანიები კარგა ხნის მანძილზე მანამდეც არსებობდნენ, მაგრამ არავის გახსენებია იქ სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა. მით უმეტეს, რომ ეს კომპანიები პირდაპირ სახელმწიფო დოტაციაზე არიან და მომგებიანი შპს-ები არ გახლავთ. ჩვენ იმთავითვე გვქონდა ეჭვი, რომ ეს სამეთვალყურეო საბჭოები არჩევნების შემდეგ იქმნებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების დასასაქმებლად, რაც დადასტურდა კიდეც, როდესაც ცნობილი გახდა პერსონალია. თქვენს მკითხველს გავახსენებ, რომ სამეთვალყურეო საბჭოებში დასაქმდნენ: ეკა ხერხეულიძე, ხათუნა ოჩიაური, ლევან თარხნიშვილი, გიგა ნასარიძე, აკაკი სეფერთელაძე, რუსუდან კერვალიშვილი, მამუკა გაჩეჩილაძე, გიორგი ასანიძე, კობა ხაბაზი, ბადი ბასიშვილი და სხვა... დღეს რამდენიმე მათგანი როტაციის წესით შეიცვალა და ჩაანაცვლა „ნაციონალების“ სხვა წარმომადგენლებმა.

**– გასაგებია, რომ თბილისის მერმა საკუთარი თანაგუნდელები დაასაქმა სამეთვალყურეო საბჭოებში, მაგრამ ზოგადად ქვეყანაშიც ხომ ასეთივე მიდგომაა... ცენტრალური ხელისუფლებაც ასაქმებს, არა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს, არამედ მათთან დაახლოებულ პირებს... მაინტერესებს, ასეთივე შემართებით რატომ არ აკრიტიკებთ იგივე რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას, რომელსაც წარსულში აქტიური ოპოზიციონერი, კოკა გუნცაძე ხელმძღვანელობს?**

– განსხვავება რა არის? რკინიგზა არის მომგებიანი კომპანია და ის არ გახლავთ სახელმწიფო დოტაციაზე. აქ საუბარია იმაზე, რამდენად მიზანშეწონილია სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა იმ ორგანიზაციაში, რომელიც წამგებიანი. ეს არის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა და სხვა არაფერი. რეალურად, ეს საბჭოები შეიქმნა „ნაციონალების“ დასაქმების მიზნით, იმ ადამიანების, რომლებიც არჩევნების შემდეგ პოსტების გარეშე დარჩნენ. არც ერთ ამ ადამიანს შეხებაც კი არა აქვს იმ სფეროსთან, რომლის სამეთვალყურეო საბჭოებსაც წარმოადგენენ.

**– უკაცრავად, მაგრამ კოკა გუნცაძეს რკინიგზასთან როდისმე ჰქონია შეხება?**

– ის მენეჯერია და აქტიურად მუშაობს. მერიის კომპანიებში კი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ფორმალურად, წელიწადში ერთხელ, ან ორჯერ იკრიბებიან და სოლიდურ ხელფასებს იღებენ ამაში.

**– ანუ თქვენ ამბობთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოში შესაბამისი პროფესიის ადამიანები უნდა მუშაობდნენ? მაგალითად „სინათლის ქალაქში“ გამნათებლები, „ჰერმესში“ – მესაფლავეები და ა.შ.?**

– აქ უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებმაც იციან კონკრეტული სფეროს მენეჯმენტი.

**– ანალოგიური კითხვა არსებობს რკინიგზასთან დაკავშირებითაც... იქ არიან რკინიგზის პროფესიონალები? ან საერთოდ თუ იცნობთ რკინიგზის თემას?**

– არა, მე ამ პრობლემას არ ვიცნობ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რკინიგზა არის მომგებიანი ორგანიზაცია და მას აქვს იმის ფუფუნება, რომ კომპანიის კონტროლი განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. მერიის ის ოთხი ორგანიზაცია კი არის წამგებიანი ორგანიზაციები, სადაც იხარჯება ბიუჯეტის ფული. მათ საკონტროლებლად არსებობს შესაბამისი უწყებები და არანაირი საჭიროება არ არის სამეთვალყურეო საბჭოების შექმნის. მთლიანობაში ამ საბჭოებში ქალაქის მერიამ 2 მილიონზე მეტი დახარჯა, მაშინ, როდესაც ამ თანხის მიზნობრიობა სრულიად გაუგებარია. ამ ხალხს არანაირი ფუნქცია არა აქვს. თითქმის ერთი წელია მუშაობს ეს ხალხი და მაჩვენონ მათი გაკეთებული საქმე, რა დოკუმენტი დადეს? – არაფერი. თითოეული მათგანი თვეში 2 500 ლარს იღებს ხელფასის სახით. ამიტომ ჩვენ მივმართეთ თბილისის მერს, გაუქმდეს ეს სამეთვალყურეო საბჭოები. თუ ეს გადაწყვეტილება არ მიიღო უგულავამ მთელი პასუხისმგებლობა მას დაეკისრება და საზოგადოება კიდევ ერთხელ დაინახავს, რეალურად რაში ხარჯავს დედაქალაქის მერია ბიუჯეტის ფულს. ამ ფულით წელიწადში 2000 კაცს შეიძლება ოპერაცია დაუფინანსდეს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ერისკენ მოუწოდებს, თავად კი ძვირადღირებულ ავტომობილებს ყიდულობს



# თ წელიწადში 2000 კაცს ოპერაცია დააფინანსდეს




თამაზ შოშიაშვილი

**– მაგ ლოგიკას თუ გავყვებით, თქვენც ბევრი ოპერაციის დაფინანსება შეგიძლიათ... მაგრამ ამის ნაცვლად, საკმაოდ ძვირადღირებული ავტომობილების შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადეთ...**

– მე შემიძლია ხაზგასმით გითხრათ, რომ ამ ავტომობილების შესყიდვის აუცილებლობა დადგა იმის გამო, რომ ერთიანი „ნაციონალური მოძრაობა“, ერთ მშვენიერ დღეს, შვიდ ფრაქციად დაიყო. საკრებულოში მოქმედებს შიდარეგლამენტი, რომლის თანახმად ფრაქციის თავმჯდომარეს უნდა ემსახურებოდეს ავტომობილი. ამას ვეთანხმები თუ არა სხვა საკითხია. რაც შეეხება ავტომობილების ფასს, ეს გახდება ცნობილი უკვე ტენდერის მიმდინარეობისას თუ რა შემოთავაზებები იქნება. ერთადერთი პირობა არის ის, რომ სახელმწიფო უწყებებს კანონით არა აქვთ უფლება ნახმარი ავტომობილები შეიძინონ. აქედან გამომდინარე, ნებსით თუ უნებლიეთ, ახალი ავტომობილები უნდა შევიძინოთ.

**– ანუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ რეალურად „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ყიდულობთ ამ მანქანებს?**

– დიახ, ეს გამოიწვია „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციებად დაშლამ. გარდა ამისა, დაემატა კიდევ ერთი დამოუკიდებელი ფრაქცია.

**– თუკი ქამრების შემოჭერაზე საუბრობთ, უფრო ლოგიკური ხომ არ იქნებოდა სანამ თბილისის მერს მოუწოდებდით, თავად შეგეცვალათ შიდა რეგლამენტი და ქამრები ჯერ თქვენ შემოგეჭირათ...**

– აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ კანონმდებლობა არის შესაცვლელი. მოქმედი კანონმდებლობით, სამ კაცს შეუძლია ფრაქციის შექმნა და შესაბამისად, პრივილეგიების მიღება. ზოგადად ფრაქციას უნდა ჰყავდეს ავტომობილი, მაგრამ მომხრე ვარ, რომ ფრაქციათა რაოდენობა გაიზარდოს და არ მოხდეს ხელოვნური დაყოფა იმ მიზნით, რომ რაღაც პრივილეგიები მივიღოთ ბიუჯეტის ხარჯზე. ამის წამალი არსებობს და ეს არის საკანონმდებლო ცვლილებები. გაცილებით რთული სიტუაციაა ქალაქის მერიაში და ეს ყველაფერი არის შესაცვლელი.

„პრაიმტაიმმა“ კომენტარი საკრებულოში, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს, თამაზ შოშიაშვილსაც სთხოვა.

**თამაზ შოშიაშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“:**

– როგორც ცნობილია, თბილისის საკრებულოს ამჟამად 27 მანქანა ემსახურება, რომელიც მთლიანად გადანაწილებულია ახალი უმრავლესობის, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებზე, ვინაიდან ჩამოირიგეს თანამდებობები და ყველა მათგანს რაღაც პოსტი უკავია. ახლა კიდევ აპირებენ 8 მანქანის შესყიდვას, აქედან ორი არის მაღალი გამავლობის ავტომობილი. მე არ ვიცი რისთვის სჭირდებათ ეს. თბილისის საკრებულოში ჯამში 35 მანქანა მართლაც ბევრია. მე მახსოვს წინა მოწვევის საკრებულოში, სულ 12 თუ 11 მანქანა იყო. ფაქტობრივად, 25-ვე უმრავლესობის დეპუტატი თანამდებობის პირი გახდა და შესაბამისად მათ დაისათითაოეს ავტომობილები. ბატონ სამუშიას მინდა შევახსენო, რომ რაც საკრებულოს წევრი გახდა მუდმივად ემსახურება სამსახურის ავტომობილი და ახლა ყველა თავის თანაგუნდელს ჩამოურიგეს ავტომობილები. ამ ფონზე „ნაციონალური მოძრაობისკენ“ თითის გამოშვერა ცოტა უხერხულია. დიახ, ჩვენ გვქონდა ფრაქციების შექმნის უფლება, რადგან ვაპირებთ აქტიურ მუშაობას ბიუროზე. ჩვენი ინიციატივა ნამდვილად არ ყოფილა ახალი ავტომობილების შეძენა, ჩვენ გვყავდა ავტომობილები, რომლებიც შეიძლებოდა გადანაწილებულიყო, როგორც უმრავლესობის ისე უმცირესობის წევრებზე, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ მთლიანად დაისაკუთრა ეს მანქანები და ამიტომ გახდა, ალბათ, საჭირო დამატებითი მანქანების შესყიდვა.

**– რაც შეეხება უმრავლესობის ინიციატივას მერიის მიერ დაფუძნებულ კომპანიებში სამეთვალყურეო საბჭოების გაშუქების შესახებ... თქვენი დამოკიდებულება როგორია?**

– ბატონ სამუშიას ვთხოვ მიმართოს მის პოლიტიკურ გუნდს და იგივე საკითხი დააყენოს მათთან. თუ მუნიციპალურ დონეზე არ შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა, მით უმეტეს არ შეიძლება სახელმწიფო დონეზე. ძალიან ბევრი საწარმოა შექმნილი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, იგივე ეკონომიკის სამინისტროსთან და ა.შ. სამუშიას შეუძლია ანალოგიური ინიციატივით მიმართოს მათაც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ექსკლუზიური ინტერ

მირიან ბოქოლიშვილი

**როგორ აფასებს ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ადიგენში განვითარებულ მოვლენებს? რას პასუხობს ის გავრცელებულ ხმებს კრიმინალური მდგომარეობის გაუარესების შესახებ? ემუქრება თუ არა მიხეილ სააკაშვილს დაპატიმრება და რეალურად ტოვებენ თუ არა „ქართული ოცნების“ რიგებს აქტივისტები? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს, ეკა ბესელიას ესაუბრა.**



## „არასწორია იმის თქმა, რომ კანონის დარღვევა ეპატიება მართლმადიდებელი ეკლესიის ამშენებელს და იგივე არ ეპატიება, სხვა რელიგიის წარმომადგენელს“

## „მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით, ყველა სახელმწიფო მოხელეს მოვუწოდო მაქსიმალური წინდახედულობით მოეკიდნენ ასეთ ფაქიზს თემებს“

**- პირველ რიგში, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, მინდა გკითხოთ, დაირღვა თუ არა მუსლიმი მოსახლეობის უფლებები სოფელ ჭელაში?**

- ამ საკითხს აქვს ორი მხარე. მე ძალიან კარგად მესმის ამ საკითხის მნიშვნელობა და მგრძნობელობა. ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ამ თემაზე, ყოველგვარ განცხადებებს. რელიგიურ აღმსარებლობაში ჩარევა, ხელის შეშლა რელიგიური მიმდინარეობებისთვის რაიმე ტიპის პრობლემების შექმნა ბუნებრივია, არ შეიძლება და საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა რელიგიურ მიმდინარეობას. მუსლიმებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში თანაცხოვრობენ, მართლმადიდებლებთან, არანაირი პრობლემები არ შექმნიათ. იყო გარკვეული მწვავე თემები თუნდაც სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში, სადაც არის ასეთი ფაქტები ასახული, მაგრამ საქართველოში რელიგიურ თემებთან დაკავშირებით სერიოზული დაპირისპირებები არ ყოფილა. რასაკვირველია, რელიგიურ საკითხებში უხეში ჩარევა და ხელის შეშლა დასჯადია და არ შეიძლება, მაგრამ ამ საკითხს აქვს სამართლებრივი მხარეც. თუ ვინმეს არ უნდა ამას შეხედოს ამ კუთხით, ეს არ არის სწორი. უფლების დაცვა არ ნიშნავს იმას, რომ კანონის დარღვევა თუ არის, ამაზე რეაგირება არ მოხდეს. მე მაშინაც ვთქვი, რომ აქ მუსლიმთათვის ხელის შეშლა არ იყო მიზანი. საკითხს კიდევ სჭირდება შესწავლა და მე ვფიქრობ, რომ ვიდრე საბოლოოდ არ დასრულდება ყველა საკითხის გამორკვევა, დასკვნების გაკეთება არ იქნება მართებული. ამ დროისთვის, რაც გამოიკვეთა და რასაც აღიარებენ, მათ შორის უფლებადამცველები, სახალხო დამცველის წარმომადგენლები და მუსლიმთა წარმომადგენლების მხრიდანაც იყო ამაზე საჯარო კომენტარებში აქცენტი გაკეთებული, რომ ადგილი ჰქონდა სამართლებრივი პროცედურების დარღვევას. თვითმმართველობამ მისცა გაფრთხილება, შემდეგ მოხდა სხვა უწყების ჩართვა და მიღებული იქნა ეს გადაწყვეტილება. ანუ სამართლებრივად მშენებლობა რომ სწორად არ იყო წარმართული და დარღვეული იყო გარკვეული პირობები ეს პირველ ეტაპზე იკვეთება, თუმცა, ალბათ, ამ საკითხსაც სჭირდება კვლევა. თუ კანონი ირღვევა, არა აქვს მნიშვნელობა ეს იქნება მუსლიმთა ერთობა, თუ მართლმადიდებელი ეკლესია; კანონზე მაღლა, ბუნებრივია, არავინ არ დგას და ჩვენ, კონსტიტუციას და ევროპულ კონვენციას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ პატივს ვცემთ. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონის დარღვევას თუ აქვს ადგილი, რეაგირება უნდა მოხდეს. სხვა საკითხია, როგორ მოხდა ეს რეაგირება. იყო თუ არა პროპორციული ძალა გამოყენებული და ხომ არ მოხდა არაპროპორციული ზომების გამოყენება.

**- საჭირო იყო თუ არა ამ პროცედურული დარღვევებისთვის მინარეთის დემონტაჟი?**

– ამას სჭირდება გამოკვლევა, იყო თუ არა სხვა ალტერნატიული ზომის გამოყენება შესაძლებელი.





მე არ შემიძლია ჯერ დასკვნების გაკეთება. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი უნდა იყოს გამოკვლეული და ამის შემდეგ შემიძლია გავაკეთო საბოლოო შეფასება. ზუსტად ამას ვაქცევ ყურადღებას. მე მოვისმინე რამდენიმე მოქალაქის განცხადება, რომელიც აცხადებს, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რომ ძალის გამოყენებით მოხდა მათი დაკავება. ერთმა თქვა, რომ დაზიანებები აქვს მიღებული. ბუნებრივია, თითოეული ასეთი შემთხვევა ყურადღებით უნდა იყოს განხილული და შევისწავლოთ, ვინმემ ხომ არ გადაამეტა უფლებამოსილებას, ან არაპროპორციული ზომა ხომ არ გამოიყენა, იყო თუ არა სხვა საშუალებები დარჩენილი. ეს არის კვლევის საგანი. მიმაჩნია, რომ რადგან ასეთი განცხადებები გაკეთდა უფლებების დარღვევის კუთხით, შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეისწავლონ. ჩვენ ვაკვირდებით ამ პროცესს და ყურადღებით ვადევნებთ თვალს ყველა განცხადებას. ჯერ მე არ მინახავს ჩვენთან შემოსული განცხადება, თუ იქნება, ბუნებრივია, ჩვენ თვ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვიუ ეკა ბესელიასთან





## „ამნისტიით გათავისუფლებული ადამიანი შემდგომში რას გააკეთებს, ამაზე პასუხისმგებლობას პერსონალურად ვერავინ ვერ აიღებს“

## EXCLUSIVE

### „მუსლიმანურ ქვეყანაში პროცედურების დაცვის გარეშე არავინ აგაშენებინებს მართლადიდებლურ ტაძარს“

ითონ დავიწყებთ ამ წერილობითი დოკუმენტების გაცნობას, თუმცა პროცესსაც ძალიან ყურადღებით ვაკვირდებით და სწორედ ამ მაღალი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელსაც ვგრძნობ, თემის სიფაქიზის გამო ვამბობ, რომ ეს საკითხი შესწავლას საჭიროებს. თუ ვინმეს არ მოეწონა, როდესაც ვთქვი, რომ კანონზე მაღლა არავინ უნდა დადგეს მეთქი, ეს ჩემი მოგონილი არ არის, ეს კონსტიტუციაში წერია.

**– იმავე კონსტიტუციაში მკაფიოდაა გამიჯნული ეკლესია და სახელმწიფო... რამდენად იქნა კონსტიტუცია დაცული, როდესაც საპატრიარქოს მაღალი რანგის სასულიერო პირები ჩაერთვნენ პროცესში და, პრაქტიკულად, მათ გადაწყვიტეს ის საკითხი, რომელიც რეალურად სახელმწიფოს პრეროგატივაა... რას ნიშნავს, როდესაც საპატრიარქო გასცემს გარანტიებს, რომ ჭელაში მინარეთი აღარ აღიმართება?**

– მართლმადიდებლურ ეკლესიას საქართველოს კონსტიტუციით აქვს განსაკუთრებული სტატუსი, სახელმწიფოს კი აქვს თავისი ვალდებულებები. რასაკვირველია, ამ ორი ინსტიტუციის ფუნქციების აღრევა არ შეიძლება. როდესაც პატრიარქი რაიმე პროცესში ერთვება, მხოლოდ პოზიტიურ შედეგს იძლევა. ცალკეული განცხადებები სხვადასხვა რანგის სასულიერო პირების მხრიდან შესაძლებელია დაფიქსირდეს, მაგრამ ის შეიძლება არ გამოხატავდეს, ზოგადად საპატრიარქოს და მისი უწმინდესობის მოსაზრებას. ეს არის კონკრეტული სასულიერო პირის პირადი გამოხატვის თავისუფლება. ჩვენ ამ ქვეყანაში დავიცავთ ყველა აღმსარებლობის ადამიანის უფლებებს, ჩვენი მიზანია, რომელიმე ჯგუფის, ან რომელიმე უფლების მიმართ არ მოხდეს მიკერძოებული დამოკიდებულება. მე ამ ობიექტურობას ვინარჩუნებ და მინდა სწორად იყოს გაგებული. პატივს ვცემთ ადამიანების რელიგიურ გრძნობებს, მათ უფლებებსა და თავისუფლებებს, მაგრამ ამავე დროს არსებობს კანონი, რომელიც აწესრიგებს, თუ სად და რა პროცედურების დაცვით უნდა აიგოს კონკრეტული ნაგებობა, იქნება ეს მუსლიმანური, თუ მართლმადიდებლური სამლოცველო. მაგალითად, იმავე მუსლიმანურ ქვეყანაში პროცედურების დარღვევის გარეშე არავინ აგაშენებინებს მართლმადიდებლურ ტაძარს. ამავე დროს, მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით, ყველა სახელმწიფო მოხელეს მოვუწოდო მაქსიმალური წინდახედულობით მოეკიდნენ ასეთ ფაქიზ თემებს და თუ არსებობს სხვა ალტერნატივა, ნუ მიმართავენ უკიდურეს ზომებს. ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანია რამდენად იყო დაცული დემონტაჟის დროს სამართლებრივი პროცედურები, ასევე ადამიანების დაკავების დროს მოხდა თუ არა მათი უფლებების დარღვევა. ეს ფაქტები შესასწავლია და დადასტურების შემთხვევაში, ამაზე, ცხადია იქნება რეაგირება.

**– ასეთივე პროცედურების დარღვევით მართლმადიდებლური ტაძარი რომ აეშენებინათ, როგორ ფიქრობთ, იგივე რეაგირება იქნებოდა?**

– თუ მშენებლობა დარღვევით ხორციელდება, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც სამართლებრივი ბერკეტები უნდა იყოს ჩართული. მე მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი ვარ, მაგრამ იმის თქმა, რომ კანონის დარღვევა ეპატიება მართლმადიდებელი ეკლესიის ამშენებელს და იგივე არ ეპატიება, სხვა რელიგიის წარმომადგენელს, ცხადია, არასწორია.

**– რაც შეეხება სხვა თემებს... თქვენი ოპონენტები ხშირად საუბრობენ ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებაზე... თქვენ, როგორც ამნისტიის ერთ-ერთი ავტორი, იზიარებთ თუ არა პასუხისმგებლობას?**

– ტყუილია, როდესაც საუბრობენ, რომ დანაშაულმა მოიმატა. სტატისტიკა სრულიად სხვა რამეზე მეტყველებს. ოფიციალური მონაცემებით, დანაშაულმა იკლო, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაიზარდა გახსნის კოეფიციენტი. ეს არის ციფრები. ვინც ამბობს, რომ დანაშაულმა მოიმატა, მაშინ გვაჩვენონ ციფრები, გაუგებარია რას ეყრდნობა ეს ხალხი. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, უკაცრავად, მაგრამ ამნისტიით გათავისუფლებული ადამიანი შემდგომში რას გააკეთებს, ამაზე პასუხისმგებლობას პერსონალურად ვერავინ ვერ აიღებს. მაშინ მითხარით, რატომ არ არის დასჯილი მიხეილ სააკაშვილი, როდესაც მის მიერ შეწყალებულმა პირებმა ჩაიდინეს დანაშაული, შეწყალება ხომ ინდივიდუალური აქტია?! შინაგან საქმეთა მინისტრმა საკმაოდ მკაფიოდ განმარტა, რომ მინიმალიზებულია ის საფრთხე, რომელიც ათასობით პატიმრის გათავისუფლების შემდეგ იდგა. ასე რომ, ამ მხრივ, ვითარება კონტროლირებადია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მთელი ქვეყნის ციხეში გამოკეტვით მივაღწევთ სიმშვიდეს, ძალიან ცდება. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა ნახევარი საქართველო ციხეში ჩასვა, დანაშაულის მაჩვენებელი იყო ძალიან მაღალი გასულ და წინა წლებში.

**– თავად სააკაშვილს თუ ემუქრება ციხე საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ?**

– არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ სამართალდამცველი ორგანოები, მაგრამ მე, როგორც ერთი ადამიანი, ვფიქრობ, რომ დიახ, სააკაშვილს უნდა დაეკისროს არა მარტო პოლიტიკური, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. შემიძლია ეს ფაქტებით დავადასტურო.

**– არჩევნებს რაც შეეხება, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ მეორე ტური?**

– დარწმუნებული ვარ გიორგი მარგველაშვილი პირველივე ტურში გაიმარჯვებს.

**– ნინო ბურჯანაძის გუნდი ამბობს, რომ აქტივისტები „ქართული ოცნებიდან“ ტოტალურად გადადიან მათთან... თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

– არავითარი გადინება არ ხდება. პირიქით, „ქართული ოცნების“ წევრების რაოდენობა იზრდება. ცალკეული გამონაკლისები შეიძლება იყოს, თუმცა საუბარი ტოტალურ გადინებაზე, უფრო პოლიტიკური პიარი მგონია. ასეთ ტაქტიკას, წინასაარჩევნოდ, ხშირად მიმართავენ სხვადასხვა პოლიტიკოსები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ




- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში  CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების  პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.

## დარეკეთ 114-ზე!



- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

**კატეგორიულად აკრძალულია!**



- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და  სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია  გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;



- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.

**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ ემუქრება დამკვირვებლებს





## სოსო ცისკარიშვილი: „წინასწარ უნდა იცოდნენ დამკვირვებლებმა, რომ მათ ბევრი შეურაცხყოფის ატანა მოუწევთ“

ნინო დათაშვილი

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებელთა ფართო სპექტრი იქნება წარმოდგენილი. მათ შორის ნატოს, ევროსაბჭოს ასამბლეის და ეუთოს სადამკვირვებლო ორგანიზაციები. საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე მიიღო თანხმობა მოწვევაზე.**

მოცემულ ეტაპზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაგზავნილი მოწვევის საპასუხოდ, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR), ასევე ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეამ მზადყოფნა გამოთქვეს ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე მოავლინონ საერთაშორისო დამკვირვებლები. ჯერჯერობით უცნობია მათი ჩამოსვლის დრო.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საარჩევნო პროცესს მოწვეულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებიც აკვირდებიან.

რაც შეეხება ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, ამ დროისთვის ცესკოში უკვე რეგისტრირებულია 26 სადამკვირვებლო ორგანიზაცია. ესენია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „დემოკრატიის ცენტრი“, „უფლებები და თავისუფლებების-კავშირი“, „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“, „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“, „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, „თავისუფალი არჩევანი“, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“, „ახალი თაობა-დემოკრატიული საქართველოსთვის“, „სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები“, საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“, „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი“ , „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის ევრაზიის ინსტიტუტი“, „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“, „სიმართლის რწმენა“, „ქართული ალტერნატივა“, „საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი“, „კონსტიტუციის დაცვის კავშირი“, „ბორჯღალი“, „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისთვის“, „საზოგადოებრივი დამცველი“ , „ჯანმრთელი სამყარო“ და „ევროპულ დემოკრატიული ცენტრი“.

> „ერთი წივილ-კივილი იქნება არჩევნების გაყალბების შესახებ“

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვეა დარჩენილი. სავარაუდოდ, ცესკო-ში რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე დამკვირვებელთა სიას კიდევ ბევრი საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია შეუერთდება. მეორე საკითხია ნდობის ხარისხი. რამდენად ენდობიან საზოგადოება, პოლიტიკური სპექტრი, ექსპერტები და თავად საპრეზიდენტო კანდიდატები საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ დადებულ დასკვნებს. უკვე ტრადიციად იქცა დამარცხებული კანდიდატებისგან ამ დასკვნების არ აღიარება.

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ გამონაკლისი არც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იქნება. უფრო მეტი, 27 ოქტომბერი გაცილებით ხმაურიანი იქნება, ვიდრე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ არჩვენების შემდეგ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს უამრავი ცილისწამების ატანა მოუწევთ.

**სოსო ცისკარიშვილი:**

- გამომდინარე იქიდან, რომ უკვე წელიწადი ხდება, რაც ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა სუფევს, ამ არჩევნებზე მოწმენი გავხდებით ორი მასპინძლის. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებაზე ადრე განაცხადა, რომ მან მოიწვია საკუთარი საზღვარგარეთელი დამკვირვებლები სერიოზული ორგანიზაციებიდან. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ერთი წივილ-კივილი იქნება არჩევნების გაყალბების შესახებ. წინასწარ უნდა იცოდნენ დამკვირვებლებმა, რომ მათ ბევრი შეურაცხყოფის ატანა მოუწევთ. არ ვიცი, აცნობიერებენ თუ არა ჩვენი უცხოელი მეგობრები რაში აპირებენ მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ფაქტია, რომ სხვა შედეგის ინტერესი „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს, გარდა არჩევნების და ზოგადად დღევანდელი ხელისუფლების დისკრედიტაციისა. ისინი იბრძვიან მეორე ადგილისთვის, რომ დამკვიდრდნენ მთავარ ოპოზიციურ ძალად ქართულ პოლიტიკაში. კითხვა ერთი რჩება, რამდენად შეხმატკბილებული იქნებიან „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ადგილის განაწილებასთან დაკავშირებით და ტერმინი კოჰაბიტაცია რამდენად დაამახინჯებს რეალობას. ამიტომ წინასწარ თანავუგრძნობ საერთაშორისო დამკვირვებლებს, რომლებიც ვერ მიხვდებიან საკუთარი პატიოსანი შრომით რატომ გამოიწვიეს დავიდარაბა და ცილისწამების კორიანტელი დამარცხებული მხარისგან.

**- რაც შეეხებათ ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს...**

- როდესაც ასეთი მოლოდინი გვაქვს გამოცდილ უცხოელ დამკვირვებლებთან დაკავშირებით, ცხადია, მრავალწლიანი გამოცდილება „ნაციონალური მოძრაობისა“ დაჩაგრავს ახალბედა „ოცნებას“ ამ არჩევნებზე და წინ დახვდება „ქართულ ოცნებას“ ის ფაქტი, რომ ცესკოს შემადგენლობაში თვითონ და ნაციონალები არიან, მაგრამ ნათქვამია, რასაც დასთეს, იმას მოიმკიო. თუმცა აქ იქნება ხელჩართული ბრძოლა. სიმშვიდე, რომელიც 2012 წლის პირველ ოქტომბერს იყო, წელს არ იქნება. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ხმაურიანი იქნება.

**- რა პროცესის განვითარების შემთხვევაში შეიძლება ველოდოთ ხმაურს არჩევნების შემდეგ და ვინ შეიძლება იყოს ამ აჟიოტაჟის ავტორი?**

- ინიციატივა დამარცხებულების მხრიდან იქნება გამოჩენილი. დღევანდელი ორხელისუფლებიანობის პირობებში არსებობს არალეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც ფლობს ბერკეტებს საკმარისი ხმაურის ასატეხად, როდესაც ყველა გუბერნატორი ემორჩილება არალეგიტიმური ხელისუფლების თავკაცს, რომელმაც ისინი დანიშნა ამ თანამდებობებზე. ასევე, ის ვითარება, რაც სასამართლოებში გაიმართება, საჩივრებთან დაკავშირებით... სხვა გზა არ აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“, უამრავი საჩივარი უნდა შეიტანოს ცესკო-ში და შემდგომ სასამართლოში, იმისთვის, რომ დაარწმუნოს საკუთარი მხარდამჭერები საზღვარგარეთ თუ რა საშინელი არჩევნები ჩატარდა 2013 წლის ოქტომბერში. ამის შემდეგ ალავერდი პასუხის გასაცემად გადაცემული იქნება დღევანდელი ხელისუფლებისთვის.



**- ანუ თქვენ ამბობთ, რომ აჟიოტაჟი და ხმაური, რაც შეიძლება მოხდეს არჩევნების შემდეგ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობისგან“ იქნება გამოწვეული?**

- „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტი პარტიები, ვისაც ფანტაზია არ ეყოთ იმისთვის, რომ წარმოჩენილიყვნენ საპრეზიდენტო კანდიდატად.

**- ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ თუ არჩევნებს ვერ მოვიგებ ესე იგი არჩევნები გაყალბებულიაო. კვლევებმა ბურჯანაძის საკმაოდ დაბალი რეიტინგი აჩვენა. როგორ ფიქრობთ, მისგან არ არის მოსალოდნელი ხმაურიანი პროცესი არჩევნების შემდეგ?**

- საკუთარი აზრის გამოხატვას ქალბატონი ბურჯანაძე ყოველთვის შეძლებს, მაგრამ იქნება თუ არა დამაჯერებელი მისი პოზიცია ამას თავად ამომრჩეველი გადაწყვეტს. ხმის მიწვდენა ყველასთვის შეუძლია ბურჯანაძეს და მის გუნდს. რამდენად დამაჯერებელი იქნება ამ პოლიტიკური ძალის მიერ გაჟღერებული თემა არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით, ეს უკვე საქართველოს მოქალაქეების გადასაწყვეტია.

> „სიმშვიდე, რომელიც 2012 წლის პირველ ოქტომბერს იყო, წელს არ იქნება. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ხმაურიანი იქნება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ალასანია სირიის კრიზისის გ



## სოსო ცინცაძე: „თუ ალასანიას მოსაზრება განსხვავდება მაშინ ის თანამდებობიდან უნდა გადადგეს“




<u>ხათუნა მგალობლიშვილი</u>

**მესამე მსოფლიო ომის დაწყებად მონათლა ზოგიერთმა ექსპერტმა სირიის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენცია.**

**დიდი სახელისუფლო სკანდალი უწინასწარმეტყველეს ქართულ ხელისუფლებას სირიასთან დაკავშირებით.**

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრომ, როგორც იქნა, თქვა ის, რაც მთავარი იყო. თქვა ის, რომ საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობას ყოველთვის უჭერდა მხარს სირიასთან დაკავშირებით და ახლაც დაუჭერს.

**მაია ფანჯიკიძემ პირადად გააკეთა განცხადება:**

- სირიაში მიმდინარე კრიზისის განმავლობაში საქართველო ყოველთვის მხარს უჭერდა საერთაშორისო თანამეგობრობის მიდგომებს და ინიციატივებს, მათ შორის გაერო-ს და არაბთა ლიგის ერთობლივი წარმომადგენლის მისიას და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს, რომლებიც სირიას ადამიანის უფლებების დაცვისა და პოლიტიკური ტრანზიციისკენ მოუწოდებდნენ. საქართველო მიესალმება და მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოების მზადყოფნას, უფრო აქტიური როლი შეასრულოს სირიაში ჰუმანიტარული კატასტროფის დაძლევის საქმეში და რეჟიმს, რომელმაც ჩაიდინა ეს დანაშაული პასუხი აგებინოს ამ ფუნდამენტური საერთაშორისო ნორმის დარღვევისათვის...

ანუ ოფიციალურმა თბილისმა პროდასავლური განცხადება გააკეთა. ხელისუფლებამ ამერიკის გეგმას დაუჭირა მხარი. ვარაუდობდნენ, რომ სხვა შემთხვევაში ალასანია პოსტს დატოვებდა და სავარაუდოდ მაია ფანჯიკიძეც მიყვებოდა უკან. სოსო ცისკარიშვილმა მოვლენების ამდაგვარად განვითარება სულაც არ გამორიცხა.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, რუსეთმა სირიის საკითხში საქართველოს მისკენ გადაქაჩვა ვერ მოახერხა. როგორც ჩანს, სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხება არჩევნებში ეს მხოლოდ პოლიტიკური და დემოკრატიული პროცესია და არა რევოლუცია, რომელიც საქართველოს რუსეთის სივრცეში გადაუძახებს.

რამდენად იმოქმედებს მესამე მსოფლიო ომის სახელწოდებით დაწყებული კონფლიქტი საქართველოზე და როგორი შედეგებით აისახება პროცესი ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე ამის შესახებ ექსპერტები უკვე სერიოზულად მსჯელობენ. სოსო ცინცაძის განცხადებით სირიის კონფლიქტი საქართველოზე ნებისმიერ შემთხვევაში აისახება.

**სოსო ცინცაძე, ექსპერტი:**

- თუ გრძელვადიან შედეგებზე ვისაუბრებთ, რა თქმა უნდა, იმოქმედებს. დარტყმის საბოლოო გადაწყვეტილება მაინც არ არის მიღებული. ორი ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ. დავუშვათ, რომ მოხდეს აგრესია, გადადგეს ასადი და განმეორდეს ერაყის, ლიბიის და ეგვიპტის სცენარი. განმეორდეს ისეთივე ქაოსი, ტერაქტები, მკვლელობები, როგორც ხდებოდა ამ ქვეყნებში რევოლუციების დროს. ამას მოჰყვება რუსეთის და პირადად პუტინის სახის დაკარგვა. მისი ავტორიტეტის დაცემა, მისი დამცირება და ელემენტარულად რუსეთს უკვე რეალურად უჩვენებენ იმ ადგილს, რომელიც მას ეკუთვნის 21 საუკუნეში. ბუნებრივია, რომ პუტინი არ არის არც ელცინი და არც გარბაჩოვი. ის შეეცდება რევანში აიღოს იმ სფეროებში სადაც მას კიდევ აქვს გავლენები. ბუნებრივია, ეს სუსხი, ვგულისხმობ მოსკოვ-დასავლეთის სუსხს ურთიერთობებში, აუცილებლად შეეხება პოსტსაბჭოური სივრცის აბსოლუტურად ყველა სახელმწიფოს, საქართველოთი დაწყებული აზერბაიჯანით დამთავრებული. მეორე ვარიანტის მიხედვით თუ სირია გადაურჩა დამსჯელ აგრესიას და დარტყმას, შემიძლია ვთქვა, რომ ამ შემთხვევაშიც მადა ჭამაში მოდის და პუტინი შეეცდება უკვე თავისი გავლენების გაძლიერებას სამხრეთ კავკასიაში. ორივე შემთხვევაში შედეგები საქართველოს შეეხება, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია ქართული დიპლომატიის პროფესიონალიზმზე.

**- ამის იმედი პირადად თქვენ გააქვთ?**

- წინასწარ იმის თქმა, როგორ იმოქმედებს ქართული დიპლომატია, ძნელია. საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯერჯერობით გარკვევით საკუთარი მყარი პოზიცია არ დაუფიქსირებია. ჩვენგან ერთი ხელის გაშვერაზე ცოტაც და მესამე მსოფლიო ომი იწყება და ქართულ დიპლომატიას მკვეთრი პოზიცია არ გააჩნია, ეს ხომ საოცრებაა? სულ რაღაც ოთხი დღეა ჩვენი თავდაცვის მინისტრი ამერიკიდან ჩამოვიდა, როგორ დავიჯეროთ, რომ ალასანია ამერიკის თავდაცვის მინისტრთან შეხვედრის დროს არ შეეხო სირიის პრობლემას? ამიტომ ძალიან უცნაურად გამოიყურება ჩვენი მთავრობის პოზიცია. თუ ნეიტრალიტეტი გვიკავია ამ სიტუაციაში, მაშინ ის მაინც უნდა ვთქვათ, რომ ეს პრობლემა ჩვენ არ გვეხება.

**- რამდენად მოსალოდნელია, რომ საქართველოს საკითხი გარკვეულ ეტაპზე ამერიკა-რუსეთს შორის ვაჭრობის თემად გადაიქცეს?**

- არა, ამას არ ველოდები.

**- თავის დროზე თურქეთს სწორედ იმიტომ გაუფუჭდა ამერიკასთან ურთიერთობები, რომ მან უარი განაცხადა ერაყთან ბრძოლაში ჩართვაზე...**

- თურქეთი ახლა ერთ-ერთი ინიციატორია, თუ საჭირო გახდა, თურქეთი აუცილებლად ჩაერთვება. მას საკმაოდ მკვეთრი პოზიცია უჭირავს. რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, ჩვენ არ ვიცით ალასანიამ რა ისაუბრა თავის ამერიკელ მეგობართან. შეიძლება ჩვენ არაოფიციალურად აბსოლუტური მხარდაჭერა გამოვხატეთ და რუსეთი რომ არ გავაღიზიანოთ დამატებით ამიტომ ხმამაღალი განცხადებები არ კეთდება. ახლა, როცა საუბარია რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის შერბილებაზე, მართალი გითხრათ, სულაც არ მიმაჩნია გამართლებულად მხარი დავუჭიროთ სირიის დაბომბვას, რომელსაც მოსკოვი ასე მტკივნეულად განიცდის. საჭიროა მოქნილი დიპლომატიური განცხადება, რომლითაც არც მოსკოვს გავაღიზიანებდით და არც ამერიკა-ბრიტანეთს დავუტოვებდით არასაიმედო პარტნიორის შთაბეჭდილებას.

**- ამ სიტუაციაში შეიძლება რომ ალასანია გაემიჯნოს მთავრობის პოზიციას?**

- ალასანია მთავრობისგან განსხვავებულ პოზიციას ვერ დააფიქსირებს. თუ ეს ასეა და მისი მოსაზრება განსხვავდება, მაშინ ის უნდა გადადგეს თანამდებობიდან.



## „როგორ დავიჯეროთ, რომ ალასანია ამერიკის თავდაცვის მინისტრთან შეხვედრის დროს არ შეეხო სირიის პრობლემას?“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ამო შეიძლება გადამდგარიყო






**- რამდენად არის ეს მოსალოდნელი?**

- არ ვიცი, ამ შემთხვევაში სიძე-ცოლისდის ურთიერთობა როგორ განვითარდება. ჩვენთან ხომ ნეპოტიზმი ყველგან და ყველაფერშია... მე არ ვიცი პრემიერის პოზიციაც.

ყოფილი თავდაცვის მინისტრის განცხადებით საქართველოს საფრთხე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაემუქრება თუ სამხედრო ინტერვენციაში ირანი ჩაერთვება.

**დიმიტრი შაშკინი, რეფორმატორთა კლუბის ხელმძღვანელი:**

- რადგან საუბარია სამხედრო სახმელეთო ოპერაციაზე საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენა არ იქნება დიდი. საქართველოზე ზეგავნელა მოხდება იმ შემთხვევაში თუ სირიაში დაიწყება სახმელეთო ოპერაცია და ამ ოპერაციაში ჩაერთვება ირანი. სიტუაციის ასე განვითარების შემთხვევაში, ბუნებრივია, მთელ რეგიონში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბება. იმ პროცესის ანალიზით, რაც ახლა არსებობს, შეგვიძლია დადასტურებით ვთქვათ, რომ სახმელეთო ოპერაცია არ იქნება და იქნება წერტილოვანი დარტყმები. ანუ პირველ ეტაპზე ჩაერთვებიან წყალქვეშა ნავები, რომლებიც გაანადგურებენ „იახონტის“ და „ბასტიონის“ ტიპის სარაკეტო დანადგარებს, რომლებიც სირიის სამთავრობო ძალების ძირითად რესურსს წარმოადგენს. ეს არის შედარებით თანამედროვე იარაღი რომელსაც შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ნატოს ფლოტს. აქედან გამომდინარე, პირველი დარტყმა სწორედ „იახონტზე“ და „ბასტიონზე“ იქნება მიტანილი. ამის შემდეგ მოქმედებაში შევა უკვე ფლოტი და ავიაცია. ამ ეტაპზე ძალიან რთულია თქვა, თუ რას მოიმოქმედებს ირანი, მოგეხსენებათ, რომ სირია ჩვენგან შორს არის, მაგრამ სირიის მთავარი და ერთადერთი რეალური მოკავშირე, რომელიც რეგიონში დარჩა, ეს არის ირანი. შესაბამისად, ირანის პოზიციაზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. არ ვთვლი, რომ მანამ სანამ დაიწყება სახმელეთო ოპერაცია, ირანი რაიმე ნაბიჯებს გადადგამს. ის ბევრ განცხადებებს გააკეთებს, იარაღს მიაწვდის, თუმცა არ ჩაერთვება ღია დაპირისპირებაში. თუ დაიწყება სახმელეთო ოპერაცია, ასეთ შემთხვევაში სულ სხვა სიტუაცია იქნება.

**- სახმელეთო ოპერაციების დაწყება და შესაბამისად პროცესებში ირანის ჩართვა რა ასახვას ჰპოვებს საქართველოზე?**

- გააჩნია რას მოიმოქმედებს ირანი. ამ წუთისთვის საქართველოსთვის საფრთხის მომტანი არის არა სირია, არამედ ირანი. თუ ირანი ჩაერთო ბრძოლაში, ბუნებრივია, მაშინ მთელს რეგიონში დაიწყება ბრძოლა. ამ ეტაპზე არა მგონია არსებობდეს ირანის ჩართულობის საშიშროება.

**- როგორი პოზიცია უნდა დააფიქსიროს ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ?**

- თუ საქართველოს აქვს სურვილი, რომ იყოს დემოკრატიული სამყაროს ნაწილი, მაშინ მან აუცილებლად უნდა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. ამ სიტუაციაში, რომელიც ახლა გვაქვს, პოზიციის დაფიქსირება ძალიან მარტივია. სახეზე გვაქვს ფაქტი, როდესაც ასადის ხელისუფლება ქიმიური იარაღით ასი ათასობით უდანაშაულო ადამიანს ხოცავს, ბოლოს მსგავსი რამ გააკეთა ჰუსეინმა, როდესაც ეომებოდა ქურთებს და ირანს. ამის შემდეგ ქიმიური იარაღის ასე მასშტაბური გამოყენება არ მომხდარა. ყველა მეთვალყურე, რომელიც ადგილზე იყო, ადასტურებს, რომ ქიმიური იარაღის გამოყენება რეალურად მოხდა. ეს არ არის მხოლოდ სირიის პრობლემა, დანაშაული არის ჩადენილი კაცობრიობის წინაშე.

**- რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, როგორც ცნობილია, ის მხარს არ უჭერს სამხედრო აგრესიას, რამდენად მოსალოდნელია, რომ ამერიკის და ზოგადად დასავლეთის ჯინაზე, ან საკუთარი გავლენების დემონსტრირებისთვის რაიმე ტიპის ოპერაცია წამოიწყოს კავკასიის რეგიონში?**

- ეს ნაკლებად მოსალოდნელია, რუსეთს ახლა სირიაში აინტერესებს საკუთარი ბაზა. იქ არსებობს რუსეთის ფლოტის ბაზა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია თვითონ რუსეთისთვის. კავკასიის რეგიონში შურისძიებაზე მეტად მოსალოდნელი არის პრობლემები ირანთან დაკავშირებით. ანუ თუ ირანი იქნება ჩართული, ის, სირიისგან განსხვავებით, რუსეთისთვის არის წითელი ხაზი.



**დიმიტრი შაშკინი: „საქართველოზე ზეგავლენა მოხდება იმ შემთხვევაში თუ სირიაში დაიწყება სახმელეთო ოპერაცია და ამ ოპერაციაში ჩაერთვება ირანი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დიპლომატისა და ყოფილი სამართალდამცავის დავით ჩხიტუნიძის სიცოცხლე საფრთხეშია

## დავით ჩხიტუნიძეზე სისტემატურად ხორციელდება ცრუ ინფორმაციების გავრცელება...



ათენის საექსტრადაციო ციხეში მოთავსებული ქართველი დიპლომატისა და სამართალდამცავის დავით ჩხიტუნიძის სიცოცხლე საფრთხეშია. დავით ჩხიტუნიძე 2013 წლის 13 აგვისტოს, საბერძნეთის საზღვრის გადაკვეთისას გაურკვეველი მოტივით იქნა დაკავებული. ამჟამად ჩხიტუნიძე ათენის საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებიდან კვლავ გადაყვანილია ათენის საექსტრადაციო ციხეში და მასთან კონტაქტი ვერ ხორციელდება. ოჯახი ეჭვობს, რომ ჩხიტუნიძის მიმართ მიზანმიმართული შავი პიარი ხელოვნურად არის აგორებული. ამის საფუძველს კი იძლევა ის ფაქტი, რომ ჩხიტუნიძეს ბრალი აქვს წარდგენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, მსჯავრდებულების საპატიმრო ადგილიდან გაყვანისთვის და რადგან ეს ბრალდებულები იმხილებიან გირგვლიანის მიმართ მძიმე დანაშაულში, ჩხიტუნიძის ბრალდების საქმე, სრულიად უკანონო, საქართველოს სსსკ 109 და 110-ე მუხლების უხეში დარღვევით, გაერთიანებულია გირგვლიანის გახმაურებულ საქმესთან და მიუხედავად დაცვის მხარის დაჟინებული მოთხოვნისა, არ ხდება ჩხიტუნიძის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა. ჩხიტუნიძის ქმედებები მხოლოდ და მხოლოდ ზნეობრივი და მორალური ნორმების დარღვევაა და არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს სისხლის სამართლებრივ დანაშაულს, მასზე სისტემატიურად ვრცელდება ბინძური და ცრუ ინფორმაციები, რაც ეჭვს აჩენს, რომ მიდის მიზანმიმართული მცდელობა, დავით ჩხიტუნიძეს და მის ოჯახს შეუქმნან განსაკუთრებით საშიში დამნაშავის იმიჯი. მით უმეტეს რომ, იმ პერიოდში, როცა განხორციელდა გირგვლიანის წამება, დავით ჩხიტუნიძე საზღვარგარეთ, ჯორჯ მარშალის ცენტრში იმყოფებოდა სასწავლებლად. მისი მეუღლის დედა კი, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ნატალია კვანტალიანი, მეგობრობდა და გვერდით ედგა ქალბატონ ირინა ენუქიძეს სიმართლისათვის ბრძოლაში. ამ ეჭვს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ პროკურატურამ ჩხიტუნიძის მიმართ სისხლის სამართლის დევნა დაიწყო სხვებთან ერთად, სსსკ-ის 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის ა,ბ და დ პუნქტებით, წამებისთვის. სინამდვილეში მას ბრალი აქვს წარდგენილი სსსკ-ს 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. მიუხედავად ამისა, 2013 წლის 1 ივლისს, მთავარი პროკურატურიდან ინფორმაცია გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრს,

## მიდის მიზანმიმართული მცდელობა, დავით ჩხიტუნიძეს და მის ოჯახს შეუქმნან განსაკუთრებით საშიში დამნაშავის იმიჯი...

სადაც ჩაწერილი იყო, თითქოს ჩხიტუნიძეს ბრალი სსსკ-ს 144-ე მუხლით ჰქონდა წაყენებული. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა მოგეჩვენოთ, იგივე ინფორმაცია (სსსკ 144-ე ნაცვლად სსსკ 333-ესი) ეწერა საბერძნეთის ხელისუფლებისთვის ჩხიტუნიძის ექსტრადაციის მიზნით გაგზავნილ დოკუმენტში. აღნიშნულ საქმეზე პროკურატურამ დაკითხა მამა ნიკოლოზი (იგივე თემურ ტაბაღუა), რომელმაც შეცვალა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება და აღიარა, რომ გამოძიების მსვლელობისას გამომძიებლის მხრიდან მასზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების ეს ნაწილიც ჩხიტუნიძის მიმართ დაუსაბუთებელია. აღსანიშნავია, რომ მამა ნიკოლოზი იმ დროს იყო აღნიშნული ციხის მეათე დაწესებულების დირექტორი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ რამდენიმე ტომიან საქმეზე, სადაც დაკითხულია ასზე მეტი ადამიანი, მხოლოდ 4 მოწმეა, რომელიც მხოლოდ სახეზე იცნობს დავით ჩხიტუნიძეს, ისიც იმიტომ, რომ იყვნენ ციხის თანამშრომლები. ქართული მედიასაშუალებები ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას, თითქოს ჩხიტუნიძე „წითელი ცირკულარით" ძებნის მოტივით იქნა დაკავებული ათენის აეროპორტის სასაზღვრო პუნქტში, თურქეთის რესპუბლიკაში გამგზავრების მომენტში, რითაც დარღვეულია ძებნის გამოცხადების პროცედურები.



არადა, სინამდვილეში დავით ჩხიტუნიძე ადვოკატებთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე, აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას და საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობას, რის შესახებაც 2013 წლის 13 აგვისტოს, ადვოკატებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს მთავარ პროკურატურას, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ დავით ჩხიტუნიძის ქვეყანაში შემოსვლის შემდეგ გაირკვეოდა სიმართლე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დავით ჩიხიტუნიძის ოჯახის წევრები და ადვოკატები ყოფილი სამართალდამცავის საქართველოში ექსტრადიციას დაუყოვნებლივ მოითხოვენ. მანამდე კი გთავაზობთ მოკლე ბიოგრაფიულ ნაწილს თუ ვინ არის დავით ჩხიტუნიძე და რა საქმიანობას ეწეოდა ის წლების განმავლობაში.

### დავით ჩხიტუნიძე - ოჯახი და კარიერა...

დავით ჩხიტუნიძე დაიბადა საჩხერეში, 1974 წელს. მისი მშობლები ჭიათურის სამთო კომბინატში მუშაობდნენ და დათოც თავის დასთან ერთად ჭიათურაში იზრდებოდა. იქ დაამთავრა #7 საშუალო სკოლა. ახლობლები მას ნიჭიერებითა და წიგნის სიყვარულით ბავშვობიდანვე გამოარჩევდნენ და მის განსაკუთრებულ თვისებებზე საუბრობენ, თუ როგორ გაიხადა ახალთახალი ფეხსაცმელი 10-12 წლის ბიჭმა და ობოლ მეგობარს აჩუქა...

სკოლის დამთავრებისთანავე, უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოეწყო და ჯარში წასვლა გადაწყვიტა. იმხანად, 1990 წელს, მუხროვანის ბატალიონიდან თავისი სპორტული და ინტელექტუალური მონაცემებიდან გამომდინარე, უშიშროების სპეცრაზმში მოხვდა. სამსახური სპეციფიკური იყო. რამდენიმე საათი პოსტზე იდგა, შემდეგ გარკვეული დროით ისვენებდა. უკვე IV-V კურსის სტუდენტს, სამეცადინო ბევრი ჰქონდა და სამსახურში წიგნებით დადიოდა და დასვენების დროს გამუდმებით კითხულობდა...

იმ დროს უშიშროების კომიტეტის სამსახურის უფროსის მოადგილემ მალხაზ სალაყაიამ მისი შრომისუნარიანობა შეამჩნია და სწავლის დამთავრების შემდეგ უშიშროების სამინისტროში გამომძიებლად შესთავაზა მუშაობა. სულ რამდენიმე წელში კი განყოფილების უფროსად დააწინაურეს.

2001 წელს დათომ უზენაესი სასამართლოს სტაჟორი ნათია ჩაჩუა გაიცნო და მალევე შექმნა ოჯახი. დღეს დათოს და ნათიას 4 შვილი ჰყავთ - ნატალია, დავითი, ლიზი და ანასტასია.

დავით ჩხიტუნიძემ კარიერა, 19 წლის წინ, რიგითი ჯარისკაცის ფარაჯით დაიწყო და 39 წლის ასაკში პოლკოვნიკობას მიაღწია. უამრავი ჯილდო აქვს მიღებული, არის ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი...

2008 წლის ომი რომ დაიწყო, დათო ჩხიტუნიძე გრძელვადიანი პროგრამით საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მაშინ, როცა საზღვრებთან წამსვლელების რიგები იდგა, სასწრაფოდ შეწყვიტა პროგრამა და სამშობლოში ჩამოვიდა. მაშინ დათოს სამი შვილი ჰყავდა. ოჯახში შეირბინა, ბავშვებს ჩაეხუტა, ღიმილით გავიდა სახლიდან. სიდედრი, ქალბატონი ნატალია კვანტალიანი გაიხმო (ქალბატონ ნატალიას ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს და დათოც, ცხადია, შვილივით უყვარს) და თითქოს ხუმრობით უთხრა, ყველაფერი უფლის ნებაა, თუ რამე მომივიდა, ოჯახს შენ გაბარებო. მეგობრებმა ფრონტის წინა ხაზზე რომ ნახეს, გაუკვირდათ, აქ საიდან გაჩნდი, შენ ხომ საზღვარგარეთ იყავიო. მაშინ დათოს ჩვეული ღიმილით უპასუხია, იქ დარჩენა ჩემი სამშობლოს, ჩემი შვილების და თქვენი, ჩემი მეგობრების ღალატის ტოლფასი იქნებოდაო. ყოველივე ამის შემდეგ, მიხვდებით, რაოდენ რთულია მისთვის და მისი ოჯახისთვის, მისი მეგობრებისთვის გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან მისი სახელის ხელოვნურად მიკერება. ვინც მას იცნობს, ყველამ იცის, რომ დათო ჩხიტუნიძე არ არის ის კაცი, ვინც რაიმე სახის პრობლემას, მით უმეტეს მართლმსაჯულებას დაემალება. სწორედ ამიტომაა ასეთი დიდი საზოგადოებრივი ინტერესი. ამიტომ მოვითხოვთ, მის ცოცხალ და უვნებელ ჩამოყვანას საქართველოში, რათა მან კანონის წინაშე აგოს პასუხი, ან შეძლოს თავის გამართლება.

Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ




- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.

## დარეკეთ 114-ზე!



- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

**კატეგორიულად აკრძალულია!**

- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.

**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზაზა ურუშაძე ახალ თანამ

## my View
**თამარ გონგაძე**

**კინოს სახლმა ამ ზაფხულს კინომანებს მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა. თბილისში დარჩენილებს ლარად შეეძლოთ საყვარელი კინოკლასიკის ნახვა (ბუნებრივია, ადაპტირების გარეშე). ზაფხულის მიუხედავად, კინოს სახლის მცირე დარბაზი ყოველდღიურად ივსებოდა. სახლმა ამერიკული, ევროპული, იაპონური ფილმები და ანიმაცია, სხვადასხვა რეჟისორის რეტროსპექტივა წარმოადგინა. ივლისში კინოს სახლისგან „ფეისბუქზე“ მეგობრებში დამატება მივიღე. „დავმეგობრდით“ და აღმოვაჩინე, რომ ეს საზაფხულო სიახლე საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის ახალი თავმჯდომარის ინიციატივა ყოფილა. სამი თვეა რეჟისორი ზაზა ურუშაძე ყრილობაზე ხმათა უმრავლესობით საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. ამ თანამდებობაზე მისი წინამორბედები იყვნენ სიკო დოლიძე და ელდარ შენგელაია. ამბობს, რომ არ სურს ამ ახალმა თანამდებობამ კინოს გადაღებაში ხელი შეუშალოს. ორი კვირის წინ ახალი ნამუშევრის - „მანდარინების“ პოსტპროდუქციული სამუშაო ტალინში დაასრულა და სამშობლოში დაბრუნდა. ბოლო ორი წლის მანძილზე სამი ფილმი ერთმანეთს გადააბა. „დარჩი ჩემთან“ დაასრულა თუ არა, „ბოლო გასეირნებაზე“ დაიწყო მუშაობა. შემდეგ მას მიაყოლა „მანდარინები“.**



# „მანდარინები“ - ფილმი აფხაზეთში არსებულ ესტონურ სოფლებზე









# TANGE

„ესტონელები ჩუმები არიან, ჩვენი ხმაურის ატანა გაუჭირდათ. ვატყობდი, სერიოზულ დისკომფორტში იყვნენ. მერე, ესტონეთში რომ ჩასულან, ჩვენსავით იმხელა ხმაზე დაუწყიათ ლაპარაკი, სხვებმა თქვეს, ამათთან გაჩერება არ შეიძლებოდაო“

„მიშა მესხმა ავტომატის ლულას აკოცა. არ იცოდა, რომ სროლისას ავტომატის ლულა ძალიან ცხელდება და კოცნის დროს ლულაზე ტუჩი მიეწება. ძლივს მოვაგლიჯეთ, საწყალი, კინაღამ უტუჩოდ დარჩა“







### „მანდარინები“ - პირველი ქართულ-ესტონური კოპროდუქცია

ეს ფილმი პირველი ქართულ-ესტონური კოპროდუქციაა. ფილმი დაფინანსებულია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, კულტურის სამინისტროს და „ევრიმაჟის“ მიერ, ასევე ესტონეთის ორი კინოფონდის და კულტურის სამინისტროს მიერ. შარშან „ევრიმაჟის“ ფონდის მიერ დაფინანსებული 18 ფილმიდან „მანდარინები“ პირველ ადგილას გავიდა. ფილმი დიდ წილად ესტონეთის მხარემ დააფინანსა.

სცენარის ავტორი და რეჟისორი ზაზა ურუშაძეა. ფილმის პრეისტორია ასეთი გახლავთ: რამდენიმე წლის წინ ტალინში „სამი სახლის“ ჩვენებით გაიხსნა ქართული კინოს დღეები. მაშინ ზაზას უთხრეს, ხომ არ დაინტერესდებით საქართველოში მცხოვრები ესტონელების თემითო. 2010 წელს ასე დაიწერა სცენარი. სცენარმა ესტონეთის კინოცენტრში და კულტურის სამინისტროში გაიმარჯვა.

### ანოტაცია

ფილმში მოქმედება აფხაზეთის ომის დროს ვითარდება. აფხაზეთში, ას წელზე მეტია, სამი ესტონური სოფელი არსებობდა. ომი რომ დაიწყო, ესტონეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ამ სოფლების მოსახლეობა ესტონეთში გადაასახლა. აფხაზეთში რამდენიმე ესტონელი დარჩა. ქართველი მოხალისე მეომარი და ჩეჩენი ბოევიკი შეტაკების დროს დაიჭრებიან. ორივე მოხუცი ესტონელის სახლში აღმოჩნდებიან, რომელიც მათ შეიფარებს. დაჭრილები სხვადასხვა ოთახში წვანან, მაგრამ სულ ერთმანეთის დახოცვის ჟინი აქვთ.

### სპეციალურად გაშენებული სოფელი

ფილმისთვის, შეკვეთილში, (გურია) რეჟისორმა ორი წლის წინ ესტონური სოფელი გააშენა. დაუფინანსებლობის გამო ფილმის გადაღება შეფერხდა. მანამდე სოფელს, რომელიც მანდარინების პლანტაციების ირგვლივ იყო გაშენებული, დარაჯები უვლიდნენ. სოფელში ურუშაძემ გზები გაიყვანა, ჭაობი დააშრო, ბალახები დაagო, პალმები და ხეები დარგო, სახლები ააშენა, კომუნიკაციები გაიყვანა.

„კადრებს რომ უყურებთ, გეგონებათ, რომ მართლა აფხაზეთშია გადაღებული. პალმები, ზღვა... ახლა, უკვე არ ვიცი იქ რა ხდება. აღარავინ არ მიხედავდა და დანგრეული იქნება“, - აცხადებს ზაზა.

### მიწისძვრით შეშინებული ესტონელები

ფილმის გადაღების დროს, 2012 წლის დეკემბერ-იანვარში ორჯერ მიწისძვრა იყო საქართველოში, ეპიცენტრი კი მაინცდამაინც შეკვეთილის ჭაობიან ადგილას დაფიქსირდა. შედეგად მიწა გაიპო. ესტონელებს ძალიან შეშინებიათ.

**ზაზა ურუშაძე:** „რამდენიმე დღეში მიწისძვრა ღამით მეორეჯერაც განმეორდა, დაახლოებით 5 ბალი იყო და ძალიან ვყანყალებდით. მაშინ თქვეს ესტონელებმა, რომ მათთან არასდროს ყოფილა მიწისძვრა და ჩვენთან პირველად განიცადეს ეს შიში. მერე ესტონელმა ოპერატორმა მკითხა, ალბათ, სკოლაში გასწავლიან, არა, როგორ უნდა მოიქცეთ ამ დროსო? ეგონათ, რომ ჩვენთან ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. იაპონია კი არ არის, საქართველოა-მეთქი, ვუთხარი.

კარგი საურთიერთობო ხალხია. თავშეკავებულები არიან. ჩვენსავით ემოციურები არ არიან. შეიძლება რაღაც ძალიან მოსწონდეს, მაგრამ მაშინვე არ თქვას და ერთი წლის მერე გითხრას. ჩუმები არიან, ჩვენი ხმაურის ატანა გაუჭირდათ. ვატყობდი, სერიოზულ დისკომფორტში იყვნენ. მერე, ესტონეთში რომ ჩასულან, ჩვენსავით იმხელა ხმაზე დაუწყიათ ლაპარაკი, სხვებმა თქვეს, ამათთან გაჩერება არ შეიძლებოდაო. ჩვენგან განსხვავებით, მოწესრიგებული, მშვიდი და კანონმორჩილი ხალხია. კარგია, რომ ჩვენი ერთობლივი ნამუშევარი შედგა“.

### ფილმი ქალის გარეშე

ფილმში ქართველი და ესტონელი მსახიობები თამაშობენ. მთავარ როლებში არიან - მიშა მესხი (ქართველი მოხალისის როლში), გიორგი ნაკაშიძე (ჩეჩენი ბოევიკი), ულფსაკ ლემბიტი და ელმო იუგანენი. ფილმში ქალი არ თამაშობს. ესტონელი მოხუცის სახლში გოგოს ფოტო ჩნდება, ამ მოხუცის შვილიშვილის, რომელიც მიშას გმირს - ნიკას უყვარდება. „ქალის ფოტოს მომენტი - შარჟია, ომში სიყვარულის დრო არ არის“.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დებობასა და ახალ ფილმზე



EXCLUSIVE



„მსახიობები ავტომატიდან ძალიან ბევრს ისროდნენ. მართალია ტყვიას არ ისროდნენ, მაგრამ ცეცხლი, გასროლის ხმა იგივეა, რაც ტყვიის გასროლისას. ჩავამთავრეთ ეს დაძაბული გადასაღები დღე და გახარებულმა მიშა მესხმა ავტომატის ლულას აკოცა. არ იცოდა, რომ სროლისას ავტომატის ლულა ძალიან ცხელდება და კოცნის დროს ლულაზე ტუჩი მიეწება. ძლივს მოვაგლიჯეთ, საწყალი, კინაღამ უტუჩოდ დარჩა. მე, მესხს, უტუჩოდ მაინც გადავიღებდი, მაგრამ გადარჩა“.

ფილმისთვის მუსიკა ნიაზ დიასამიძემ დაწერა. მასთან ზაზამ მეორედ იმუშავა. პირველად „ბოლო გასეირნებაზე“ ითანამშრომლეს.

„ვფიქრობ, ფილმი საფესტივალოც არის და სამაყურებლოც. ყურების დროს დაძაბული ხარ, მოსაწყენი არ არის. ასე მგონია, საინტერესო ფილმია“.

პრემიერა 15 ოქტომბერსაა დაგეგმილი. ესტონეთიდან 70 კაციან დელეგაციას ელოდებიან, მათ შორის კულტურის მინისტრსაც. ტალინში კი „მანდარინებს“ 31 ოქტომბერს ნახავენ.

**კაბინეტი**

ზაზას, მაისის შემდეგ, კინოს სახლში, როგორც საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარეს, თავისი კაბინეტი აქვს. ელდარ შენგელაიამ უზარმაზარი კაბინეტი დაახვედრა.

„ვცდილობ, კაბინეტის ტიპი არ ვიყო. ეს შენზეა დამოკიდებული, შენშია საქმე და არა კაბინეტზე. კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარეობა საპატიო ადგილი უფროა, ვიდრე ჩინოვნიკური. კინოს ისტორიაში მესამე თავმჯდომარე ვარ. სიკო დოლიძე 11 წელი იყო თავმჯდომარე, ელდარ შენგელაია - 36 წელი. მიყვარს ელდარი, დიდი რეჟისორია და მისი დამოკიდებულება ჩემ მიმართ სასიამოვნო იყო ჩემთვის. გულწრფელად გაუხარდა, რომ მე გავიმარჯვე. შენობა რომ კინემატოგრაფისტთა კავშირს შერჩა და მისი საკუთრებაა, ეს ელდარის დამსახურებაა. ძალიან დიდი ოთახი დამხვდა. თავიდან ვერ შევეგუე. მერე ცოტა გადავაკეთე. ინტერნეტი შევიყვანე. რემონტს რომ დავიწყებ, მერე შეიცვლება. უკვე გვაქვს საიტიც“.

**„მე მინდა ეს ადგილი გავაცოცხლო“**

ზაზას კინოს სახლთან დაკავშირებით თავისი გეგმები აქვს. სურს კინოდარბაზის გაკეთება, სადაც მხატვრული ღირებულების მქონე ფილმებს ნახავს მაყურებელი, სადაც იქნება კაფე და ხელოვნებაზე სასაუბროდ თავშეყრილი ადამიანები.

„460 კაციანი დარბაზი დანგრეულია, არ არსებობს. ეს დარბაზი აღსადგენია, კინემატოგრაფისტთა კავშირმა ფუნქციები უნდა დაიბრუნოს. ისეთი ატმოსფერო მინდა შეიქმნას, როგორიც ადრე იყო. კინემატოგრაფისტთა კავშირი კომუნისტების დროს სახელმწიფოსგან ფინანსდებოდა. თავშეყრის ადგილი დავკარგეთ. როგორც ფიროსმანი ამბობდა - ჩაიზე დავსხდეთ და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზეო - აი, ეს ადგილი დაიკარგა. მე მინდა ეს ადგილი გავაცოცხლო. აქ სემინარები, ჩვენებები, ლექციები უნდა ჩატარდეს, სიცოცხლე გაჩნდეს.

საზაფხულო კინოჩვენებაზე კინოს სახლის მცირე დარბაზში ათჯერ მოიმატა მაყურებელმა. თან ბილეთის ფასი ერთი ლარია, სავსე იყო დარბაზები. ვფიქრობ, სექტემბრიდან ეს მცირე დარბაზი ისევ გაივსება. კარგი, მყუდრო სიტუაციაა და მიხარია, რომ მაყურებელმა მოიმატა. აქცენტი არ გვაქვს ფულზე, მთავარია, კინოში მაყურებელი მოვიზიდოთ. დიდ დარბაზს რომ აღვადგენთ, პრემიერები ჩატარდება. ფილმებს მხატვრული ღირებულების მიხედვით ავარჩევთ და არა კომერციული თვალსაზრისით. ბილეთის ფასიც სხვა კინოთეატრებთან შედარებით იაფი ეღირება. მაყურებელი აქ რომ მოვა, იმის გარანტია ექნება, რომ მდარე ხარისხის ფილმს არ ნახავს. დიდი დარბაზი მზად გაისად იქნება. სერიოზული სამუშაო გველის. მინდა გამოფენა მოვაწყო და ამით ვაღიარო, რომ სიკომაც და ელდარმაც თავისი დიდი წვლილი შეიტანეს კინემატოგრაფისტთა კავშირის განვითარებაში“.

ERINES



**ზაზა ურუშაძე:**

**„კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარეობა საპატიო ადგილი უფროა, ვიდრე ჩინოვნიკური. ვცდილობ, კაბინეტის ტიპი არ ვიყო. ძალიან დიდი ოთახი დამხვდა. თავიდან ვერ შევეგუე“**




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პრემიერ-მინისტრს და ეკონომიკის სამინისტროს



# კეთილი ინებეთ და დააბრუნეთ ჩვენი წილის 1/3

my View
დეა თავზერიძე

**ქართულ ფილმთან დაკავშირებით აჟიოტაჟი არ ცხრება. თამაშგარეთ დარჩენილი მეწილეების თქმით ისინი პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებულმა დადგენილებამ ააფორიაქა. ამ დადგენილების მიხედვით საერთაშორისო აუდიტისთვის 100 000 ლარი გამოიყო. გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ყოველივე ინვესტორის მოსაზიდად კეთდება. აქციონერები კუთვნილი აქციების დაბრუნებას ითხოვენ. მათივე თქმით, ეს აქციები სახელმწიფო სტუქტურებში დაინტერესებულმა კერძო პირებმა კინოსაზოგადოებას თაღლითური გზით წაართვეს... ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე რამდენიმე თვეა ქვეყნდება განცხადებები, ეწყობა პრესკონფერენციები, აქციონერები შველას ითხოვენ, მაგრამ თავადვე ამბობენ, რომ მათი მოთხოვნები ამ ეტაპზე რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"... თუმცა ხაზგასმით აცხადებენ, რომ ფარ-ხმალს არ დაყრიან და სიმართლისთვის ბოლომდე იბრძოლებენ. ამჯერად კი „ქართული ფილმის" გაყიდვასთან დაკავშირებით მათი ეჭვი რომ არ გამართლდეს, ქვეყნდება განცხადება, სადაც ისინი პრემიერ-მინისტრს და ეკონომიკის სამინისტროს კვლავ შემდეგი მოთხოვნით მიმართავენ - კეთილი ინებეთ და დააბრუნეთ ჩვენი წილის 1/3 !**

**მოთხოვნა პრემიერ-მინისტრს**
**ბატონო ბიძინა,**

ვხედავთ, ეკონომიკის სამინისტროსთვის, ბორდის წევრებისთვის და მათი ლობისტებისთვის ძალიან მძიმე აღსაქმელი აღმოჩნდა ის, რომ „ქართული ფილმის" 1/3 წილი ჩვენია და სხვადასხვა ფორმით ცდილობენ ჩვენზე „თავდასხმას"...გარწმუნებთ, დღეს ბორდში შეგნებულად დანიშნული უმრავლესობა და მათ მიერ შექმნილი დირექტორი გარკვეული თაღლითური მიზნის განსახორციელებლად არის წარმოდგენილი.

1. თქვენი რეზოლუციით „ქართული ფილმის" აუდიტისთვის თანხის გამოყოფის გადაწყვეტილებამ გამოაშკარავა, რომ პრემიერ-მინისტრი საბოლოოდ უმძიმეს შეცდომაში შეგიყვანეს.
2. ეს გადაწყვეტილება ემსახურება „ქართული ფილმის" საბოლოოდ გასაყიდად შეფუთვას.
3. გადაწყვეტილება კატეგორიულად ეწინააღმდეგება „ქართული ფილმის" თანამშრომლების ინტერესებს.
4. ეს გადაწყვეტილება არის დასტური წინა ხელისუფლების ხელწერის კოპირებისა და „ქართული ფილმის" აქციონერების სამართლიანი მოთხოვნის დასამარებისა...



**შენიშვნა:**
„ქართულ ფილმში" აუდიტი მანამდე დანიშნული იყო, მაგრამ ბორდმა და მათ მიერ დანიშნულმა დირექტომა აუდიტს კვლევა შეუჩერა და გააგდო... მათ სურთ თავიანთი იმპროვიზირებული „ევროპელობა" შემოგვაჩეჩონ, რომელიც დაცლილია ტრადიციებისგან და დაკარგული ფასეულობებისგან, ეს უკვე ნაცადი ბოლშევიკური მანქანა სამარცხვინო და სასაცილოა!

ჩვენი სამართლიანი ბრძოლა იქნება საძირკველი იმისა, რომ ჩვენი კინოსაზოგადოება წინა ხელისუფლების ხელწერის კოპირების ახალ გამოწვევებს გაუმკლავდეს და უპირველეს ყოვლისა დავიბრუნოთ:

1. ჩვენი სამართლიანი და კუთვნილი 1/3 წილი;
2. დაიშალოს არსებული ბორდი და პარიტეტულ საფუძველზე შეიქმნას სრულიად ახალი ბორდი;

კინემატოგრაფიაში არსებული ქაოსიდან გამოსასვლელად გთავაზობთ, თქვენი პატრონაჟით და მთავრობის ინიციატივით მომზადდეს და ჩატარდეს კინემატოგრაფისტთა კონფერენცია, რომელშიც წარმოდგენილი იქნება:

საქართველოს ეროვნულ კინემატოგრაფიაში სისტემის რადიკალური ცვლილების, ფორმირების და განვითარების ფართომასშტაბიანი გეგმა, საკანონმდებლო ცვლილებები და ჯერ კიდევ არდაკარგული უძრავი ქონების ბაზაზე არანაირი ქონების არ განკარგვით 450 000 000 მილიონი ევროს ინვესტიციის განსახორციელებელი რეალური პროექტები და შესაძლებლობები.

როგორც ქვეყანას სჭირდება სახელმწიფო მოწყობის მართვის მოდელი და კონსტიტუცია, ასევე ეროვნულ კინემატოგრაფიაშიც – ფართო კინემატოგრაფისტების შეთანხმების საფუძველზე უნდა დადგინდეს და შეიქმნას კინემატოგრაფიული თვითმმართველობის უსაფრთხო მოდელის საუკეთესო მართვის საკანონმდებლო ბაზა, სისტემა, რომელიც დროსთან ერთად განვითარდება და შეინარჩუნებს თავის მთავარ ნიშას.

**მოგმართავთ თხოვნით,**
შეგვხვდეთ საინიციატივო ჯგუფს, რომელიც გაგაცნობთ „ქართული ფილმი" რა უზარმაზარი სახელისუფლებო წნეხის ქვეშაა მოქცეული და ასევე, წარმოგიდგენთ კინემატოგრაფიის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროექტს.

**პატივისცემით,**
სს „ქართული ფილმის თანამშრომლების" სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორი მერაბ თავაძე;
სს „ქართული ფილმის თანამშრომლების" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი შენგელაია;
წევრები: თამაზ ორაშვილი ....თინათინ განუგრავა.
საინიცატივო ჯგუფის წევრები გენო ცაავა, მაია არეშიძე, ლევან ანჯაფარიძე.

# „გრძელი ნათელი დღეების" დიდი გამარჯვება სარაევოს კინოფესტივალზე




my View
დეა თავზერიძე

**ფილმს, რომელმაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი ჯილდო მოიპოვა, ქართველი მაყურებელი ორიოდე კვირაში იხილავს. 19 სექტემბერს „გრძელი ნათელი დღეების" პრემიერა თბილისში გაიმართება. ცოტა ხნის წინ კი ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის ფილმი სარაევოს კინოფესტივალის ტრიუმფატორი გახდა. „გრძელი ნათელი დღეები" პირველი ქართული ფილმია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სარაევოს კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში. ფილმმა ფესტივალის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიზი დაიმსახურა: საუკეთესო ფილმისათვის პრიზი „სარაევოს გული" და ფულადი ჯილდო 16 000 ევროს ოდენობით „გრძელ ნათელ დღეებს" ერგო. საუკეთესო სამსახიობო შესრულებისთვის კი მთავარი როლის შემსრულებელი - ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია დაჯილდოვდნენ. მათ პრიზი „საერაევოს გული" და ფულადი ჯილდო 2 500 ევრო გადაეცათ. ასევე ფილმს მიენიჭა არტჰაუსის საერთაშორისო კინოთეატრების გაერთიანების „ციკაე"-ს ჯილდო.**

საკონკურსო პროგრამის ჟიურის პრეზიდენტი ოსკაროსანი რეჟისორი დანის ტანოვიჩი იყო, ხოლო ჟიურის წევრები გახლდნენ: საფრანგეთიდან კანის კინოფესტივალის კრიტიკოსების კვირეულის სამხატვრო ხელმძღვანელი ჩარლზ ტესონი, გერმანელი ოპერატორი ქრისტინე მაიერი, სერბი მსახიობი ულიკს ფემიუ და რუმინელი მსახიობი მირელა ოპრიზორი.

„გრძელი ნათელი დღეების" პრემიერა ამ წლის ბერლინალეზეც გაიმართა. ბერლინალეს ჯილდოს შემდეგ ფილმმა მსოფლიოს სხვადასხვა ფესტივალზე მრავალი ჯილდო მოიპოვა: ჰონკონგში ფილმს გრან-პრი და ფიპრესის ჯილდო ერგო, ვისბადენში გრან-პრი, სლოვაკეთის ფესტივალზე კი პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის და საუკეთესო სამსახიობო შესრულებისთვის. „გრძელმა ნათელმა დღეებმა" გასულ თვეში პარიზის, რუსეთში ვოლოგდის და გერმანიის ხუთი ტბის ფესტივალის მთავარი პრიზები მოიპოვა. ამის შემდეგ კი ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალზე მსახიობებს ლიკა ბაბლუანს და მარიამ ბოკერიას პრიზი საუკეთესო სამსახიობო შესრულებისთვის გადაეცათ.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინა წკრიალაშვილი და გუგა კუზანოვი - „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონში



გუგა კუზანოვი





„ეს წონა ცხოვრებაში არ მქონია. 5 კილო უნდა დავაგდო, თან მალე“





## ნინა წკრიალაშვილი: „თენგოს უნდოდა, რომ ამ პროექტის მეორე სეზონში მეცეკვა, მაგრამ მაშინ ჯანმრთელობის გამო ვერ მივიღე მონაწილეობა. ახლა მისი ხათრით უნდა ვიცეკვო“



**„ცეკვა ძალიან მიყვარს, მაგრამ, მგონი, ვერ ვცეკვავ. ჩემი ცეკვის დონის მაქსიმუმი კლუბში მიჩვენებია. მართლა ვნერვიულობ“**

### my View

თამარ გონგაძე

**„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონის მონაწილე ორი სელებრითის ვინაობაც გახდა ცნობილი. ესენი მომღერალი ნინა წკრიალაშვილი და პლასტიკური ქირურგი გუგა კუზანოვი არიან. ნინა ახლა პროექტისთვის ძალებს ილდგენს. რამდენიმე თვის წინ მან საყვარელი ადამიანი დაკარგა და კარგა ხანი დასჭირდა, რომ სტრესს გამკლავებოდა. მომღერალი ფსიქოლოგთანაც კი დადიოდა. ცეკვის ნიჭითა და პლასტიკით რომ ვერ იკვეხნის, თავადაც აღიარებს. თუმცა ახალი გამოწვევისთვის მზადაა და ფინალისტობაც სურს. შოუში მონაწილეობა პროდიუსერმა შესთავაზა. პასუხს არ დაუგვიანია.**

**ნინა წკრიალაშვილი: -** ორივე სეზონს ვუყურებდი და საგულშემატკივროდ ვესწრებოდი კიდეც.

**- ვის გულშემატკივრობდი?**

- ვგულშემატკივრობდი თიკო სადუნიშვილს და ეკა ნიჟარაძეს.

**- რატომ დათანხმდი მონაწილეობის მიღებაზე? ეს არის თავის გამოწვევა, სტრესის მოხსნა თუ ახალი ეტაპი?**

- სამივე ერთად :) კიდევ ერთ ექსპერიმენტს ვატარებ. ყველაზე დიდი მიზეზი კი მაინც ის არის, რომ თენგოს უნდოდა ამ პროექტის მეორე სეზონში მეცეკვა, მაგრამ მაშინ ჯანმრთელობის გამო ვერ მივიღე მონაწილეობა. ახლა მისი ხათრით უნდა ვიცეკვო. ეს იქნება ჯანმრთელი ცხოვრების დასაწყისი. სტრესის მოხსნა პირველ რიგში. რეჟიმიც. იმედი მაქვს, ძილს მოვიწესრიგებ.

**- უძილობა გაქვს?**

- დილამდე ვერ ვიძინებ. იმედი მაქვს, ეს პროექტი ადამიანურ ფორმაში და რეჟიმში ჩამსვამს. ახლა ვჭამ, მძინავს და ვისვენებ. 200 კილო ვარ :)

**- მოიმატე?**

- წლებია 54 კილო ვარ, მაგრამ ახლა 57-მდე ავედი. ეს წონა ცხოვრებაში არ მქონია. ჩემი იდეალური წონა 52 კილოგრამია. 5 კილო უნდა დავაგდო, თან მალე.

**- როგორ ემზადები, ვარჯიშობ?**

- ასე ვემზადები და ვვარჯიშობ (მომწერა ნინამ და საუზმის ფოტო გამომიგზავნა. წინ ძეხვი, ყველი და კროასანი ედო). 10 სექტემბრიდან დავიწყებთ ყველა ერთად ვარჯიშს.

**- ცეკვა გიყვარს?**

- კი, ცეკვა ძალიან მიყვარს, მაგრამ, მგონი, ვერ ვცეკვავ. ჩემი ცეკვის დონის მაქსიმუმი კლუბში მიჩვენებია. მართლა ვნერვიულობ.

**- რა განწყობით შედიხარ პროექტში, მთავარია - მონაწილეობა და არა გამარჯვება თუ გამარჯვების „ჟილკით“?**

- „ჟილკით“, „ვილკით“ და იარაღით. ჩემი მიზანია, საფინალო სამეულში მოხვედრა. მართლა... ფინალისტობა მინდა?

**- გამარჯვება?**

- არ ვიცი, ეგ უკვე ჩემზეა.

**- რომელი მონაწილის გეშინია?**

- არავის, იმიტომ, რომ არ ვიცი ცეკვა :)))

**- მახსოვს, წინა ორ სეზონზე სელებრითები და შენი კოლეგები სარეპეტიციო დარბაზებში დიდ დროს ატარებდნენ. მათი ბედის გაზიარებას აპირებ?**

- კი, კი, კი...

**- აქვს შენთვის მნიშვნელობა ვინ იქნება შენი პარტნიორი მოცეკვავე?**

- არა, იქ ყველა პროფესიონალია და მაგარია.

**- შენი მეგობრების იმედად ხარ, რომ დაგიმესიჯებენ თუ საკუთარი თავის?**

- ორივესი.

შეგახსენებთ, ახალ სეზონზე იცეკვებენ: გიორგი ყიფშიძე, გია სურამელაშვილი, იულია ქავთარაძე და წყალში ხტომაში ევროპის ჩემპიონი ნანა ნებიერიძე. რაც შეეხება მოცეკვავეებს, როგორც ამერიკულ ანალოგშია, წინა სეზონებიდან გადმოვიდნენ. მესამე სეზონში ვიხილავთ - ჯულიანა ბარგნარს, სალომე ჭაჭუას, ოთო ფოლადაშვილს, ლევან ახვლედიანს და გიორგი ბარბაქაძეს. ამ სეზონზე ქართული ცეკვების მოცეკვავე არ მონაწილეობს. კონკურსანტები დარბაზებში ვარჯიშს სულ მალე დაიწყებენ. ამიტომ ბევრი მათგანი დასვენებას მაქსიმალურად ასწრებს.







გუგა კუზანოვი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N35 (233), ორშაბათი 2 სექტემბერი 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge



# EXCLUSIVE

## ნინა წკრიალაშვილი და გუგა კუზანოვი - „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონში



ზაზა ურუშაძე ახალ თანამდებობასა და ახალ ფილმზე

## „მანდარინები“ - ფილმი აფხაზეთში არსებულ ესტონურ სოფლებზე

# TANGERINES


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება